

ადმინისტრაციული აქტის ქანონიერება

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე

2020, №7

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)

2020, №7

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)

2020, №7

Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)

2020, №7

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ლიანა ლომიძე

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

უზრუნავი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეპელი

1. ავტომობილზე ქონებრივი უფლების გამოყენების საკითხები
ავტომანქანაზე სამომავლო ქონების გირავნობის რეგისტრაციის
თაობაზე აქტის კანონიერება 4
2. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აქტების
კანონიერება
დაბადების სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანის შესახებ
მოთხოვნის საფუძველი 42
დაბადების სააქტო ჩანაწერის მართლზომიერება 62
ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი 79
შრომითი ბინადრობის გაცემის საფუძველი 97
საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე აქტის
გასაჩივრების ხანდაზმულობა 113
3. სხვადასხვა ორგანოს აქტების კანონიერება
სასამართლო კონტროლი დისკრეციული უფლებამოსილებიდან
გამომდინარე გადაწყვეტილებაზე 143
ელექტრონერგის მომხმარებელზე დარიცხული დავალიანების
კორექტირება 173

1. ავტომობილზე ქონებრივი უფლების გამოყენების საკითხები

ავტომანქანაზე სამომავლო ქონების გირავნობის რეგისტრაციის თაობაზე აქტის კანონიერება

გადაწყვეტილება საქართველოს სასახლით

№ბს-297-295(კ-16)

6 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 15 დეკემბერს ვ. ა-ემ სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი არის ავტომანქანა მერსედეს ბენც E200 CDI, VIN: ... მესაკუთრე, რომელიც ჩამოიყვანა დაკვეთით გერმანიიდან. ავტომანქანის საქართველოში ჩამოყვანის შემდეგ გაიგო, რომ ამავე ავტომანქანაზე გაფორმებულია სამომავლო ქონების გირავნობის ხელშეკრულება №3422/1, რომლის თანახმადაც შპს „დ...“ დააგირავა სამომავლო ქონება სს „...“ სასარგებლოდ. ხელშეკრულება დარეგისტრირდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თბილისის სამმართველოში. ხელშეკრულების 3.2 პუნქტში გირაოს საგნის (ავტომანქანის, ავტომანქანების) აღწერა: მე-8 ნომრად მითითებულია მის მიერ ჩამოყვანილი ავტომანქანა.

სამომავლო ქონების გირავნობის ხელშეკრულება №3422/1 დადებულია 2013 წლის 6 ნოემბერს.

მოსარჩელის განმარტებით, ვინაიდან იგი არის ავტომანქანა მერსედეს ბენც E200 CDI, VIN: ... მესაკუთრე, გირავნობის ხელშეკრულების გაფორმება-რეგისტრაციისთვის საჭირო იყო მისი ნებართვა, რაც არ მომხდარა. მან სამომავლო გირავნობის ხელშეკრულების რეგისტრაციის გაუქმების შესახებ მიმართა სსიპ საქართვე-

ლოს შსს მომსახურების სააგენტოს. სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო და საგამოცდო მომსახურების სამმართველოს 2014 წლის 20 ოქტომბრის №MIA 8 14 02086020 ადმინისტრაციული აქტით მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რომელიც მან გაასაჩივრა ზემდგომ ორგანოში – სსიპ საქართველოს მომსახურების სააგენტოში. 2014 წლის 5 დეკემბრის №MIA 1 14 02474446 გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო და საგამოცდო მომსახურების სამმართველოს 2014 წლის 20 ოქტომბრის №MIA 8 14 02086020 ადმინისტრაციული აქტის, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 5 დეკემბრის №MIA 1 14 02474446 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და „მერსედეს ბენც E200 CDI“ VIN: ... ავტომანქანაზე სამომავლო ქონების გირავნობის რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 8 იანვრის განჩინებით საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე მესამე პირებად ჩაებნენ სს „...“ და შპს „დ...“.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ვ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2014 წლის 8 აგვისტოს ვ. ა-ის სახელზე დარეგისტრირდა ავტომანქანა „მერსედეს ბენც E200 CDI“ (საიდენტიფიკაციო მონაცემები: ...). 2013 წლის 6 ნოემბერს სააქციო საზოგადოება „...“ და შპს „დ...“ შორის გაფორმდა სამომავლო ქონების გირავნობის ხელშეკრულება №25/34221, რომლის მიხედვით გირაოს საგანს წარმოადგენდა ავტომანქანა „მერსედეს ბენც E200 CDI“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: ...).

2014 წლის 15 აგვისტოს ვ. ა-ემ განცხადებით მიმართა სსიპ საქართველოს მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა გირავნობის ხელშეკრულების რეგისტრაციის გაუქმება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო და საგამოცდო მომსახურების სამმართველოს 2014 წლის 20 ოქტომბრის №MIA 8 1402086020 ადმინისტრაციული აქტით ვ. ა-ეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2014 წლის 24 ოქტომბერს ვ. ა-ემ საჩივრით მიმართა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო და

საგამოცდო მომსახურების სამმართველოს 2014 წლის 20 ოქტომბრის №2086020 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმება და სატრანსპორტო საშუალებაზე „მერსედეს ბენც E200 CDI“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: ...) გირავნობის რეგისტრაციის გაუქმება.

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ა. ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მატერიალური ან ელექტრონული დოკუმენტების საფუძველზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად სამომავლო ქონება – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად გირავნობის გარიგებით განსაზღვრული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებაა, რომელსაც დამგირავებული შეიძენს მომავალში. ამავე ბრძანების მე-3¹ მუხლი განსაზღვრავს გირავნობის რეგისტრაციის წესს და იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომელზედაც შესაძლებელია გირავნობის რეგისტრაცია. მათ შორის არის საქართველოში შემოტანილი, სააგენტოში დაურეგისტრირებელი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8702, 8703 და 8704 (რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50 სმ 3 მეტია) სასაქონლო პოზიციებში აღწერილი და კლასიფიცირებული, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებები.

ზემოაღნიშნული ბრძანების მე-4 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების შესაბამისად, საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრამდე, საქართველოში შემოტანილი, სააგენტოში დაურეგისტრირებელი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8702, 8703 და 8704 (რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50 სმ 3 მეტია) სასაქონლო პოზიციებში აღწერილი და კლასიფიცირებული, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების გირავნობის რეგისტრაციისათვის დაინტერესებული პირის მიერ მომსახურების სააგენტოში წარმოდგენილ უნდა იქნეს გირავნობის გარიგება, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის მე-5 მუხლის მოთხოვნებს. ამავე ბრძანების მე-14 მუხლის თანახმად, გირავნობის უფლების რეგისტრაცია შეწყდება: მოგირავნეზე გირავნობის გადასვლის გამო, მოგირავნის მიერ მატერიალური ან ელექტრონული განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, მოგირავნის მიერ გირავნობის რეალიზაციის შედეგად, გირავნობის გაუქმების რეგისტრაციის გამო, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციიდან მოხსნის გამო, დამგირავებლის მოთხოვნის საფუძველზე თუ განცხადებას თან ერთვის მოგირავნის წერილობითი დასტური.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებებით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გირავნობის რეგისტრაცია განხორციელდა კანონის მოთხოვნათა დაცვით და მისი შეწყვეტის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებები არ არსებობდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე გაიზიარა მოპასუხის პოზიცია იმ სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, რასაც გირავნობის საგნის ახალ მესაკუთრეზე რეგისტრაცია წარმოშობს და განმარტა, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლეობის შესახებ ცნობისა და მექანიკურ სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანების მე-3^ა მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით სამომავლო ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხდება დამგირავებლის მიერ მისი შექმნისთანავე, ხოლო სამომავლო ქონებაზე გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება გირავნობის უფლების რეგისტრაციის მომენტის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-6 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ სამომავლო ქონებაზე გირავნობის რეგისტრაციის არსებობისას სააგენტოში დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ახალ მესაკუთრეზე გადაფორმების შემთხვევაში, შემ-

ქენზე გადადის დაუტვირთავი ქონება, თუ მოთხოვნის მომენტი-სათვის სააგენტოში არ მოიპოვება ინფორმაცია სამომავლო ქონების მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გახდომის შესახებ. აღნიშნული წესი არ ვრცელდება თუ შემძენი დამგირავებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვ. ა-ეზე, როგორც ახალ მესაკუთრეზე გირავნობა მისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედეგების მომტანი არ არის, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საკუთრების უფლების სხვა პირზე რეგისტრაციით მან ამონურა თავისი სამართლებრივი რესურსი და გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების რისკი გადავიდა თავად გარიგების მხარეებზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. ა-ემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით ვ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო და საგამოცდო მომსახურების სამმართველოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – 2014 წლის 20 ოქტომბრის MIA 8 14 02086020 წერილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – 2014 წლის 5 დეკემბრის MIA 1 14 02474446 გადაწყვეტილება; მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დაევალა სამომავლო ქონების გირავნობის რეგისტრაციის გაუქმება მოსარჩელის – ვ. ა-ის კუთვნილ ავტომანქანაზე – „მერსედეს ბენც E200 CDI“ (საიდენტიფიკაციო მონაცემები: ...).

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ მოვალის ან მესამე პირის მოძრავი ნივთი ან/და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლის სხვა პირთათვის გადაცემა დასაშვებია, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად ისე, რომ კრედიტორი (მოგირავნი) იძენს უფლებას, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა დაგირავებული ქონების (გირავნობის საგნის) რეალიზაციით ან

მხარეთა შეთანხმებით – მისი საკუთრებაში მიღებით მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. იმავე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილია, რომ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლებსაც დამგირავებელი შეიძენს მომავალში (სამომავლო ქონება). სამომავლო ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხდება მისი შეძენისთანავე, ხოლო სამომავლო ქონებაზე გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება გირავნობის უფლების რეგისტრაციის მომენტის შესაბამისად.

კანონით (სს კოდექსის 254.5 მუხლით) გათვალისწინებულ ინსტიტუტთან – სამომავლო ქონების გირავნობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები ასახულია კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებით დამტკიცებულ წესში, კერძოდ, „ს.ს.ი.პ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლეობის შესახებ ცნობისა და მექანიკურ სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესში“.

აპელანტის – ვ. ა-ის კუთვნილ ავტომანქანაზე, მერსედეს ბენც E 200 CDI, VIN WDB ..., მოგირავნის – სს „...“ გირავნობის უფლება დარეგისტრირდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებით დამტკიცებული „წესის“ მე-4 მუხლის საფუძველზე; კერძოდ, მართალია ვ. ა-ემ აღნიშნული ავტომანქანა შეიძინა გერმანიაში, ჰამბურგში და ავტომანქანა საქართველოში შემოტანილ (ტრანსპორტირებულ) იქნა და დაექვემდებარა საბაჟო კონტროლს 2013 წლის 19 სექტემბერს, კვლავ ვ. ა-ის სახელზე, მოგვიანებით, 2013 წლის 6 ნოემბერს, სააგენტომ მონაცემთა ბაზაში მაინც დაარეგისტრირა სს „...“ და შპს „დ...“ შორის 2013 წლის 6 ნოემბერს დადებული სამომავლო ქონების გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გირავნობის უფლება, გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ გირავნობის უფლების საგანს წარმოადგენდა სამომავლო ქონება, ანუ ნივთი (ავტომანქანა), რომელიც არ ეკუთვნოდა დამგირავებელს – შპს „დ...“ და რომელიც სინამდვილეში უკვე შეძენილი ჰქონდა სხვა პირს – ვ. ა-ეს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მიზეზი, რამაც წარმოშვა დავა მოსარჩელე ვ. ა-ესა და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს შორის, არის ის, რომ მოსარჩელე, როგორც მესაკუთრე, ნივთზე რეგისტრირებული (სადავო) გირავნობის უფლების გამო ვერ ახორციელებს თავის მესაკუთრულ უფლებებს; კერძოდ, მო-

სარჩელე ვერ ყიდის კუთვნილ ავტომანქანას; სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ 22.10.2014 წელს გაცემული ცნობით დასტურდება, რომ ავტომანქანა დაგირავებულია სს „...“ სასარგებლოდ, რის გამოც პოტენციური მყიდველები უარს აცხადებენ ასეთი ნივთის შეძენაზე – გირავნობის უფლების შესახებ ჩანაწერი პოტენციურ მყიდველს უყალიბებს იმ აზრს, რომ ავტომანქანა არ არის უნაკლო, იგი დაგირავებულია ვალდებულებების უზრუნველსაყოფად; საქმის ზეპირი განხილვის დროს გაირკვა, რომ მესამე პირი – სს „...“ დღემდე ვერ იკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მას გააჩნია დამგირავებლის (მოვალის) – შპს „დ...“ მიმართ, ეს უკანასკნელი თავს არიდებს სასესიო-სახელმწიკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების ბანკის წინაშე შესრულებას, შესაბამისად, მოგირავნე წინააღმდეგია, რომ გაუქმდეს ვ. ა-ის კუთვნილ ავტომანქანაზე რეგისტრირებული გირავნობის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ იგი (ბანკი) მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს გირავნობის საგნის (ავტომანქანის) ხარჯზე; აპელანტსა და მესამე პირებს შორის არსებული ფაქტობრივი ურთიერთობების ანალიზის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიკრულებო ვალდებულებების შესრულების ტვირთი, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც დაკისრებული აქვს ვ. ა-ეს, თანაც ისე, რომ მას (ვ. ა-ეს) არანაირი მონაწილეობა არ მიუღია სს „...“ და შპს „დ...“ შორის სახელმწიკრულებო ურთიერთობის ფორმირებაში, მას არც ერთი მხარის წინაშე არ უკისრია რაიმე სახის ვალდებულების შესრულების ტვირთი.

საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილია, რომ საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება ალიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელმწიკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ინდ. აქტები არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის დებუ-

ლებებს, რის გამოც ისინი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი; ასევე, მოპასუხეს – სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს უნდა დაევალოს გააუქმოს სამომავლო ქონების გირავნობის რეგისტრაცია მოსარჩელის – ვ. ა-ის კუთვნილ ავტომანქანაზე – „მერსედეს ბენც E200 CDI“ (საიდენტიფიკაციო მონაცემები: ...), რადგან ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა, ანუ უარი გირავნობის უფლების რეგისტრაციის გაუქმებაზე, ასევე ეწინააღმდეგება ზემოთ მოხმობილი ნორმების დებულებებს და პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის საკუთრების უფლებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობით ირიბად სდებს ბრალს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს უკანონო ქმედების განხორციელებაში, კერძოდ, სხვის საკუთრებაში არსებულ სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციაში, რაც არასწორია, ვინაიდან, კანონმდებლის მიერ კერძო სამართლებრივი ურთიერთობის რეგულაციის მიზნით, შემოღებულ იქნა არაერთი ინსტიტუტი, რომელთა მეშვეობით ურთიერთობის მონაწილე მხარეები ერთმანეთის მიმართ კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს აწესრიგებენ. სამოქალაქო კოდექსში მოცემულია მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების კონკრეტული ჩამონათვალი; ამასთან, განასხვავებს სანივთო და ვალდებულებით სამართლებრივ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს, კონკრეტულ შემთხვევაში განხილვის თემაა სანივთო უფლება – სანივთო გარიგება, რომლისთვისაც დაწესებულია მთელი რიგი იმპერატიული დანაწესები; ამასთან, სახელმეკრულებო ბოჭვა არ ნიშნავს მხარეთა ნებაზე ზეწოლას ან რაიმე სახის ზემოქმედებას, არამედ ეს ბოჭვა არსებობს უკვე და მისი განხორციელება დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე. სანივთო ურთიერთობის, უფლების წინაშე ვალდებულია ყველა პირი. მხარეთა ნება სანივთო გარიგებისათვის აუცილებლად უნდა იყოს გამოსატული, მაგრამ კანონის ფარგლებში.

კასატორის განმარტებით, დავის საგანს წარმოადგენს სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე რეგისტრირებული გირავნობის უფლება. კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს მის წარმოშობას, მოქმედე-

ბას და მასთან დაკავშირებულ ყველა სახის უფლება-ვალდებულებებს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლებსაც დამგირავებელი შეიძენს მომავალში (სამომავლო ქონება). სამომავლო ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხდება მისი შეძენისთანავე, ხოლო სამომავლო ქონებაზე გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება გირავნობის უფლების რეგისტრაციის მომენტის შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 258-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მატერიალური ან ელექტრონული დოკუმენტების საფუძველზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

კასატორის განმარტებით, მთელი არსი სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე რეგისტრირებული გირავნობისა არის ის, რომ სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე რეგისტრირდება გირავნობის უფლება, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების საფუძველზე, თუმცა მოცემული გირავნობის უფლება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხდება, მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამგირავებელი შეიძენს რეგისტრირებული გირავნობის საგანს – სამომავლო ქონებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს შინა-

გან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკურ სატრასპორტო საშუალებების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამომავლო ქონებას წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გირავნობის გარიგებით განსაზღვრული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული მექანიკური სატრასპორტო საშუალება, რომელსაც დამგირავებელი შეიძენს მომავალში; მე-3¹ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტო ახორციელებს გირავნობის რეგისტრაციას დამგირავებლის მიერ შესაძენ სამომავლო ქონებაზე, თუ სამომავლო ქონება წარმოადგენს საქართველოში დაურეგისტრირებელ, საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8702, 8703 და 8704 (რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50 სმ 3 მეტია) სასაქონლო პოზიციებში აღწერილ და კლასიფიცირებული სატრანსპორტო საშუალებები, საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრამდე, საქართველოში შემოტანილი, მომსახურების სააგენტოში დაურეგისტრირებული, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8702, 8703 და 8704 (რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50 სმ 3 მეტია) სასაქონლო პოზიციებში აღწერილ და კლასიფიცირებულ, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ სატრანსპორტო საშუალებები; საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტი) საბაჟო რეჟიმში ან საბაჟო საწყობში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მიქცეულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც დეკლარირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით და მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებული მექანიკური სატრასპორტო საშუალებები. მე-4 პუნქტის შესაბამისად, სამომავლო ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხდება დამგირავებლის მიერ მისი შეიძენისთანავე, ხოლო მე-6 პუნქტის შესაბამისად, სამომავლო ქონებაზე გირავნობის რეგისტრაციის არსებობისას მომსახურების სააგენტოში დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ახალ მესაკუთრეზე გადაფორმების შემთხვევაში, შემდგომზე გადადის დაუტვირთავი ქონება, თუ მოთხოვნის მომენტიდან თავის მომსახურების სააგენტოში არ მოიპოვება ინფორმაცია სამომავლო ქონების მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გახდომის შესახებ. მე-4 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრამდე, საქართველოში შე-

მოტანილი, მომსახურების სააგენტოში დაურეგისტრირებელი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8702, 8703 და 8704 (რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50 სმ 3 მეტია) სასაქონლო პოზიციებში აღწერილი და კლასიფიცირებული, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაციისათვის დაინტერესებული პირის მიერ მომსახურების სააგენტოში წარდგენილ უნდა იქნეს გირავნობის გარიგება, კანონმდებლობით განსაზღვრული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ელექტრონული ან მატერიალური სახის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანისა და მისი საბაჟო კონტროლს დაქვემდებარების ფაქტს და მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე დამგირავებლის საკუთრების უფლების წარმოშობის (გარდა სამომავლო ქონებისა) დამადასტურებელი დოკუმენტი (კონოსამენტი, ინვოისი, ნასყიდობის ხელშეკრულება და სხვ.) ან მისი ასლი. მე-5 პუნქტის თანახმად, მატერიალური სახის დოკუმენტების წარმოდგენა სავალდებულო არ არის თუ მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციისათვის საჭირო გარემოებების დადგენა შესაძლებელია შესაბამისი ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით.

კასატორის განმარტებით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 ივლისის №241 ბრძანებით დამტკიცებული „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის“ თანახმად, მსუბუქტი ავტომობილი, როგორცაა წარმოადგენს ვ. ა-ის სახელზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალება „მერსედეს ბენც E200 CDI“ (საიდენტიფიკაციო მონაცემები: ...) მიეკუთვნება საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) კოდს 8703.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის“ მე-14 მუხლის შესაბამისად, გირავნობის უფლების რეგისტრაცია შეწყდება მოგირავნეზე გირავნობის გადასვლის გამო, მოგირავნის მიერ მატერიალური ან ელექტრონული განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნის საფუძველზე, მოგირავნის მიერ გირავნობის რეალიზაციის შედეგად, გირავნობის გაუქმების რეგისტრაციის გამო, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგის-

ტრაციიდან მოხსნის გამო, დამგირავებლის მოთხოვნის საფუძველზე განცხადებას გირავნობის უფლების შეწყვეტის შესახებ თან უნდა ერთვის მოგირავნის წერილობითი დასტური და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

კასატორის განმარტებით, ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, დღეს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართულია სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაცია, რომელიც არ წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე დარეგისტრირებული გირავნობა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების ობიექტად იქცევა მხოლოდ მაშინ, როდესაც დამგირავებელი შეიძენს სამომავლო ქონებას და რეგისტრირდება მოცემული სამომავლო ქონება როგორც მისი საკუთრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კასატორის მოსაზრებით, საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლზე მოცემული სადავო გადაწყვეტილების მსჯელობა სამართლებრივად არ არის გამართული, ვინაიდან აღნიშნული მუხლი წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომელიც განამტკიცებს საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლებას. საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის ფარგლებში შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტია მოიცავს ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნის ვალდებულებას, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრებითი უფლების პრაქტიკულ რეალიზებას და შესაძლებელს გახდის საკუთრების შეძენის გზით ქონების დაგროვებას. საქმეზე ზ. ელაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებული აქვს, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვის საჭიროება გამომდინარეობს ამ უფლების სოციალური დატვირთვიდან. საკუთრების უფლების შეზღუდვაა ყველა ის შემთხვევა, როდესაც ხდება სახელმწიფოს მიერ საკუთრების შინაარსისა და ფარგლების დადგენა, ამ მხრივ კონკრეტული რეგულაციის საკანონმდებლო ჩარჩოს განსაზღვრა. სახელმწიფო საკუთრების შეზღუდვისას ადგენს სამართლებრივ რეჟიმს, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ იგი (სახელმწიფო) პირდაპირ მონაწილეობდეს კონკრეტულ ურთიერთობაში. ურთიერთობის მონაწილენი შესაძლებელია კერძო, ფიზიკური პირები, ან კერძო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირები იყვნენ. აღნიშნუ-

ლიდან გამომდინარე, ამ დავის ფარგლებში საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის გამოყენება არის უსაფუძვლო.

რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლს, კასატორი აღნიშნავს, რომ მითითებული მუხლის პირველი ნაწილით მოცემულია მესაკუთრისა და მისი უფლებების დეფინიცია, რომლითაც არ უნდა მოწესრიგდეს აღნიშნული დავა; სასამართლომ არასწორი ნორმა გამოიყენა დავის გადასაწყვეტად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე რეგისტრირებული გირავნობის უფლება არ ზღუდავს მესაკუთრის უფლებას, რომ ის არ წარმოადგენს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, მანამ სანამ დამგირავებელი არ შეიძენს სამომავლოდ დაგირავებულ ქონებას. შესაბამისად, გაუგებარია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილზე სამართლებრივი დასაბუთების აგება, კონკრეტული დავა არ ექცევა მათ რეგულაციაში.

კასატორის განმარტებით, ასევე უსაფუძვლოა სააპელაციო სამართლოს მსჯელობა იმასთან მიმართებაში, რომ ვინაიდან, ავტომანქანა დაგირავებულია სს „...“ სასარგებლოდ, პოტენციური მყიდველი უარს ამბობს მანქანის შეძენაზე, რითაც მოსარჩელეს ადგება ზიანი, უსაფუძვლოა, რადგან, სამართლებრივად მესაკუთრეს არ წარმოეშება შეზღუდვები, მოქმედი კანონმდებლობა ითავლისწინებს სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციას მესაკუთრის ნებართვის გარეშე, რაც კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებლობის სრული დაცვით არის დარეგისტრირებული სამომავლოდ შესაძენ ნივთზე გირავნობის უფლება, რომელიც მხოლოდ დამგირავებლის საკუთრებაში აღრიცხვისას ტრასფორმირდება – მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, შესაბამისად ნივთი უფლებრივად უნაკლოა. რაც შეეხება 2014 წლის 22 ოქტომბრის მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემულ ცნობაში სწორად არის მითითებული ინფორმაცია – საგანზე გირავნობის უფლების რეგისტრაციის თაობაზე, ხოლო რაც შეეხება საზოგადოების სამართლებრივი განვითარების დონემ და ცოდნამ არ უნდა განსაზღვროს სასამართლოს მიერ არასწორი სამართლებრივად უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ვ. ა. ეს, როგორც მესაკუთრეს არ ელახება საკუთრების უფლება, მის სახელზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალება „მერსედეს ბენც E200 CDI“ (საიდენტიფიკაციო მონაცემები: ...) წარმოადგენს უფლებრივად უნაკლო ნივთის სტატუსის მატარებელს. შესაბამისად, კასატორის განმარტებით, სატრანსპორტო საშუალებაზე „მერსედეს ბენც E200 CDI“ (საიდენტიფიკაციო მონაცემები: ...) სა-

მომავლოდ შესაძენ ქონებაზე გირავნობის უფლება რეგისტრირებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით, ხოლო გირავნობის უფლების რეგისტრაციის გაუქმების საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის“ მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძველი არ წარმოშობილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 აპრილის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განჩინებით სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარს მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე სასამართლომ მხარეებს მისცა ვადა მორიგებისათვის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის 3 ოქტომბერს საკასაციო სასამართლოში სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა სატრანსპორტო საშუალებების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ 2016 წლის 26 სექტემბრის ცნობა, რომელშიც მითითებულია, რომ: „მიეცა, მოქალაქე ვ. ა-ეს დაბადებულს 06.02.1967 წელს, პ/ნ ..., მცხოვრები ოზურგეთი, ... ქ. №97 მასზედ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლის რეკვიზიტებია: სანომრე ნიშანი – ..., მარკა-მოდელი მერსედეს-ბენცი E 200 CDI, ფერი – შავი, გამოშვების წელი – 2007, საიდენტიფიკაციო ნომერი – ..., სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა – ... გაცემული 28/10/2015 წ. რეგისტრირებულია ოზურგეთი ... 97-ში მცხოვრებ, მესაკუთრე ა-ე ვ. სახელზე. უფლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის. გატაცებულ ავტომანქანათა სიაში არ ირიცხება. 2013 წლის 6 ნოემბერს რეგისტრირებულია გირავნობის უფლება სამომავლოდ შესაძენ ქონება-

ზე შპს „დ...“ და სს „...“ შორის დადებული გირავნობის ხელშეკრულების (ხელშეკრულება №25/34221, თარიღი: 06.11.2013წ.) საფუძველზე დამგირავებლის (შპს „დ...“) მიერ სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე, სატრანსპორტო საშუალებაზე მერსედეს ბენც E 200 CDI (VIN: ...), რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება არ გამხდარა. სატრანსპორტო საშუალება მერსედეს ბენც E 200 CDI (VIN: ...) მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება შეიძლება გახდეს შპს „დ...“ მიერ შეძენის შემთხვევაში“, საბოლოოდ, სასამართლოს ძალისხმევითა და მოპასუხის პოზიციის მიუხედავად, მოცემულ შემთხვევაში საქმეზე მორიგება ვერ შედგა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საკასაციო საჩივრის საფუძველიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ვ. ა-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ვ. ა-ემ ავტომანქანა მერსედეს ბენც E 200 CDI, VIN WDB ... შეიძინა გერმანიაში, ჰამბურგში. ავტომანქანა საქართველოში ტრანსპორტირებულ იქნა და დაექვემდებარა საბაჟო კონტროლს 2013 წლის 19 სექტემბერს.

2013 წლის 6 ნოემბერს სს „კორ სტანდარტ ბანკსა“ და შპს „დ...“ შორის გაფორმდა სამომავლო ქონების გირავნობის ხელშეკრულება №25/34221, რომლის მიხედვით გირაოს საგანს წარმოადგენდა ავტომანქანა „მერსედეს ბენც E200 CDI“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: ...).

სს „...“ და შპს „დ...“ შორის 2013 წლის 6 ნოემბერს დადებული სამომავლო ქონების გირავნობის ხელშეკრულება №25/34221 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში დარეგისტრირდა 2013 წლის 6 ნოემბერს.

2014 წლის 8 აგვისტოს ვ. ა-ის სახელზე დარეგისტრირდა ავტომანქანა „მერსედეს ბენც E200 CDI“ (საიდენტიფიკაციო მონაცემები: ...).

2014 წლის 15 აგვისტოს ვ. ა-ემ განცხადებით მიმართა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს.

ტოს და მოითხოვა გირავნობის ხელშეკრულების რეგისტრაციის გაუქმება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო და საგამოცდო მომსახურების სამმართველოს 2014 წლის 20 ოქტომბრის MIA 8 1402086020 ადმინისტრაციული აქტით ვ. ა-ეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2014 წლის 24 ოქტომბერს ვ. ა-ემ საჩივრით მიმართა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო და საგამოცდო მომსახურების სამმართველოს 2014 წლის 20 ოქტომბრის №2086020 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და სატრანსპორტო საშუალებაზე „მერსედეს ბენც E200 CDI“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: ...) გირავნობის რეგისტრაციის გაუქმება. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. ა-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სატრანსპორტო საშუალებების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ 2014 წლის 22 ოქტომბრის 49/9/6-00870598 ცნობიდან ირკვევა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით ა-ე ვ. სახელზე რეგისტრირებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლის რეკვიზიტებია: მარკა – მოდელი – მერსედეს-ბენცი E200 CDI, ფერი – შავი, გამოშვების წელი – 2007, სანომრე ნიშანი – ..., საიდენტიფიკაციო ნომერი – ..., ტრანსპორტის რეგისტრაციის მოწმობა – ... გაცემული 08/08/2014წ. რეგისტრირებულია გირავნობა სატრანსპორტო საშუალებაზე: მოდელი – „მერსედეს ბენც E200 CDI, შავი/ვინი ..., გამოშვების წელი – 2007. მოგირავნე „...“, დამგირავებელი შპს „დ...“ (ფ-ი.მ.) (ხელშეკრულება №25/34221, თარიღი 06.11.2013) გატაცებულთა სიაში არ ირიცხება.

2016 წლის 3 ოქტომბერს საკასაციო სასამართლოში სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოდგენილ იქნა სატრანსპორტო საშუალებების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ 2016 წლის 26 სექტემბრის ცნობა, რომელშიც მითითებულია, რომ: „მიეცა, მოქალაქე ვ. ა-ეს დაბადებულს 06.02.1967 წელს, პ/ნ ..., მცხოვრები ოზურგეთი, ... ქ. №97 მასზედ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლის რეკვიზიტებია: სანომრე ნიშანი – ..., მარკა-მოდელი მერსედეს-ბენ-

ცი E 200 CDI, ფერი – შავი, გამოშვების წელი – 2007, საიდენტიფიკაციო ნომერი – ..., სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობა – ... გაცემული 28/10/2015 წ. რეგისტრირებულია ოზურგეთი ... ქ. №97-ში მცხოვრებ, მესაკუთრე ა-ე ვ. სახელზე. უფლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის. გატაცებულ ავტომანქანათა სიაში არ ირიცხება. 2013 წლის 6 ნოემბერს რეგისტრირებულია გირავნობის უფლება სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე შპს „დ...“ და სს „...“ შორის დადებული გირავნობის ხელშეკრულების (ხელშეკრულება №25/34221, თარიღი: 06.11.2013წ.) საფუძველზე დამგირავებლის (შპს „დ...“) მიერ სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე, სატრანსპორტო საშუალებაზე მერსედეს ბენც E 200 CDI (VIN: ...), რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება არ გამხდარა. სატრანსპორტო საშუალება მერსედეს ბენც E 200 CDI-ის (VIN: ...) მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება შეიძლება გახდეს შპს „დ...“ მიერ შეძენის შემთხვევაში“.

სს „ტ...“ (სს „...“ უფლებამონაცვლე) წარმომადგენლის ახსნა-განმარტებითაც ასევე დასტურდება, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება მერსედეს ბენც E 200 CDI-ის (VIN: ...) მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გადაიქცევა მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღნიშნული ავტომობილის მესაკუთრე გახდება შპს „დ...“.

განსახილველი დავის საგანს სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სარეგისტრაციო და საგამოცდო მომსახურების სამმართველოს 2014 წლის 20 ოქტომბრის MIA 8 14 02086020 ადმინისტრაციული აქტის, სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 5 დეკემბრის MIA 1 14 02474446 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და „მერსედეს ბენც E200 CDI“ VIN: ... ავტომანქანაზე სამომავლო ქონების გირავნობის რეგისტრაციის გაუქმება წარმოადგენს.

ვ. ა-ე მოცემული დავის მიმართ კანონიერი ინტერესის არსებობას ასაბუთებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ იგი არის „მერსედეს ბენც E200 CDI“ VIN: ... ავტომანქანის მესაკუთრე და სამომავლო ქონების გირავნობის ხელშეკრულების დადება და რეგისტრაცია მისი თანხმობის გარეშე არ უნდა განხორციელებულიყო, ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სატრანსპორტო საშუალებების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ 2014 წლის 22 ოქტომბრის 49/9/6-00870598 ცნობიდან ირკვევა, რომ ავტომანქანა არის ნაკლის მქონე, კერძოდ, იგი დაგირავებულია ვალდებულების უზრუნველსაყოფად, რის გამოც ვერ ახდენს აღნიშნული მანქანის რეალიზაციას.

საკაცაციო სასამართლოს განმარტებით, მოთხოვნის უზრუნველყოფის საკმაოდ გავრცელებულ საშუალებებს მიეკუთვნება სანივთო უზრუნველყოფის საშუალებები, ერთ-ერთი მათგანია გირავნობა, რომელიც საკუთრების უფლებისაგან ნაწარმოებ უფლებად განიხილება და პირს გირავნობის უფლებით ქონების დატვირთვის შესაძლებლობა მას შემდეგ წარმოეშობა, რაც მოიპოვებს საკუთრების უფლებას გირავნობის საგანზე. ძირითად ვალდებულებაში მოვალეს ან მესამე პირს გირავნობის უფლების წარმოშობის ეტაპზე უნდა გააჩნდეს საკუთრების უფლება უზრუნველყოფის საგანზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უზრუნველყოფის საგანია სამომავლო ქონება.

ქონებაზე უფლებათა აღრიცხვის სფეროში რეგისტრაციის შემოღებამ შესაძლებელი გახადა სამომავლო ქონების დაგირავება. ქონების არარსებობა გამორიცხავს მასზე მფლობელობითი გირავნობის წარმოშობას. სამართლებრივი თვალსაზრისით, გირავნობის ობიექტი შესაძლებელია ბუნებაში არსებობდეს, თუნდაც მასზე საკუთრების უფლება არ იყოს წარმოშობილი.

გირავნობის უფლებით შესაძლებელია დაიტვირთოს სამომავლო მოთხოვნებიც, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 254.5 მუხლის შესაბამისად, „მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომლებსაც დამგირავებელი შეიძენს მომავალში (სამომავლო ქონება). სამომავლო ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხდება მისი შექენისთანავე, ხოლო სამომავლო ქონებაზე გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება გირავნობის უფლების რეგისტრაციის მომენტის შესაბამისად“.

ზემოაღნიშნული მუხლის ანალიზიდან გამომდინარე, სამომავლო ქონების გირავნობის ობიექტად გამოყენების შემთხვევაში, გირავნობის უფლება წინ უსწრებს უზრუნველყოფის საგანზე საკუთრების უფლების წარმოშობას, რაც შესაძლებელია მხოლოდ რეგისტრირებული გირავნობის დროს. სამომავლო ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხდება მას შემდეგ, რაც დამგირავებელს წარმოეშობა მასზე საკუთრების უფლება. სამომავლო ქონებაზე უფლების წარმოშობა კი დაკავშირებულია გირავნობის უფლების რეგისტრაციის ფაქტზე. შესაბამისად, გირავნობის უფლება სამომავლო ქონებაზე წარმოშობილად ითვლება რეგისტრაციის მომენტიდან.

სამოქალაქო კოდექსი ასევე აწესრიგებს გირავნობის რეგისტრაციის წესს, კერძოდ, 258.1 მუხლის შესაბამისად, რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავ-

ნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა). ამ შემთხვევაში მოძრავი ნივთის მოგირავნის მფლობელობაში გადაცემა სავალდებულო არ არის, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილით კი რეგლამენტირებულია სატრანსპორტო საშუალებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების გირავნობის რეგისტრაციის წესი, კერძოდ, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.

მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გირავნობის რეგისტრაციის წესი ასევე განსაზღვრულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 25 ივნისის №892 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გირავნობის რეგისტრაციის, ნასამართლობის შესახებ ცნობისა და მექანიკურ სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემის წესის“ მეორე თავით. აღნიშნული წესის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობისათვის აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და ამ გარიგებით განსაზღვრული გირავნობის უფლების რეგისტრაცია სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ხოლო მე-3¹ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტო ახორციელებს გირავნობის რეგისტრაციას: ა) საბაჟო დამუშავების ოპერაციის განსაზღვრამდე, საქართველოში შემოტანილი, სააგენტოში დაურეგისტრირებელი, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სეს ესნ) 8702, 8703 და 8704 (რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50 სმ³ მეტია) სასაქონლო პოზიციებში აღწერილ და კლასიფიცირებულ, საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებულ სატრანსპორტო საშუალებებზე; ბ) საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების (იმპორტი) საბაჟო რეჟიმში ან საბაჟო სანყოფნაში საქონლის შენახვის საბაჟო რეჟიმში მიქცეულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც დეკლარირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო დეკლარაციით (28.11.2013 №902); გ) სააგენტოში

რეგისტრირებულ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებზე. დ) დამგირავებლის მიერ შესაძენ სამომავლო ქონებაზე, თუ სამომავლო ქონება წარმოადგენს; დ.ა) საქართველოში დაურეგისტრირებელ, საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფ, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (სესენს) 8702, 8703 და 8704 (რომლის ძრავის მუშა მოცულობა 50 სმ 3 მეტია) სასაქონლო პოზიციებში აღწერილ და კლასიფიცირებულ სატრანსპორტო საშუალებებს; დ.ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს“; მე-4 პუნქტის თანახმად, სამომავლო ქონება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება ხდება დამგირავებლის მიერ მისი შეძენისთანავე, ხოლო სამომავლო ქონებაზე გირავნობის უფლებათა რიგითობა განისაზღვრება გირავნობის უფლების რეგისტრაციის მომენტის შესაბამისად; მე-6 პუნქტის მიხედვით, კი სამომავლო ქონებაზე გირავნობის რეგისტრაციის არსებობისას სააგენტოში დაგირავებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ახალ მესაკუთრეზე გადაფორმების შემთხვევაში, შემძენზე გადადის დაუტვირთავი ქონება, თუ მოთხოვნის მომენტისათვის სააგენტოში არ მოიპოვება ინფორმაცია სამომავლო ქონების მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გახდომის შესახებ. აღნიშნული წესი არ ვრცელდება თუ შემძენი დამგირავებულია.

ამდენად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შესაძლებელია იმ ქონების დაგირავება, რომელსაც დამგირავებელი მომავალში შეიძენს, ხოლო ეს ქონება მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება დადებულია და რეგისტრირებულია კანონმდებლობით დადგენილ წესით, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გადაიქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დამგირავებელი გახდება მისი მესაკუთრე; მანამდე, მიუხედავად სამომავლო ქონების გირავნობის ხელშეკრულების არსებობისა, მასზე სამართლებრივად უზრუნველყოფის ღონისძიება არ ამოქმედდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის დებულებებს, ვინაიდან სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ 2014 წლის 22 ოქტომბერს გაცემული ცნობით დასტურდება, რომ მოსარჩელის კუთვნილი ავტომანქანა დაგირავებულია სს „...“ სასარგებლოდ, რის გამოც პოტენციური მყიდველები უარს აცხადებენ ასეთი ნივთის შეძენაზე – გირავნო-

ბის უფლების შესახებ ჩანაწერი პოტენციურ მყიდველს უყალიბებს იმ აზრს, რომ ავტომანქანა არ არის უნაკლო, იგი დაგირავებულია ვალდებულებების უზრუნველსაყოფად და იზიარებს კასატორის მსჯელობას იმასთან მიმართებაში, რომ მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს სამომავლოდ შესაძენ ქონებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაციას მესაკუთრის ნებართვის გარეშე. ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ავტომანქანა მერსედეს ბენც E 200 CDI, VIN WDB ..., რომელიც მოსარჩელემ შეიძინა გერმანიაში, საქართველოში ტრანსპორტირებულ იქნა და საბაჟო კონტროლს დაექვემდებარა 2013 წლის 19 სექტემბერს.

აღნიშნული ავტომანქანა, რომელიც წარმოადგენს სამომავლო ქონების გირავნობის ხელშეკრულების საგანს, 2013 წლის 6 ნოემბერს სს „...“ და შპს „დ...“ შორის ხელშეკრულების დადების დროს და მისი სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციისას არ წარმოადგენდა მოსარჩელის ვ. ა-ის საკუთრებას, ავტომანქანა მის სახელზე დარეგისტრირდა 2014 წლის 8 აგვისტოს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებლობის სრული დაცვით არის დარეგისტრირებული სამომავლოდ შესაძენ ნივთზე გირავნობის უფლება, რომელიც მხოლოდ დამგირავებლის საკუთრებაში აღრიცხვისას ტრანსფორმირდება – მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, შესაბისად, ნივთი უფლებრივად უნაკლოა. ამასთან, სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ 2016 წლის 3 ოქტომბერს საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილ 2016 წლის 26 სექტემბერს გაცემულ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს შესწორებულ ცნობაში პირდაპირ მიეთითა, რომ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლის რეკვიზიტებია: სანომრე ნიშანი – ..., მარკა-მოდელი მერსედეს-ბენცი E 200 CDI, ფერი – შავი, გამოშვების წელი – 2007, საიდენტიფიკაციო ნომერი – ..., სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მონმობა – ... გაცემული 28/10/2015 წ. რეგისტრირებულია ოზურგეთი ... №97-ში მცხოვრებ, მესაკუთრე ა-ე ვ. სახელზე, უფლებრივი შეზღუდვა რეგისტრირებული არ არის. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ მოსარჩელეს – ვ. ა-ეს, როგორც მესაკუთრეს არ ელახება საკუთრების უფლება და მის საკუთრებაში რეგისტრირებული ავტომობილი არის ნივთობრივად უნაკლო.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, არ არსებობს 2013 წლის 6 ნოემბერს სააქციო საზოგადოება „...“ და შპს „დ...“ შო-

რის გაფორმებული სამომავლო ქონების გირავნობის №25/34221 ხელშეკრულების საფუძველზე „მერსედეს-ბენცი E200 CDI“ VIN: ... ავტომანქანაზე სამომავლო ქონების გირავნობის რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველი, ვინაიდან სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ რეგისტრაციის საქმეზე კანონშეუსაბამობა არ დასტურდება. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების პირობებშიც, სარჩელის მიზანი მიუღწეველი დარჩება, რამდენადაც რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაშიც, ძალაშია მისი საფუძველი – 2013 წლის 6 ნოემბერს სააქციო საზოგადოება „...“ და შპს „დ...“ შორის გაფორმებული სამომავლო ქონების გირავნობის №25/34221 ხელშეკრულება, რომელზეც მოსარჩელეს დავა არ დაუწყია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სამართლებრივი თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ არგუმენტაციას, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ვ.ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ვ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სახელმწიფო სანომრე ნიშნის მემკვიდრეზე გადაცემის
წინაპირობები**

**გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბს-1179(კ-18)

16 ივლისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ყ-მა 2016 წლის 5 სექტემბერს სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მო-
პასუხეების – სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოსა და სსიპ მომსახურების სააგენტოს ქუ-
თაისის სამსახურის მიმართ და მოითხოვა სსიპ მომსახურების საა-
გენტოს ქუთაისის სამსახურის 2016 წლის 23 მაისის №MIA
61601253553 და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 ივლისის №MIA 4
1601813315 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და სახელმწიფო
სანომრე ნიშნის ... ნ. ყ-ზე უსასყიდლოდ გადაცემა.

მოსარჩელის მითითებით, ა. ყ-მა შეიძინა ავტომანქანის სარე-
გისტრაციო ნომერი ..., ნომრის შესაძენად გადაიხადა 350 ლარი და
სანომრე ნიშანი მიეკუთვნა სატრანსპორტო საშუალებას მარკა მო-
დელი BMW 318. აღნიშნული ავტომანქანა გაიყიდა 2015 წლის ოქ-
ტომბრის თვეში, ხოლო სარეგისტრაციო ნომერი ჩაბარებული იქნა
შესანახად 7 თვის ვადით 2016 წლის 22 მაისამდე, ვიდრე არ შეი-
ძენდნენ სხვა ავტომობილს. სანომრე ნიშნის მესაკუთრე ა. ყ-ი გარ-
დაიცვალა 2016 წლის 12 იანვარს. მისი პირველი რიგის მემკვიდრე
არის ნ. ყ-ი. მოსარჩელის მითითებით სამკვიდროში შემავალი ქო-
ნების (აქტივისა და პასივის) მისაღებად 2016 წლის 18 მაისს მან
სანოტარო ბიუროში წარადგინა განცხადება სამკვიდროს მიღების
შესახებ. ამავე დროს სამკვიდროს გახსნის დღიდანვე ფაქტიურად
შეუდგა სამკვიდროს ფლობას. აიღო პასუხისმგებლობა მამკვიდ-
რებლის ვალდებულებების შესრულებაზე. მოსარჩელის მითითე-

ბით, 21 მაისს მიმართა სსიპ მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სამსახურს და მოითხოვა არ მომხდარიყო სანომრე ნიშნის გასაყიდად გამოტანა, რადგან ამით დაირღვეოდა მემკვიდრის უფლებები და გარდაცვლილის მემკვიდრე ვერ მიიღებდა სამკვიდროში შემავალ 350 ლარად ღირებულ ქონებას, რაზედაც მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სამსახურის მიერ მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ყ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ყ-მა და მოითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ყ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ყ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სამსახურის 2016 წლის 23 მაისის №MIA 6 16 01253553 და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 21 ივლისის №MIA 4 16 01813315 გადაწყვეტილებები და სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სამსახურს დაევალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან კანონით განსაზღვრულ ვადაში.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ყ-მა შეიძინა ავტომანქანის სარეგისტრაციო ნომერი ..., რომელიც მიეკუთვნა სატრანსპორტო საშუალებას – მოდელი BMW 318. აღნიშნული ავტომანქანა გაიყიდა 2015 წლის ოქტომბრის თვეში და სარეგისტრაციო ნომერი ჩაბარებულ იქნა შესანახად 7 თვის ვადით – 2016 წლის 22 მაისამდე, სხვა ავტომობილის შექენამდე. 2016 წლის 12 იანვარს გარდაიცვალა ა. ყ-ი. 2016 წლის 18 მაისს №160524561 სანოტარო აქტით ნ. ყ-ის მიმართ გაიცა სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების წარდგენის შესახებ მონმობა, რომლითაც ნ. ყ-ს – ა. ყ-ის პირველი რიგის მემკვიდრეს (შვილი) უფლება მიეცა რო-

გორც სამკვიდროს მმართველ მემკვიდრეს ემართა სამკვიდრო სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლამდე ან სამკვიდრო მონუმობის მიღებამდე. ამავე მონუმობაში აღინიშნა, რომ სამკვიდრო მონუმობა გაიცემოდა 2016 წლის 12 ივლისის შემდეგ. 2016 წლის 20 მაისს ნ. ყ-მა განცხადებით მიმართა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სერვისების ბიუროს ქ. ქუთაისის სამსახურს და მოითხოვა გარდაცვლილ ა. ყ-ის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონუმობის გაცემამდე სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოსათვის შესანახად ჩაბარებული სარეგისტრაციო ნომრის – ... რეალიზაციის შეჩერება, ან აღნიშნული სანომრე ნიშნის ნ. ყ-ზე, როგორც სამკვიდრო ქონების მმართველზე, გადაცემა.

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სერვისების ბიუროს ქ. ქუთაისის სამსახურის უფროსის 2016 წლის 23 მაისის №MIA 6 16 01253553 გადანყვეტილებით ნ. ყ-ის განცხადება არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ სსიპ საქართველოს მომსახურების სააგენტო შესანახად ჩაბარებულ სარეგისტრაციო ნომერს შენახვისათვის დადგენილ ვადაში გასცემს რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ჩაბარების მომენტისათვის სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემებით განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრის მემკვიდრის (და არა სამკვიდროს მმართველის) მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნულ პირზე რეგისტრირებულ შესაბამის მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე, ხოლო სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოსათვის შესანახად ჩაბარებული სარეგისტრაციო ნომრის შენახვისათვის დადგენილი ვადის შეჩერებას სამკვიდრო მონუმობის გაცემამდე მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ნ. ყ-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სერვისების ბიუროს ქ. ქუთაისის სამსახურის უფროსის 2016 წლის 23 მაისის №MIA 6 16 01253553 გადანყვეტილების ბათილად ცნობა, 2016 წლის 12 ივლისამდე სანომრე ნიშნის გასაყიდად გამოტანის შეჩერება და სამკვიდრო მონუმობის წარდგენის შემდეგ დამატებითი საზღაურის გარეშე გადაცემა, როგორც გარდაცვლილის პირველი რიგის მემკვიდრეს სამკვიდროს მასაში შემავალი ფასიანი სანომრე ნიშანი.

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 21 ივლისის №MIA 4 16 01813315 გადანყვეტილებით ნ. ყ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ

საფუძვლით, რომ რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) შენახვა წარმოადგენს მომსახურების განწევას, რისთვისაც კანონი განსაზღვრავს კონკრეტულ ვადას, რომლის განმავლობაშიც განისაზღვრება მომსახურების სააგენტოს ვალდებულება შეინახოს ჩაბარებული რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი) და რომლის შეჩერება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. ამასთანავე, შესანახად ჩაბარებული სახელმწიფო სანომრე ნიშნის გაცემა მომსახურების სააგენტოდან შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ შენახვისთვის დადგენილ ვადაში და შესაბამისი უფლების მქონე პირის მოთხოვნის საფუძველზე (მასზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე), აღნიშნული ორი პირობა არის კუმულაციური და სხვაგვარ რეგულაციებს საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-6 პუნქტზე და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციასა და რეგისტრაციის გაუქმებას ახორციელებს, რეგისტრაციის მონმობას, რეგისტრაციის ნომერს (სახელმწიფო სანომრე ნიშანს ან ნიშნებს), ტექნიკურ ტალონს, სხვა სახის სარეგისტრაციო ნიშნებს გასცემს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციას და ნომრის გაცემას ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით დამტკიცებული „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების“ დაცვით. სარეგისტრაციო ნომრის გაცემა უშუალოდ არის დაკავშირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების არსებობასა და რეგისტრაციასთან. სწორედ ამიტომ, დაინტერესებული პირი ვალდებულია სააგენტოს ჩასაბარებლად წარუდგინოს სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემებით განსაზღვრული რეგისტრირებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის შეცვლასთან დაკავშირებით რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელებისას სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემებით განსაზღვრული მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გაცემული რეგისტრაციის ნომერი. ამასთანავე, 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით დამტკიცებული „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტი ითვალისწინებს 7 თვის ვადით ავტოსატრანსპორტო საშუალების ნომრის შენახვის შესაძლებლობას, შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ. ასეთ შემთხვევაში, შენახვის ვადის განმავლობაში რე-

გისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ჩაბარების მომენტისათვის სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემებით განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის ან მისი მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნულ პირზე რეგისტრირებულ შესაბამის მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გაცივმა ფაქტობრივად ჩაბარებული რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი). ამდენად, ჩაბარებული სახელმწიფო სანომრე ნიშნის გამოსაყენებლად შენახვის 7-თვიანი ვადის განმავლობაში უფლებამოსილმა პირმა – სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემებით განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრემ ან მისმა მემკვიდრემ უნდა წარადგინოს მოთხოვნა სანომრე ნიშნის გაცივებაზე და წარადგინოს მის სახელზე რეგისტრირებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე და 1421-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში ა. ყ-მა ავტომანქანის სარეგისტრაციო ნომერი ..., ავტოსატრანსპორტო საშუალების გაყიდვის შემდეგ, ჩააბარა შესანახად 7 თვის ვადით – 2016 წლის 22 მაისამდე და გარდაიცვალა აღნიშნული ვადის დადგომამდე, ნ. ყ-მა როგორც მისმა პირველი რიგის მემკვიდრემ, მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოსადმი მიმართვის მომენტისათვის სამკვიდრო მონაშთი გაცივებული არ ყოფილა, ის დანიშნული იყო სამკვიდროს მმართველად და შესაბამისად, მიიღო მემკვიდრეობით ა. ყ-ის უფლება – შენახული სანომრე ნიშნის მოთხოვნის თაობაზე, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლის შესაბამისად, სამკვიდროს მიმართ საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტად სამკვიდროს გახსნა ითვლება და სამკვიდრო ქონებაში შედის არა მხოლოდ მოძრავი ან უძრავი ნივთი, არამედ ის უფლებებიც, რომლების მამკვიდრებელს გარდაცვალების მომენტისათვის გააჩნდა.

სააპელაციო პალატამ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთებისას განმარტა, რომ ვინაიდან სანომრე ნიშნის გაცივმა უშუალოდ უკავშირდება პირის სახელზე რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების წარდგენას, არსებობდა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნობისა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცივების დავალების წინაპირობა, რა დროსაც მოპასუხემ უნდა დადგინოს ნ. ყ-ის სახელზე ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციისა და მისი სააგენტოში წარდგენის ფაქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-

მეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და წინააღმდეგობაში მოდის მასთან, შესაბამისად, იგი უნდა გაუქმდეს. კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები კუმულაციურად განსაზღვრავს ორ პირობას: დაინტერესებული პირი აუცილებლად უნდა იყოს მემკვიდრე და მეორე, სანომრე ნიშნის გაცემის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს მხოლოდ დაინტერესებული პირის სახელზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე. არცერთი გარემოება ნ. ყ-ის შემთხვევაში სახეზე არ იყო, თუმცა სასამართლო დაუსაბუთებლად მსჯელობს მხოლოდ ერთ საფუძველზე, რაც ასევე არასწორია. კასატორის მოსაზრებით, თბილისის სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში არასწორად განმარტავს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ განეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შენიშვნის მე-3⁴ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს. მოცემული ქვეპუნქტით განსაზღვრული ტერმინ „მემკვიდრის“ წნორი ინტერპრეტაციისთვის სასამართლოს უნდა ემსჯელა ამ ნორმის ზოგადი კონტექსტიდან გამომდინარე. აღნიშნულ ნორმაში გამოყენებული ტერმინი მემკვიდრე არ გულისხმობს და არც შეიძლება გულისხმობდეს გარდაცვლილი პირის ქონებრივი უფლება-მოვალეობების მიმღებ შესაძლო ერთ-ერთ კანდიდატს, ვინაიდან, სანოტარო ორგანოსათვის მემკვიდრეობის მიღების შესახებ მიმართვა ჯერაც არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად მიიღებს მემკვიდრეობას. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ განეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შენიშვნის მე-3⁴ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ტერმინი მემკვიდრე გულისხმობს პირს, რომელიც არის გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლე და არა უფლებამონაცვლეობის კანდიდატი. ამ ტერმინის სხვაგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოდის საჯარო წესრიგთან და ზემოაღნიშნული კანონის მიზანთან. კანონის მიზანია, რომ შესაძლებლად ჩაბარებული სანომრე ნიშანი დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე გასცეს უშუალოდ ამ პი-

რის ან მისი უფლებამონაცვლის სახელზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიდგომა გამსჭვალულია იმ სულისკვეთებით, რომ სანომრე ნიშანი არის სამკვიდროს შემადგენელი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ თავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო შეიცავს მამკვიდრებლის, როგორც ქონებრივი უფლების, ისე მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის, ამასთან 1470-ე მუხლი მოიაზრებს სამკვიდრო მასად ისეთ „სამართლებრივ სიკეთეს“, რომლის განკარგვა შეუძლია მემკვიდრეს/მემკვიდრეებს, ხოლო სახელმწიფო სანომრე ნიშანი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს საკუთრებას და მისი, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული უფლების განკარგვა დაუშვებელია. სანომრე ნიშნის შენახვა ხდება ავტომატურად და ადმინისტრაციული ორგანოს ქონებრივ ვალდებულებას დაინტერესებული პირის მიმართ არ წარმოშობს. სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია არის საჯარო-სამართლებრივი აქტი და იგი უნდა გამოიციეს მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, საკითხი უნდა მონესრიგდეს სპეციალური ნორმების საფუძველზე და მემკვიდრედ ყოფნა უნდა დადასტურდეს სამკვიდრო მონმობით, რამეთუ მემკვიდრეთა სიმრავლის შემთხვევაში კანონი მოითხოვს ყველას თანხმობას რეგისტრაციაზე, რის გამოკლევაც მომსახურების სააგენტოს მიერ შესაძლებელია მხოლოდ სამკვიდრო მონმობის საფუძველზე.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის №150 ბრძანებით დამტკიცებული „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ნორმებიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) შენახვა წარმოადგენს მომსახურების განევას რისთვისაც კანონი განსაზღვრავს კონკრეტულ ვადას, რომლის განმავლობაშიც განისაზღვრება მომსახურების სააგენტოს ვალდებულება შეინახოს ჩაბარებული რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი) და რომლის შეჩერება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. ამასთანავე ცხადია, რომ შესანახად ჩაბარებული სახელმწიფო სანომრე ნიშნის გაცემა მომსახურების სააგენტოდან შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ შენახვისთვის დადგენილ ვადაში და შესაბამისი უფლების მქონე პირის მოთხოვნის საფუძველზე (მას-

ზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე) აღნიშნული პირობა არის კუმულაციური და სხვაგვარ რეგულირებას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ იმ საკითხზე, წარმოადგენდა თუ არა უფლებამოსილ პირს ნ. ყ-ი და არ იმსჯელა მეორე აუცილებელ პირობაზე – დადგენილ ვადაში უფლებამოსილმა პირმა მიმართა თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოს, მასზედ რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე სანომრე ნიშნის გაცემისთვის, რასაც ძირითადად დაეყრდნო რუსთავის საქალაქო სასამართლო და რაც პირდაპირ დგინდება ნ. ყ-ის განცხადებიდან და ადმინისტრაციული საჩივრიდან, რადგან ნ. ყ-ს რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალება არ ჰქონდა განცხადების წარდგენის დროისათვის. ამდენად, როდესაც სააპელაციო სასამართლო აუქმებდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, უნდა გამოერიცხა ის სამართლებრივი დასაბუთება, რასაც ეს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა, თუმცა, მიუხედავად ამისა სრულიად ღიად დატოვა აღნიშნული საკითხი.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ სანომრე ნიშნის შენახვა არ წარმოადგენს მიბარების ხელშეკრულებას. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 763-ე მუხლის თანახმად, მიბარების ხელშეკრულებით შემნახველი კისრულობს შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის ჩაბარებული მოძრავი ნივთი, ხოლო სახელმწიფო სანომრე ნიშანი განკუთვნილია სატრანსპორტო საშუალების საგზაო მოძრაობაში დაშვებისათვის გაცემულ სარეგისტრაციო ნომერს და იგი არ წარმოადგენს მომსახურების მიმღების საკუთრებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 11 დეკემბრის განჩინებით სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ნ. ყ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უა-

რის თქმის თაობაზე.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ საქმეზე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს, როგორც გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ასევე სახელმწიფო სანომრე ნიშნის ... ნ. ყ-ისათვის უსასყიდლოდ გადაცემა.

საქმეზე დადგენილია, რომ ა. ყ-მა 350 ლარით შეიძინა ავტომანქანის სარეგისტრაციო ნომერი სანომრე ნიშანი მიეკუთვნა სატრანსპორტო საშუალებას მარკა, მოდელი BMW 318. აღნიშნული ავტომანქანა გაიყიდა 2015 წლის ოქტომბრის თვეში, სარეგისტრაციო ნომერი ჩაბარდა შესანახად 7 თვის ვადით 2016 წლის 22 მაისამდე, სხვა ავტომობილის შეძენამდე. სანომრე ნიშნის მესაკუთრე ა. ყ-ი გარდაიცვალა 2016 წლის 12 იანვარს. 2016 წლის 18 მაისის №160524561 სანოტარო აქტით, სამკვიდროს მიღების შესახებ განცხადების წარდგენის შესახებ მოწმობით, ნ. ყ-ს როგორც სამკვიდროს მმართველ მემკვიდრეს, უფლება მიენიჭა სამკვიდროს გახსნის დღიდან ექვსი თვის გასვლამდე განკარგოს სამკვიდრო.

დადგენილია, რომ 2016 წლის 20 მაისს მოსარჩელე ნ. ყ-მა განცხადებით მიმართა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სერვისების ბიუროს რეგიონული მართვის სამმართველოს ქ. ქუთაისის სამსახურის უფროსს დ. გ-ს და მოითხოვა გარდაცვლილ ა. ყ-ის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის მიღებამდე სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოსათვის შესანახად ჩაბარებული №... სარეგისტრაციო ნომრის რეალიზაციის შეჩერება, ან აღნიშნული სანომრე ნიშნის ნ. ყ-ზე, როგორც სამკვიდრო ქონების მმართველზე გადაცემა.

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სერვისების ბიუროს ქ. ქუთაისის სამსახურის უფროსის 2016 წლის 23 მაისის №MIA61601253553 გადანყვეტილებით ნ. ყ-ის 2016 წლის 20 მაისის განცხადება გარდაცვლილ ა. ყ-ის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემამდე, სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოსათვის შესანახად ჩაბარებული №... სარეგისტრაციო ნომრის შენახვისათვის დადგენილი ვადის შეჩერება (რეალიზაციის შეჩერება) ან აღნიშნული სანომრე ნიშნის ნ. ყ-ზე, როგორც სამკვიდრო ქონების მმართველზე გადაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ სსიპ საქართველოს მომსახურების სააგენტო შესანახად ჩაბარებულ სარეგისტრაციო ნომერს შენახვისათვის დადგენილ ვადაში გაცემს რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომ-

რე ნიშნის) ჩაბარების მომენტი სათვის სარეგისტრაციო (სააღრიცხვო მონაცემებით განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრის მემკვიდრის (და არა სამკვიდროს მმართველის) მოთხოვნის საფუძველზე აღნიშნულ პირზე რეგისტრირებულ შესაბამის მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე, ხოლო სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოსათვის შესაბამისად ჩაბარებული სარეგისტრაციო ნომრის შენახვისათვის დადგენილი ვადის შეჩერებას სამკვიდრო მონუმობის გაცემამდე მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. აღნიშნული ნ. ყ-ის მიერ გასაჩივრდა ერთჯერადად ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.

საქმეში წარმოდგენილი სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 21 ივლისის №MIA 4 1601813315 გადაწყვეტილებით ნ. ყ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, იმ საფუძველით, რომ რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) შენახვა წარმოადგენს მომსახურების განევას, რისთვისაც კანონი განსაზღვრავს კონკრეტულ ვადას, რომლის განმავლობაშიც განისაზღვრება მომსახურების სააგენტოს ვალდებულება შეინახოს ჩაბარებული რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი) და რომლის შეჩერება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. ამასთანავე ცხადია, რომ შესაბამისად ჩაბარებული სახელმწიფო სანომრე ნიშნის გაცემა მომსახურების სააგენტოდან შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ შენახვისთვის დადგენილ ვადაში და შესაბამისი უფლების მქონე პირის მოთხოვნის საფუძველზე (მასზე რეგისტრირებულ სატრანსპორტო საშუალებაზე). აღნიშნული ორი პირობა არის კუმულაციური და სხვაგვარ რეგულაციებს საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტზე, რომელიც ადგენს, რომ სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის შედეგად გაიცემა რეგისტრაციის მონუმობა და რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი ან ნიშნები) რომლის უფლებამოსილებასაც ამავე მუხლის მე-6 პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ახორციელებს. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას, რომ სახელმწიფო სანომრე ნიშანი წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს საკუთრებას, სანომრე ნიშანი, როგორც აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უფლებამოსილებას ანიჭებს მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მძღოლს იმობას

შეუზღუდავად საგზაო წესების დაცვის შესაბამისად და მისი, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული უფლების განკარგვა დაუშვებელია. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების სანომრე ნიშნის ქონებად მიჩნევას გამორიცხავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლი, განკარგვის ელემენტის არარსებობის გამო. კერძოდ, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, რომელზედაც არის მიმაგრებული სანომრე ნიშანი არ აქვს სანომრე ნიშნის განკარგვის უფლება, სანომრე ნიშანი არ წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის ობიექტს, რაც გამორიცხავს მისი შემძენის მიმართ ამ უკანასკნელის საკუთრების უფლების ობიექტად მიჩნევას, ამდენად უსაფუძვლოა სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ ნ. ყ-მა როგორც სამკვიდროს მმართველმა, სატრანსპორტო საშუალებების და სანომრე ნიშნებთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი რეგულაციების გვერდის ავლით, მემკვიდრეობით მიიღო ა. ყ-ის სამკვიდროში შემავალი უფლება – შენახული სანომრე ნიშნის მოთხოვნის თაობაზე. სანომრე ნიშნის შსს მომსახურების სააგენტოში ჩაბარება შენახვის ვადით არ ნიშნავს მხარეთა შორის ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების წინაპირობას, იმისათვის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით განახორციელოს თავისი საქმიანობის მმართველობის ფორმა უნდა არსებობდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი სავალდებულო ელემენტი – საჯარო ინტერესი, რაც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არ იკვეთება, უფრო მეტიც მხარეთა შორის არც სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების კერძოდ კი – მიზარების ხელშეკრულების დადების ფაქტს აქვს ადგილი, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. მოცემულ შემთხვევაში კი მხარეთა შორის არსებული ურთიერთობისათვის არცერთი ზემოთ ხსენებული ელემენტი არ არსობებს, ამასთან სანომრე ნიშნის ჩაბარება ადმინისტრაციული ორგანოსათვის სავალდებულოა, შესაბამისი პირობების არსებობისას და არ არის დამოკიდებული მხარეთა შორის თავისუფალი ნების გამოვლენაზე.

საქმეში წარმოდგენილია კომპეტენტური ორგანოს ქ. ქუთაისის სამსახურის უფროსის 2016 წლის 23 მაისის №MIA61601253553 გადაწყვეტილება, რომელშიც აღინიშნა, ის სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც არ დაკმაყოფილდა ნ. ყ-ის მოთხოვნა სანომრე ნიშნის გასხვისების აკრძალვის თაობაზე, შესაბამისად საკასაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს, აქვს თუ არა სამართლებ-

რივი საფუძველი მოსარჩელის მოთხოვნას და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება შეესაბამება თუ არა კონკრეტული ურთიერთობის მონესრიგებისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვარის მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ №150 ბრძანების მე-18 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გარდა ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, დაინტერესებული პირი ვალდებულია სააგენტოს ჩასაბარებლად წარუდგინოს: სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემებით განსაზღვრული რეგისტრირებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის (დროებით რეგისტრაციის შემთხვევაში – დეკლარანტის) ან მოსარგებლის, შეცვლასთან დაკავშირებით რეგისტრაციაში ცვლილებების განხორციელებისას, ამ ცვლილებების განხორციელებამდე სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემებით განსაზღვრული მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე გაცემული რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი); ხოლო მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებითა და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, სააგენტო ვალდებულია: ა) ჩაბარებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ე1“- „ე5“, „ე7“, „ზ2“ და „ზ3“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი) შეინახოს არაუმეტეს 7 თვისა, ხოლო ამ ვადაში რეგისტრაციის ნომერის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ჩაბარების მომენტიდან სარეგისტრაციო (სააღრიცხვო) მონაცემებით განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის (დროებითი რეგისტრაციის შემთხვევაში – დეკლარანტის) ან მოსარგებლის, ან მისი მემკვიდრის/სამართალმემკვიდრის (ორგანიზაციის შემთხვევაში – აგრეთვე უფლებამონაცვლის) მოთხოვნისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლის არსებობისას, გასცეს ფაქტობრივად ჩაბარებული რეგისტრაციის ნომერი (სახელმწიფო სანომრე ნიშანი) აღნიშნულ პირზე რეგისტრირებულ შესაბამის მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებაზე;

მითითებული ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად, სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული სერვისების ბიუროს ქ. ქუთაისის სამსახურში არსებული მონაცემებით ა. ყ-

მა მის კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაზე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ განეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ე⁷.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გაცემული სანომრე ნიშანი ... მომსახურების სააგენტოს ჩააბარა შესაბამისად 2015 წლის 21 ოქტომბერს კანონმდებლობით დადგენილი 7 თვის ვადით და შესაბამისად შენახვის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 22 მაისამდე. ამდენად, სახეზეა ნორმატიული აქტის საფუძველზე წარმოქმნილი გარკვეული სახის სამართლებრივი შედეგი. ა. ყ-ის გარდაცვალებით, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე გახდა მისი შვილი – ნ. ყ-ი, რომლის განცხადებაც „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვარის №150 ბრძანების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საფუძვლად დაედო სარეგისტრაციო საქმისწარმოების დაწყებას.

მოცემულ შემთხვევაში 2016 წლის 20 ივნისს ნ. ყ-მა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს და მოითხოვა სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სამსახურის 2016 წლის 23 მაისის №MIA61601253553 გადანყვეტილების ბათილად ცნობა, სანომრე ნიშნის გასაყიდად გამოტანის შეჩერება 2016 წლის 12 ივლისამდე და სამკვიდრო მონაწილის წარდგენის შემდეგ დამატებითი საზღაურის გარეშე გადაცემა, როგორც გარდაცვლილის პირველი რიგის მემკვიდრეს სამკვიდროს მასაში შემავალი ფასიანი სანომრე ნიშანი.

საკასაციო პალატა მიუთითებს „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვარის №150 ბრძანების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომელიც ითვალისწინებს 7-თვიან ვადაში სანომრე ნიშნის გაცემის ვალდებულებას, თუ ამ ვადაში წარდგენილი იქნება რეგისტრაციის ნომერის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ჩაბარების მომენტი-სათვის სარეგისტრაციო (საალრიცხვო) მონაცემებით განსაზღვრული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრის ან მოსარგებლის, ან მისი მემკვიდრის/სამართალმემკვიდრის მოთხოვნა და აღნიშნულ პირზე რეგისტრირებულ შესაბამის მექანიკურ სატრანსპორტო საშუალება. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სატრანსპორტო საშუალებაზე მიმაგრებული სანომრე ნიშნის ჩაბარებიდან არაუმეტეს 7 თვისა, ზემოაღნიშნულ ნორმა-

ში მითითებული უფლებამოსილი პირები, ინარჩუნებენ სანომრე ნიშნის დაბრუნების უფლებას, იმ შემთხვევაში თუ მათ მიერ შესაბამის მოთხოვნასთან ერთად წარდგენილი იქნება მათზე რეგისტრირებული შესაბამისი მექანიკური სატრანსპორტო საშუალება. ნ. ყ-ის, როგორც სამკვიდროს მმართველის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სანომრე ნიშნის შენახვისათვის მოთხოვნის უფლება გამოირიცხება იმის გამო, რომ მის მიერ იმპერატიულად დადგენილ 7-თვიან ვადაში, წარდგენილია მხოლოდ მოთხოვნა სანომრე ნიშნის გასხვისების აკრძალვის თაობაზე, ხოლო სანომრე ნიშნის გაცემისათვის სავალდებულო მეორე პირობა – რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალების სავალდებულოობის თაობაზე ვერ იქნა დაკმაყოფილებული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ნ. ყ-ის მიერ 2016 წლის 18 მაისს სანოტარო ორგანოში წარდგენილი განცხადება, ა. ყ-ის სამკვიდრო ქონების მიღების შესახებ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თავისთავად აქცევს მას მემკვიდრედ და შესაბამისად, სანომრე ნიშნის მიღების უფლებამოსილ სუბიექტად, თუმცა ვინაიდან მოსარჩელის მიერ ვერ იქნა დაკმაყოფილებული „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესების შესახებ“ შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვარის №150 ბრძანებით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნა – სატრანსპორტო საშუალების წარდგენის აუცილებლობის თაობაზე, გამოირიცხება მოსარჩელის ლეგიტიმური მოლოდინის არსებობა, აღნიშნული ინტერესის არსებობისთვის საკმარისი და სათანადო საფუძველის არარსებობის გამო. ნ. ყ-ის მოლოდინი, სარეგისტრაციო ნომერზე უფლების მოპოვების თაობაზე, არ ეფუძნებოდა რაიმე სამართლებრივ დანაწესს ან სამართლებრივ აქტს და ის ემყარებოდა იმედს, რომ მემკვიდრეობის მიღებით მის მიმართ ადმინისტრაციული ორგანო გააგრძელებდა სანომრე ნიშნის შენახვისათვის დადგენილ 7-თვიან ვადას, რისი უფლებამოსილებაც მოპასუხეს არ გააჩნია (Ramaer and Van Willigen v. the Netherlands), No. 34880/12, 23.10.2012. 81-ე პარაგრაფი). ლეგიტიმური მოლოდინის არარსებობის გამო, გამოირიცხება როგორც გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, ასევე სახელმწიფო სანომრე ნიშნის ... ნ. ყ-ზე უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე მოთხოვნის საფუძვლიანად მიჩნევის შესაძლებლობა.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ ვინაიდან სანომრე ნიშნის ჩაბარება განხორციელდა 2015 წლის ოქტომბრის თვიდან 2016 წლის 22 მაისამდე და კანონით დადგენილი 7-თვიანი ვადა უკვე გასულია, ზემოაღნიშნული №150 ბრძანების მე-18 მუხლის

მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს არ წარმოეკმნება ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წესით რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) გაცემის ვალდებულება. ა. ყ-ის მემკვიდრეები ნორმატიული აქტით, კერძოდ კი, მინისტრის ბრძანებით დადგენილი ვადის გასვლის გამო ვერ მიიჩნევიან მოთხოვნის უფლების მატარებელ სუბიექტებად, თუნდაც მათ მიერ წარდგენილ იქნეს სატრასპორტო საშუალება, რაზედაც შეიძლება მიმაგრდეს სანომრე ნიშანი, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სანომრე ნიშნის გაცემა წინააღმდეგობაში მოვა ზემოთ ხსენებულ ბრძანებასთან. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია, რამდენადაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დაევალა საკითხის ხელახლა განხილვა, ისეთ პირობებში, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 31 იანვრის № 150 ბრძანებით დამტკიცებული „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაციის წესები“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ განეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონი იმპერატიულ დანაწესს შეიცავს სანომრე ნიშნის შენახვის 7-თვიან ვადასთან და სატრანსპორტო საშუალების წარდგენის აუცილებლობასთან დაკავშირებით და სანომრე ნიშნის გაცემის შესახებ რაიმე სხვა სახის რეგულაცია კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების მატერიალურ-პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე და 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ნ. ყ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ნ. ყ-ს სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 300 ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აქტების კანონიერება

დაზადავის სააქტო ჩანაწერში ცვლილების შეტანის
შესახებ მოთხოვნის საფუძველი

განჩინება
საქართველოს სახელით

№ბს-874-866(კ-16)

25 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებ-
რივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრა-
ციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-მა 2014 წლის 4 ნოემბერს აღძრა სარჩელი თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მო-
პასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერ-
ვისების განვითარების სააგენტოსა და სახელმწიფო სერვისების
განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის თბილისის სამ-
სახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა: ბათილად იქნეს ცნობილი
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო
რეესტრის თბილისის სამსახურის 2014 წლის 18 ივნისის №... გა-
დანყვეტილება, ბათილად იქნეს ცნობილი სახელმწიფო სერვისე-
ბის განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის 2014 წლის 8
ოქტომბრის №... გადანყვეტილება და გამოცემულ იქნეს ახალი ად-
მინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც
ცვლილება/შესწორება განხორციელდება დაბადების მონმობაში
(მონმობა №...) და გაუქმდება (სამოქალაქო აქტის ჩანაწერი – და-
ბადების სააქტო ჩანაწერი) საჩივრის ავტორის, როგორც სუროგა-
ტი დედის დაბადების მონმობაში მითითების ნაწილში.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2011 წლის 27 ივლისს გაფორ-
მდა ხელშეკრულება ირლანდიის მოქალაქე პ. კ-სა და შპს „...“ შო-
რის. აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე სააგენტოს პ. კ-ისთვის
უნდა მოეძიებინა და შეერჩია სუროგატი დედა. შედეგად, სურო-

გატ დედად შეირჩა მ. მ-ი, რომელთანაც სააგენტომ 2010 წლის 3 ნოემბერს გააფორმა ხელშეკრულება. შეთანხმება იქნა გაფორმებული ასევე თვით პ. კ-სა და მ. მ-ს შორის. თავის მხრივ, გაფორმდა ხელშეკრულება მ. მ-სა (სუროგატი დედა) და შპს „...“ შორის.

2011 წლის 1 ოქტომბერს სომხეთში განხორციელდა განაყოფიერებული ემბრიონის გადატანა სუროგატ დედაში. 2012 წლის 29 ივნისს სუროგატმა დედამ დაბადა ბავშვი, მ. ჯ. კ-ი, რომლის დაბადებაზეც გაიცა შესაბამისი დაბადების მოწმობა №... სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ძველი თბილისის სამსახურის მიერ, სადაც მამად ფიქსირდება პ. კ-ი, ხოლო დედად მ. მ-ი (სუროგატი დედა).

მოსარჩევე მიუთითებდა, რომ სწორედ დაბადების მოწმობაში არის დაფიქსირებული შეცდომა დედის ნაწილში, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც კრძალავს სუროგატი დედის ჩანერას დაბადების მოწმობაში. მოსარჩელის მიზანს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ დაშვებული ხარვეზის შესწორება, რაც გულისხმობს სუროგატი დედის ამონერას ბავშვის დაბადების მოწმობიდან, რადგან სუროგატ დედას არც გენეტიკური თუ ბიოლოგიური და არც სამართლებრივი კუთხით არანაირი კავშირი არ გააჩნია ექსტრაკორპორული გზით დაბადებულ ბავშვთან, ასევე საქართველოს კანონმდებლობით (საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ 143-ე მუხლი, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება №18-ის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი) სუროგატ დედას არ აქვს დაბადებულ ბავშვზე მშობლად ცნობის უფლება და დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად სუროგატი დედის მითითება დაუშვებელია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 დეკემბრის საოქმო განჩინების თანახმად: საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა პ. კ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით მ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის განჩინებით აპელანტის საა-

პელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მიუთითა, რომ 2010 წლის 3 ნოემბერს შპს „...“ და სუროგატ დედა მ. მ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება მასზედ, რომ სააგენტო უწევს მომსახურებას სუროგატს საკუთარი მონაცემების დაფიქსირების სურვილის შემთხვევაში, შეიყვანოს სუროგატი სააგენტოს სუროგატთა მონაცემთა ბაზაში და ბიოლოგიური მშობლების სურვილის შემთხვევაში დააკავშიროს პოტენციურ მშობლებთან. მითითებული ხელშეკრულების შინაარსი ცხადყოფს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება არ შეიცავს ინფორმაციას კონკრეტული წყვილის თაობაზე. მ. მ-მა ასევე განაცხადა თანხმობა იყოს პოტენციური მშობლის სუროგატი დედა და მის მიმართ კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება სამედიცინო ცენტრ „...“ (... რესპუბლიკა) მიერ გაცემული ცნობის თანახმად, აღნიშნულ ცენტრთან არსებული ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრში, 2011 წლის 1 ოქტომბერს წარმოებულია 4 ემბრიონის გადატანა სუროგატი დედისათვის – მ. მ-ისათვის. ამავე საზოგადოების მიერ 2014 წლის 24 ოქტომბერს გაცემული №... ცნობის თანახმად, 2011 წლის 1 ოქტომბერს სსენებულ ცენტრში წარმოებულია ოთხი ემბრიონის გადატანა პ. კ-ისაგან სუროგატი დედისათვის – მ. მ-ისათვის.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ძველი თბილისის სამსახურის მიერ 2012 წლის 2 ივლისს რეგისტრირებული დაბადების აქტის №... ჩანაწერის თანახმად, მ. ჯ. კ-ნ დაიბადა 2012 წლის 29 ივნისს, თბილისში. მისი მშობლების მონაცემებს წარმოადგენს: მამა – პ. კ-; დედა – მ. მ-ი. ბავშვის მამის შესახებ მონაცემების მითითების საფუძველს წარმოადგენს მამის განცხადება, ხოლო დაბადების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტია შპს „ი...“ მიერ 2012 წლის 1 ივლისს გაცემული №... ცნობა. შპს „ი...“ მიერ 2012 წლის 1 ივლისს გაცემული №... დაბადების შესახებ ცნობის თანახმად, 2012 წლის 29 ივნისს დაბადებული ბავშვის, სახელია მ. ჯ., გვარი კ-ნ, მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) წარმოადგენენ – პ. კ-ი და მ. მ-ი. აღნიშნულ ცნობაზე დაფიქსირებულია მოსარჩელე მ. მ-ის ხელმოწერა. ზემოხსენებული დაბადების სააქტო ჩანაწერის საფუძველზე გაცემულია დაბადების მოწმობა, სადაც მ. ჯ. კ-ის მშობლებად მითითებულია მამა – პ. კ-ი და დედა – მ. მ-ი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ 2014 წლის 17 აპრილს მ. მ-ის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვი-

სების განვითარების სააგენტოს და მოთხოვა №... დაბადების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სუროგატი დედის – მ. მ-ის დაბადების მოწმობიდან ამოწერა. მითითებული განცხადება ქვემდებარეობით განსახილველად გაეგზავნა ამავე სააგენტოს თბილისის სრ სამსახურს. 2014 წლის 14 მაისს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის სრ სამსახურს, დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა დაბადების აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა დედის ჩანაწერის ნაწილში. სამშობიარო „...“ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად აცნობა, რომ 2012 წლის 29 ივნისს ... იმშობიარა მ. მ-მა. მშობლების მონაცემები განისაზღვრა მშობლების მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობების საფუძველზე. მოძიებული საბუთების საფუძველზე არ იკვეთება, რომ მ. მ-ი არის სუროგატი დედა. ამავე კლინიკამ სააგენტოს 2014 წლის 10 ივნისის წერილით დამატებით აცნობა, რომ კლინიკაში მოძიებულ იქნა დამატებითი ინფორმაცია, რომლის მიხედვით, მ. მ-ი წარმოადგენდა სუროგატ დედას. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2014 წლის 18 ივნისის №... გადანყვეტილებით მ. მ-ის წარმომადგენლის განცხადება მ. ჯ. კ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერის ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2014 წლის 22 ივლისს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა №... დაბადების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სუროგატი დედის – მ. მ-ის დაბადების მოწმობიდან ამოწერა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 25 ივლისის №... წერილით მოსარჩელეს ეთხოვა მოთხოვნის დაზუსტება. მ. მ-ის წარმომადგენელმა 2014 წლის 6 აგვისტოს განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა მ. ჯ. კ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერის, კერძოდ, დედის – მ. მ-ის ნაწილში ბათილად ცნობა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2014 წლის 15 აგვისტოს №... წერილით მიმართა სამშობიარო „...“ და მოითხოვა დოკუმენტების დამოწმებული ასლების მიწოდება, სადაც მითითებულია, რომ 1977 წლის 2 სექტემბერს დაბადებული მ. მ-ი წარმოადგენს 2012 წლის 29 ივლისს დაბადებული მდედრობითი ახალშობილის სუროგატ დედას. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2014 წლის 15 აგვისტოს ასევე №... წერილით მიმართა შპს „...“ და მოითხოვა ინფორმაცია განხორციელდა თუ არა მისი დახმარებით 19... წლის 14 ივნისს დაბადებული პ. კ-ის მიერ 19...

წლის 2 სექტემბერს დაბადებული მ. მ-ის სუროგატ დედად დაქირავება, ასევე ეთხოვა შესაბამისი დოკუმენტების ასლების მიწოდება. სამშობიარო „...“ სააგენტოს აცნობა, რომ მ. მ-ის სუროგატ დედად ყოფნის ფაქტი დადგინდა მშობიარობის თანხის გადახდის მონაცემების შემოწმების საფუძველზე, კერძოდ, თანხის გადახდისას აღნიშნულ პაციენტზე მითითებულია, რომ იგი სუროგატი დედაა, თუმცა ეს ინფორმაცია დოკუმენტის სახით არ გააჩნიათ. ხოლო შპს „...“ სააგენტოს გაუგზავნა ადმინისტრაციული წარმოების მასალებში უკვე არსებული 2010 წლის 03 ნოემბრის ხელშეკრულება, 2011 წლის 17 ივლისს პ. კ-თან დადებული ხელშეკრულება და დანართი (ინგლისურენოვანი) და ცნობა სამედიცინო ცენტრ „...“. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 06 ოქტომბრის №... გადაწყვეტილებით მ. მ-ის წარმომადგენლის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. პ. კ-ი, როგორც მ. ჯ. კ-ის მშობელი, დაბადების რეგისტრაციის თანხმობას აძლევს მ. ჯ. კ-ის მშობელ დედას – მ. მ-ს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, კერძოდ, სასამართლომ სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება; თავის მხრივ, აპელანტმა თავის სააპელაციო საჩივარში ვერ გააქარწყლა პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები, ვერ მიუთითა და ვერ წარმოადგინა ისეთი არგუმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა საქმეზე დადგენილი ფაქტების სხვაგვარი სამართლებრივი შეფასება; „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად, ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ხორციელდება ამ კანონის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 143-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც ნებადართულია ექსტრაკორპორული განაყოფიერება, ესენია: ა) უშვილობის მკურნალობის მიზნით, აგრეთვე, ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით, თუ მიღებულია წყვილის წერილობითი თანხმობა; ბ) თუ ქალს არა აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის (სუროგატული დედას) საშვილოსნოში გადატანის და გამოზრდის გზით. წყვილის წერილობითი თან-

ბმობა აუცილებელია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით; დონორს ან „სუროგატულ დედას“ არა აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება.

აპელანტი სწორედ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 143-ე მუხლის მე-2 პუნქტში, ასევე „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში არსებულ რეგულაციაზე მითითებით ითხოვს მ. ჯ. კ-ის დაბადების აქტის ჩანაწერში მ. მ-ის შესახებ მონაცემების ბათილობას.

პალატა აღნიშნავს, რომ სააგენტოს მიერ ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას ან უკვე რეგისტრირებული დაბადების აქტის ჩანაწერში არსებული მონაცემების კანონიერების შესწავლისას შემოწმებული უნდა იქნეს იმ წინაპირობის არსებობა, რაც შესაძლებელს ხდის დაბადების ზემოაღნიშნული წესით რეგისტრაციას.

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით დამტკიცებული წესის 15-ე მუხლით, დაბადების რეგისტრაციის საფუძველია, ბავშვის/პირის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევაში უნდა დაერთოს შესაბამისი საბუთები. მე-16 მუხლის თანახმად, დაბადების რეგისტრაცია ხორციელდება სამედიცინო დანესებულების მიერ წარდგენილი ცნობის საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობაში მითითებულია ბავშვის ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადების შესახებ, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო დაბადების რეგისტრაციას ახორციელებს ამ წესის მე-19 მუხლით გათვალისწინებული საბუთების წარდგენისთანავე, მაგრამ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის წარდგენიდან არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა. აღნიშნულ ვადაში საბუთების წარუდგენლობის შემთხვევაში დაბადების რეგისტრაცია განხორციელდება საერთო წესით. ამავე წესის მე-19 მუხლის თანახმად, ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს უნდა წარედგინოს: ა) ექსტრაკორპორული განაყოფიერების დამადასტურებელი საბუთი, რომელიც გაცემულია სამედიცინო დანესებულების მიერ ემ-

ბრიონის იმპლანტაციისთანავე; ბ) ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე დადებული, სანოტარო წესით დამონმებული ხელშეკრულება: ბ.ა) ბავშვის გამჩენ ქალსა და გენეტიკურ მშობლებს შორის ან ბ.ბ) ბავშვის გამჩენ ქალს, გენეტიკურ მშობელს, დაბადების აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად ჩასაწერ პირსა (რომელიც არ არის ბავშვის გენეტიკური მშობელი) და დონორს შორის, ან ბ.გ) ბავშვის გამჩენ ქალს, წყვილსა და დონორებს შორის.

ზემოხსენებული წესის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად მიიჩნევიან: ა) გენეტიკური მშობლები; ბ) გენეტიკური მშობელი და ხელშეკრულების საფუძველზე დაბადების აქტის ჩანაწერში მშობლად ჩასაწერი პირი; გ) წყვილი. ხოლო მე-3 პუნქტი ადგენს, რომ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად დონორის ან „სუროგატული დედის“ მითითება დაუშვებელია. ამ შემთხვევაში მ. ჯ. კ-ის დაბადების რეგისტრაციისას სამედიცინო დაწესებულების მიერ არ იქნა მითითებული, რომ ბავშვი დაიბადა ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად და არც კანონმდებლობით გათვალისწინებული ის დოკუმენტები დაურთია ცნობისათვის, რომლებსაც ითვალისწინებს ზემოთ მითითებული მე-19 მუხლი. მოგვიანებით, 2014 წლის 11 ივნისს „...“ №... ნერილში შეცვალა პოზიცია და მიუთითა, რომ მოძიებული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე მ. მ-ი წარმოადგენს სუროგატ დედას, თუმცა არ დაუზუსტებია კონკრეტულად რა მასალები იქნა დამატებით მოპოვებული და არც დაურთია ისინი. პალატის აზრით, კლინიკის მიერ შეცვლილი პოზიცია სწორად არ იქნა გაზიარებული ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოს მიერ, რამდენადაც იგი წინააღმდეგობაშია, ჯერ ერთი, მათ მიერვე გაცემულ ცნობასთან, რომლის საფუძველზეც განხორციელდა დაბადების აქტის ჩანაწერი და მეორე, 2014 წლის 2 ივნისის №... ნერილთან, რომლითაც დადგენილია, რომ მ. მ-ი, რომ სუროგატი დედა იყო, მოძიებული საბუთების საფუძველზე არ იკვეთებოდა.

აპელანტის მიერ წარდგენილ სამედიცინო ცენტრ „...“ გაცემული ცნობის ასლზე არ ფიქსირდება სარეგისტრაციო ნომერი, გაცემის თარიღი, ასევე არ არის მითითებული თუ ვისი ემბრიონის გადატანა მოხდა ქალის საშვილოსნოში. შესაბამისად, იგი არ იქნა მიჩნეული სუროგაციის დამადასტურებელ საბუთად, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც სამედიცინო დაწესებულების მიერ ცნობა უნდა გაიცეს ემბრიონის იმპლანტაციისთანავე, რაც წარმოდგენილი დოკუმენტით არ დასტურდება.

ასევე 2011 წლის 17 ივლისს დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული „თანხმობა“, მხოლოდ ასლის სახით არის წარმოდ-

გენილი და დამონმებული არ არის სანოტარო წესით. თანხმობაში პოტენციური მშობლის მონაცემის გრაფა შეუვსებელია, არ არის დათარიღებული, მასზე მხოლოდ 2010 წელია მითითებული. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი ვერ ჩაითვლება მ. მ-ის მიერ პ. კ-ის შვილის სუროგატ დედობაზე გამოსატულ თანხმობად. პ. კ-ის მიერ 2011 წელს გამოსატული ნებისა და მ. მ-ის 2010 წელს გაცემული ზოგადი ხასიათის თანხმობის შედეგად სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობა არ დასტურდება.

ასევე აპელანტი აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ შპს „...“ და მ. მ-ს შორის დადებული 2010 წლის 3 ნოემბრის ხელშეკრულების დანართად არსებული „თანხმობა“ წარმოადგენს მ. მ-ის ნების გამოვლენას მასზე, რომ იგი იყო პ. კ-ის შვილის სუროგატი დედა.

პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული ხელშეკრულებაც მხოლოდ ასლის სახითაა წარმოდგენილი და სანოტარო წესით დადასტურებული ეგზემპლარის არსებობა არ დასტურდება. აპელანტს ასევე არ წარმოუდგენია „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 143-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წყვილის წერილობითი თანხმობა. ამასთან, პ. კ-ი, როგორც მ. ჯ. კ-ის მშობელი, დაბადების რეგისტრაციის თანხმობას აძლევს მ. ჯ. კ-ის მშობელ დედას – მ. მ-ს.

პალატა გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა და დადგინლად მიიჩნია, რომ მ. ჯ. კ-ის დაბადების რეგისტრაციისას, ადმინისტრაციულ ორგანოში, ასევე სასამართლოში საქმის განხილვისას, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია კანონმდებლობით გათვალისწინებული ის დოკუმენტები, რომლითაც უტყუარად დადასტურდებოდა მ. მ-ის საშვილოსნოში სხვა ქალის ემბრიონის გადატანის ფაქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა მიიჩნევს, რომ მ. ჯ. კ-ის მიმართ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ 2012 წლის 2 ივლისს რეგისტრირებული დაბადების აქტის ჩანაწერის რეგისტრაციისას, კერძოდ, დედის მონაცემების მითითებისას, დაცულ იქნა მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რადგან არ არსებობდა ექსტრაკორპორული განყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობები.

შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2014 წლის 18 ივნისის №... გადაწყვეტილება – მ. ჯ. კ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერის ნაწილობრივ ბათილად ცნობაზე უარის თქმის თაობაზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად მიიჩნია კანონიე-

რად და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. იმ პირობებში, როდესაც კანონიერად არის მიჩნეული სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2014 წლის 18 ივნისის №... გადაწყვეტილება მ. მ-ის წარმომადგენლის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ასევე კანონიერია მითითებულ აქტზე წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გამოცემული სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №... გადაწყვეტილება. შესაბამისად, ასევე უსაფუძვლოა სარჩელის მოთხოვნა – მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების შესახებ.

დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება და აპელანტის მიერ ვერც სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება (სსკ-ის 102-ე მუხლი), იმ გარემოებების დასადგენად, რომ არსებობს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის დავალდებულების საფუძველი.

მ. მ-მა საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივნისის განჩინება. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არასწორად იქნა შეფასებული და გამოყენებული სამართლებრივი ნორმები, რამდენადაც სუროგატი დედა არ შეიძლება იყოს სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის დაბადების მოწმობაში დაფიქსირებული ან/და თუ ასეთად რეგისტრაცია მაინც განხორციელდა, მაშინ გატარებული უნდა იქნეს კანონით დადგენილი ყველა ის ღონისძიება (მათ შორის, უპირველესად ადმინისტრაციული ორგანოს და სასამართლოს მიერ), რომლის შემდეგაც უპირობოდ მოხდება მსგავსი ჩანაწერის გაუქმება.

კასატორი მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანო და სასამართლო განსახილველ შემთხვევაში უმთავრეს აქცენტს აკეთებენ სარეგისტრაციოდ ისეთი სამართლებრივი ხასიათის/შინაარსის დოკუმენტების (სანოტარო ფორმით დამონებული ხელშეკრულება, თანხმობა და სხვა, მაშინ როცა განსახილველ შემთხვე-

ვაში, სუროგაციის გზით ორსულობის მიღება საქართველოში არ მომხდარა და შესაბამისად ასეთი ტიპის დოკუმენტების სრული კომპლექტაცია ფიზიკურად შეუძლებელია არსებობდეს სხვა ქვეყნების განსხვავებული საკანონმდებლო მოთხოვნების გამოც) წარუდგენლობაზე, რომელთა არსებობაც/წარდგენაც აუცილებელია სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის სახელზე დაბადების მოწმობის გაცემისა და დაბადების მოწმობაში არსებული წყვილის – დედისა და მამის სტატუსით მითითებისათვის. ცალსახაა, რომ აღნიშნული მსჯელობა მოკლებულია შექმნილი პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო საფუძველს, ვინაიდან მსგავსი მსჯელობის/შეფასების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას საბოლოოდ მივყავართ იქამდე, რომ ფაქტობრივად, სუროგატი დედა დარჩება ბავშვის დაბადების მოწმობის დედის გრაფაში და აღნიშნული ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს, მით უმეტეს, ეწინააღმდეგება კასატორის უფლებებს, რადგან დოკუმენტურად არსებული/დადასტურებული დედის სტატუსი ინვეს დედის მიმართ შვილის მხრიდან (რიგ შემთხვევებში სახელმწიფოს მხრიდანაც) უამრავი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი (მშობლის, მზრუნველის, კანონიერი წარმომადგენლის და სხვა) საკითხის წინ წამოწევას, მაშინ როცა სუროგაციის შინაარსიდან/პრინციპიდან გამომდინარე კასატორი – სუროგატი დედა კატეგორიული წინააღმდეგია მსგავსი ურთიერთობების წარმოშობისა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 24 იანვრის განჩინებით მ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

საკასაციო სასამართლოს 2017 წლის 25 აპრილის სასამართლო სხდომაზე კასატორის – მ. მ-ის წარმომადგენელმა დააზუსტა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საბოლოოდ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განხილვისათვის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება მოითხოვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ 2010 წლის 3 ნოემბერს შპს „...“ და სუროგატ დედა მ. მ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება მასზედ, რომ სააგენტო უწევს მომსახურებას სუროგატს საკუთარი მონაცემე-

ბის დაფიქსირების სურვილის შემთხვევაში, შეიყვანოს სუროგატი სააგენტოს სუროგატთა მონაცემთა ბაზაში და ბიოლოგიური მშობლების სურვილის შემთხვევაში დააკავშიროს პოტენციურ მშობლებთან. ხელშეკრულება არ შეიცავს ინფორმაციას კონკრეტული წყვილის თაობაზე. მ. მ-მა ასევე განაცხადა თანხმობა იყოს პოტენციური მშობლის სუროგატი დედა და მის მიმართ კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. სომხეთის რესპუბლიკის სამედიცინო ცენტრ დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება „...“ მიერ გაცემული ცნობით დგინდება, რომ დახურული სააქციო საზოგადოება სამედიცინო ცენტრ „...“ არსებული ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრში, 2011 წლის 1 ოქტომბერს წარმოებულია 4 ემბრიონის გადატანა სუროგატი დედისათვის – მ. მ-ისთვის. ამასთანავე, დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება სამედიცინო ცენტრ „...“ (... რესპუბლიკა) მიერ 2014 წლის 24 ოქტომბერს გაცემული №... ცნობის თანახმად, აღნიშნულ ცენტრთან არსებული ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრში, 2011 წლის 1 ოქტომბერს წარმოებულია ოთხი ემბრიონის გადატანა ბ-ნ პ. კ-ისგან (პასპორტის ნომერი: R ..., ბრიტანეთის მოქალაქე) სუროგატი დედისათვის – მ. მ-ისათვის, ... წლის, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, პირადი ნომერი

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ძველი თბილისის სამსახურის მიერ 2012 წლის 2 ივლისს რეგისტრირებული დაბადების აქტის №... ჩანაწერის თანახმად, მ. ჯ. კ-ი დაიბადა 2012 წლის 29 ივნისს, თბილისში. მისი მშობლების მონაცემებს წარმოადგენს: მამა – პ. კ-ი; დედა – მ. მ-ი. ბავშვის მამის შესახებ მონაცემების მითითების საფუძველს წარმოადგენს მამის განცხადება, ხოლო დაბადების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტია შპს „ი...“ მიერ 2012 წლის 1 ივლისს გაცემული №... ცნობა. შპს „ი...“ მიერ 2012 წლის 1 ივლისს გაცემული დაბადების შესახებ №... ცნობის თანახმად, 2012 წლის 29 ივნისს დაბადებული ბავშვის, სახელია მ. ჯ., გვარი კ-ი, მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) წარმოადგენენ – პ. კ-ი და მ. მ-ი. აღნიშნულ ცნობაზე დაფიქსირებულია მოსარჩელე მ. მ-ის ხელმოწერა. ზემოხსენებული დაბადების სააქტო ჩანაწერის საფუძველზე გაცემულია დაბადების მოწმობა, სადაც მ. ჯ. კ-ის მშობლებად მითითებული არიან მამა – პ. კ-ი და დედა – მ. მ-ი.

დადგენილია ასევე, რომ მ. მ-ის წარმომადგენელმა 2014 წლის 17 აპრილს განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, რომლითაც №... დაბადების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა და სუროგატი დედის – მ. მ-ის დაბადების მოწმობიდან ამოწერა მოთხოვა. მითითებული განცხადება ქვემდებარეობით განსახილველად გაეგზავნა ამავე სააგენტოს

თბილისის სრ სამსახურს. 2014 წლის 14 მაისს მოსარჩელის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის სრ სამსახურს, დააზუსტა მოთხოვნა და მოითხოვა დაბადების აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა დედის ჩანაწერის ნაწილში. სამშობიარო სახლ „...“ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად აცნობა, რომ 2012 წლის 29 ივნისს ... იმშობიარა მ. მ-მა. მშობლების მონაცემები განისაზღვრა მშობლების მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობების საფუძველზე. მოძიებული საბუთების საფუძველზე არ იკვეთება, რომ მ. მ-ი არის სუროგატი დედა. ამავ კლინიკამ სააგენტოს 2014 წლის 10 ივნისის წერილით დამატებით აცნობა, რომ კლინიკაში მოძიებულ იქნა დამატებითი ინფორმაცია, რომლის მიხედვით, მ. მ-ი წარმოდგენდა სუროგატ დედას. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2014 წლის 18 ივნისის №... გადაწყვეტილებით მ. მ-ის წარმომადგენლის განცხადება მ. ჯ. კ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერის ნაწილობრივ ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის წარმომადგენელმა 2014 წლის 22 ივლისს განცხადებით მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა №... დაბადების მოწმობის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, სუროგატი დედის – მ. მ-ის დაბადების მოწმობიდან ამოწერა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 25 ივლისის №... წერილით მოსარჩელეს ეთხოვა მოთხოვნის დაზუსტება. მ. მ-ის წარმომადგენელმა 2014 წლის 6 აგვისტოს განცხადებით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა მ. ჯ. კ-ის დაბადების სააქტო ჩანაწერის, კერძოდ, დედის – მ. მ-ის ნაწილში ბათილად ცნობა.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2014 წლის 15 აგვისტოს №... წერილით მიმართა სამშობიარო „...“ და მოითხოვა დოკუმენტების დამოწმებული ასლების მიწოდება, სადაც მითითებულია, რომ 1977 წლის 2 სექტემბერს დაბადებული მ. მ-ი წარმოდგენს 2012 წლის 29 ივლისს დაბადებული მდედრობითი ახალშობილის სუროგატ დედას. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2014 წლის 15 აგვისტოს ასევე №... წერილით მიმართა შპს „...“ და მოითხოვა ინფორმაცია განხორციელდა თუ არა მისი დახმარებით 19... წლის 14 ივნისს დაბადებული პ. კ-ის მიერ 19... წლის 2 სექტემბერს დაბადებული მ. მ-ის სუროგატ დედად დაქორავება, ასევე ეთხოვა შესაბამისი დოკუმენტების ასლების მიწოდება. სამშობიარო „...“ 2014 წლის 22 აგვისტოს წერილით სააგენტოს აცნობა, რომ მ. მ-ის სუროგატ დედად ყოფნის ფაქტი დადგინ-

და მშობიარობის თანხის გადახდის მონაცემების შემომწებების საფუძველზე, კერძოდ, თანხის გადახდისას აღნიშნულ პაციენტზე მითითებულია, რომ იგი არის სუროგატი დედა, თუმცა ეს ინფორმაცია დოკუმენტის სახით არ გააჩნიათ. ხოლო შპს „...“ სააგენტოს გაუგზავნა ადმინისტრაციული წარმოების მასალებში უკვე არსებული 2010 წლის 3 ნოემბრის ხელშეკრულება, 2011 წლის 17 ივლისს პ. კ-თან დადებული ხელშეკრულება, დანართი (ინგლისურენოვანი) და ცნობა სამედიცინო ცენტრ „...“. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის 6 ოქტომბრის №... გადამწყვეტილებით მ. მ-ის წარმომადგენლის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოცემულ შემთხვევაში სადავოა სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სამედიცინო დაწესებულებების მონაწილეობით სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის რეგისტრაციის შესახებ სამოქალაქო აქტში დედის შესახებ განხორციელებული ჩანაწერი. პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ არ არსებობს რაიმე საერთაშორისო შეთანხმება ან სტანდარტი, რომელიც სახელმწიფოთა შორის დაარეგულირებდა სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად, ექსტრაკორპორული განაცხადების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ხორციელდება ამ კანონის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სუროგატი დედა, არის ქალი, რომელიც ორსულდება ხელოვნური ან ექსტრაკორპორული განაცხადების გზით და უჩენს ბავშვს სხვა პირს ან წყვილს. სამედიცინო ლიტერატურაში განსახვავებენ სუროგაციის შემდეგ ფორმებს: ტრადიციულს და გესტაციურს. ტრადიციული სუროგაციის შემთხვევაში მეუღლის ბიოლოგიური მასალით ხდება სუროგატი დედის კვერცხუჯრედის განაცხადება. გესტაციური სუროგაციის გააჩნია შემდეგი სახეები: ქმრის ბიოლოგიური მასალით დონორი ქალის კვერცხუჯრედის განაცხადება და ემბრიონის გადატანა სუროგატი დედის საშვილოსნოში; დონორის ბიოლოგიური მასალით ცოლის კვერცხუჯრედის განაცხადება და ემბრიონის გადატანა სუროგატი დედის საშვილოსნოში; წყვილის გამეტების შერწყმის შედეგად მიღებული ემბრიონის გადატანა სუროგატი დედის საშვილოსნოში. მოცემულ შემთხვევაში საქმის გადამწყვეტისათვის მნიშვნელობა აქვს ფაქტის დადგენას – ზემოაღნიშნულ რომელი სახის სუროგატი დედას წარმოადგენს მ. მ-ი, რამდენადაც დადგე-

ნილია, რომ შპს „...“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მ. მ-ი იმყოფება სააგენტოს სუროგატთა მონაცემთა ბაზაში და სარგებლობს სააგენტოს მომსახურებით.

საკაცაციო პალატა მიუთითებს, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 143-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც ნებადართულია ექსტრა-კორპორული განაყოფიერება, ესენია: ა) უშვილობის მკურნალობის მიზნით, აგრეთვე, ცოლის ან ქმრის მხრიდან გენეტიკური დაავადების გადაცემის რისკის არსებობისას, წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით თუ მიღებულია წყვილის წერილობითი თანხმობა; ბ) თუ ქალს არა აქვს საშვილოსნო, განაყოფიერების შედეგად მიღებული ემბრიონის სხვა ქალის (სუროგატული დედის) საშვილოსნოში გადატანის და გამოზრდის გზით. წყვილის წერილობითი თანხმობა აუცილებელია. აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბავშვის დაბადების შემთხვევაში წყვილი ითვლება მშობლებად, აქედან გამომდინარე პასუხისმგებლობით და უფლებამოსილებით; დონორს ან „სუროგატულ დედას“ არა აქვს დაბადებული ბავშვის მშობლად ცნობის უფლება.

სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის სამოქალაქო რეგისტრაციის საკითხი მოწესრიგებულია „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით დამტკიცებული წესით, რომლის მე-15 მუხლით, დაბადების რეგისტრაციის საფუძველია, ბავშვის/პირის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევაში უნდა დაერთოს შესაბამისი საბუთები. ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის საჭირო საბუთების ნუსხას ადგენს მითითებული წესის მე-19 მუხლი, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს უნდა წარედგინოს: ა) ექსტრაკორპორული განაყოფიერების დამადასტურებელი საბუთი, რომელიც გაცემულია სამედიცინო დაწესებულების მიერ ემბრიონის იმპლანტაციისთანავე; ბ) ექსტრაკორპორულ განაყოფიერებამდე დადებული, სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება: ბ.ა) ბავშვის გამჩენ ქალსა და გენეტიკურ მშობლებს შორის ან ბ.ბ) ბავშვის გამჩენ ქალს, გენეტიკურ მშობელს, დაბადების აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად ჩასაწერ პირსა (რომელიც არ არის ბავშვის გენეტიკური

მშობელი) და დონორს შორის, ან ბ.გ) ბავშვის გამჩენ ქალს, წყვილ-სა და დონორებს შორის. მე-2 პუნქტის შესაბამისად, ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მშობლებად მიიჩნევიან: ა) გენეტიკური მშობლები; ბ) გენეტიკური მშობელი და ხელშეკრულების საფუძველზე დაბადების აქტის ჩანაწერში მშობლად ჩასაწერი პირი; გ) წყვილი. ამასთან, მე-3 პუნქტი ადგენს, რომ დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლად დონორის ან „სუროგატული დედის“ მითითება დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო აქტის ჩანაწერში დედის შესახებ ჩანაწერის გაუქმებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მ. ჯ. კ-ის დაბადების რეგისტრაციისას სამედიცინო დანესტრუქტურების მიერ არ იქნა მითითებული, რომ ბავშვი დაიბადა ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად და არც კანონმდებლობით გათვალისწინებული ის დოკუმენტები იყო დართული ცნობაზე, რომლებსაც ითვალისწინებს ზემომითითებული ნორმატიული აქტის მე-19 მუხლი.

საკასაციო პალატა მიჩნევს, რომ აღნიშნული საკითხის გადანყვევებას, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ისე სასამართლო ფორმალურად მიუდგა, შემოიფარგლა მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ მოსარჩელის მიერ ვერც ადმინისტრაციულ ორგანოში და ვერც სასამართლოში ვერ იქნა წარდგენილი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის“ მე-19 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საბუთები. საგულისხმოა, რომ ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის ზემოაღნიშნული აქტის მე-19 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენის მიზანს წარმოადგენს ფაქტის დადგენა ბავშვის ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ არ გამოიკვლია და არ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მ. მ-ი წარმოადგენდა ბიოლოგიურ თუ სუროგატ დედას და მ. ჯ. კ-ი დაბადებულია ტრადიციული თუ გესტაციური სუროგაციის საფუძველზე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის გადანყვევებისთვის, რამდენადაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, მოსარჩელესთან მიმართებაში 2011 წლის 1 ოქტომბერს განხორციელდა ექსტრაკორპორული განაყოფიერება, რის შედეგადაც 2012 წლის 29 ივნისს დაიბადა მ. ჯ. კ-ი. მოსარჩელე მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მას ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებულ ბავშვთან გე-

ნეტიკური კავშირი არ აქვს. 2014 წლის 10 ივნისის „...“ წერილში მითითებულია, რომ კლინიკაში მოძიებულ იქნა დამატებითი ინფორმაცია, რომლის მიხედვით, მ. მ-ი წარმოადგენს სუროგატ დედას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმის თაობაზე, რომ მ. ჯ. კ-ის დაბადების რეგისტრაციისას, ადმინისტრაციულ ორგანოში, ასევე სასამართლოში საქმის განხილვისას, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია კანონმდებლობით გათვალისწინებული ის დოკუმენტები, რომლითაც უტყუარად დადასტურდებოდა მ. მ-ის საშვილოსნოში სხვა ქალის ემბრიონის გადატანის ფაქტი, რომ არ გამორიცხა და არ დაასაბუთა, შეესაბამებოდა თუ არა მ. მ-ის მიერ ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა საკუთარი უფლებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესის დასაცავად მიმართულ საშუალებას.

მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის საფუძველზე. თუმცა მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა – მ. მ-ის ბიოლოგიური დედობის არარსებობის დადგენა ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული მ. ჯ. კ-ის მიმართ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლზე და განმარტავს, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, თუმცა არ არის შეზღუდული მოთხოვნის ფორმულირებით და შეუძლია დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის ტრანსფორმირებაში. მოსამართლე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას – მიზანშეწონილი და შესაძლებელია თუ არა სარჩელის ტრანსფორმირება, რაც მოთხოვნის არა გაზრდად, არამედ დაზუსტებად უნდა ჩაითვალოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სარჩელის ტრანსფორმირება არის ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი ინკვიზიციურობისა და დისპოზიციურობის პრინციპების შეჯერების ერთ-ერთი გამოხატულება. ერთი მხრივ, ადმინისტრაციული პროცესი გულისხმობს სასამართლოს აქტიურობას, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლო, მიუხედავად მისი აქტიური როლისა, უფლებამოსილი არ არის, გასცდეს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოებმა ყურადღე-

ბა უნდა გაამახვილონ იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათისა და სარჩელის ტრანსფორმირების შესაძლებლობისა, სასამართლოები შეზღუდული არიან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე და მე-3 მუხლების მოქმედებით, რომელთა მიხედვითაც, მხარეები თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს და სასამართლოს უფლება არა აქვს, მიაკუთვნოს მხარეებს ის, რაც არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. მაშინ, როდესაც მხარე პროცესუალურად სწორად ვერ აყალიბებს თავის მოთხოვნას პროცესის დისპოზიციურობის პრინციპის გათვალისწინებით, მოსამართლემ სარჩელის ტრანსფორმირებისას სწორად უნდა დაადგინოს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი – რა უფლების აღსადგენად მიმართა მან სასამართლოს და რა არის მისი საბოლოო ინტერესი. რამდენადაც, პროცესუალური უფლებები და მატერიალური მოთხოვნები არ უნდა იქნეს უარყოფილი მოსარჩელის გამოუცდელობისა და სადავო საკითხზე ერთგვაროვანი პრაქტიკის არარსებობის გამო, არამედ მოსამართლეს შეუძლია ხელი შეუწყოს მოთხოვნის ტრანსფორმირებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მ. მ-ის წარმომადგენელი საქმის განხილვის ყველა ეტაპზე სადავოდ ხდიდა და აპელირებდა მ. მ-სა და ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული მ. ჯ. კ-ს შორის გენეტიკური კავშირის არარსებობაზე. ამდენად, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მოსარჩელის მოთხოვნის მიზანი, სარჩელის შინაარსი, ის სამართლებრივი შედეგი, რისი დადგომაც სურდა მას და სასამართლოს, მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელისათვის უნდა მიეცა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირების შესაძლებლობა და დავის საგნის დაზუსტების შემდეგ, ემსჯელა როგორც გასაჩივრებული აქტების კანონიერების, ისე მ. მ-ის გენეტიკური დედობის არსებობა-არარსებობის შესახებ ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული მ. ჯ. კ-ის მიმართ. ამდენად, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო, რომ მოსარჩელის მიერ ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა არ შეესაბამებოდა სარჩელის შინაარსსა და მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს – რა უფლების აღსადგენად მიმართა მან სასამართლოს და რა იყო მისი ინტერესი, რამდენადაც დოკუმენტურად დადასტურებული დედის სტატუსი იწვევს დედის მიმართ შვილის მხრიდან პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მთელი რიგი (მშობლის, მზრუნველის, მეურვის, კანონიერი წარმომადგენლის და სხვა) ვალდებულებების და-

კისრებას, როდესაც სუროგაციის საკითხის მომწესრიგებელი ნორმებიდან გამომდინარე – სუროგატ დედას არ გააჩნია რაიმე სახის უფლება-მოვალეობები ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადებული ბავშვის მიმართ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მართლმსაჯულება უნდა პასუხობდეს სამართლიანობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფდეს უფლებებში ეფექტურ აღდგენას. სასამართლო დაცვა უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ პირის შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა ის შესაძლებლობები და მექანიზმები, რასაც მას კანონმდებლობა ანიჭებს. იგი ფორმალურად მიუდგა სადავო საკითხს და დავის საგანი არსებითი განხილვის გარეშე დატოვა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 28¹-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების დაუცველობის პირობებში დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს განჩინება, ამასთან, იგნორირებულია დავის საგანი და მოსარჩელის ინტერესი, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოში დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სრულყოფილად არ არის გამოკვლეული საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო სასამართლომ იმის ნაცვლად, რომ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში არსებითად განეხილა საქმე, დამატებით გამოეკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები, სამართლებრივი შეფასება მიეცა სადავო საკითხისათვის და მიეღო სათანადო გადაწყვეტილება, სრულად გაიზიარა და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სრულყოფილად არ იმსჯელეს დავის საგანზე; ისე გაიზიარეს მოპასუხე მხარის მსჯელობა წარდგენილი დოკუმენტების არასაკმარისობის თაობაზე, რომ არ გამოიკვლიეს სადავო შემთხვევაში არსებობდა თუ არა სამოქალაქო აქტი (დაბადების მოწმობაში) მ. მ-ის მ. ჯ. კ-ის გენეტიკურ დედად მითითების ფაქ-

ტობრივ-სამართლებრივი საფუძველი, რისი დადგენაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შესაძლებელი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის გამოყენებით – გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარების შედეგად (იხ. „მაია ოყროშიძე და გიორგი ოყროშიძე საქართველოს წინააღმდეგ“ 11.12.12წ. №60596/09, §33-4).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით დამტკიცებული „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის“ მე-16 მუხლის თანახმად, დაბადების რეგისტრაცია ხორციელდება სამედიცინო დაწესებულების მიერ წარდგენილი ცნობის საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობაში მითითებულია ბავშვის ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად დაბადების შესახებ, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო დაბადების რეგისტრაციას ახორციელებს ამ წესის მე-19 მუხლით გათვალისწინებული საბუთების წარდგენისთანავე, მაგრამ დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის წარდგენიდან არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა. აღნიშნულ ვადაში საბუთების წარუდგენლობის შემთხვევაში დაბადების რეგისტრაცია განხორციელდება საერთო წესით. ამასთან, წესის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ექსტრაკორპორული განაყოფიერების შედეგად გაჩენილი ბავშვის დაბადების რეგისტრაციისას ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების წარუდგენლობის შემთხვევაში დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მშობლები არ მიეთითება. ამ შემთხვევაში, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის სახელი და გვარი მიეთითება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადების საფუძველზე, რა დროსაც მიგვაჩნია აღნიშნული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე (ბავშვის უფლებათა კონვენცია მე-3 მუხ.). ამდენად, საკასაციო პალატა ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ მოცემული სამართალურთიერთობის მონაწილეებს ასევე წარმოადგენენ სამედიცინო დაწესებულება – სამშობიარო „...“, რომელშიც მ. მ-ს ჩაუტარდა საკეისრო კვეთა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, რაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის საფუძველზე მოცემულ საქმეში მათი საპროცესო სუბიექტად ჩაბმის საფუძველს წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლომ სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-

4 და მე-19 მუხლების საფუძველზე თავისი ინიციატივით არ მოიპოვა, ხოლო საქმეში არსებულ მტკიცებულებებს არ მისცა ობიექტური შეფასება, რის შედეგადაც გაიზიარა და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმე განხილულია ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისა და შეფასების გარეშე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სასამართლოს, მისი შინაარსიდან გამომდინარე, კანონმდებლობა აკისრებს წამყვან როლს ადმინისტრაციული საქმის განხილვისას. ამასთან, სააპელაციო სასამართლო საქმეს განიხილავს, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ისე მათი სამართლებრივი შეფასების კუთხით. საამისოდ კი სააპელაციო სასამართლოს გააჩნია ყველა ის საპროცესო მექანიზმი, რაც აუცილებელია საქმის სრულყოფილი და კომპლექსური განხილვისათვის.

შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, რომ საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი გამოიკვლიოს ახალი მტკიცებულებები და დაადგინოს მითითებული სადავო გარემოებები, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. სააპელაციო სასამართლომ, თავის მხრივ, საქმის ხელახლა განხილვისას, საქმეში სამართალური თიერობის მონაწილე მხარეების ჩართვის, დავის საგნის დაზუსტებისა და ტრანსფორმირების შემდეგ, უნდა გამოიყენოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და დაადგინოს სადავო შემთხვევაში ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას – მ. მ-სა და მის მიერ 2012 წლის 29 ივნისს დაბადებულ მ. ჯ. კ-ს შორის გენეტიკური კავშირის არსებობას და ასეთის არარსებობის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია იმსჯელოს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე და საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით საქმეზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საჭიროა სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირება, საქმეში ყველა მხარის ჩართვა, დავის გადასაწყვეტად საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის

დაბრუნების საფუძველს ქმნის.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 5 ივლისის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად;
3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დაბადების სააქტო ჩანაწერის მართლზომიერება

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-318-318(კ-18)

18 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 10 ნოემბერს ქ. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების

სააგენტოს ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, იგი დაიბადა 1983 წლის 24 აპრილს. დაბადების რეგისტრაცია არასწორი მონაცემებით ბებიამ – მ. უ-ემ განახორციელა. კერძოდ, 1983 წლის ნაცვლად ჩაინერა 1984 წელი. ამის შემდეგ მოსარჩელის დედამ აიღო დაბადების მოწმობა, სადაც 1984 წლის ნაცვლად დაბადების თარიღად 1983 წელი იყო მითითებული. მოსარჩელე სკოლაში შევიდა, ასევე პოლიციის აკადემია დამთავრა, როგორც 1983 წლის 24 აპრილს დაბადებულმა პირმა. პირადობის მოწმობა და საქართველოს მოქალაქის პასპორტიც აღებული აქვს ამავე მონაცემებით. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 2016 წლის 5 მაისს განხორციელდა ქ. მ-ის დაბადების რეგისტრაცია 1983 წლის 24 აპრილის მონაცემებით.

მოსარჩელემ მიმართა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს და 1984 წლის 19 მაისს განხორციელებული ჩანაწერის ბათილად ცნობა მოითხოვა, რაზეც უარი მიიღო. მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და მოითხოვა ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ განხორციელებული დაბადების აქტის ჩანაწერის ძალაში დატოვება. სააგენტოს 2016 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მას უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ 1984 წლის 24 აპრილს ქ. მ-ის დაბადების შესახებ ხაშურის რაიონის მმარის განყოფილების მიერ 1984 წლის 19 მაისს განხორციელებული №... დაბადების აქტის ჩანაწერის, ქ. მ-ის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 1 სექტემბრის №... გადაწყვეტილებისა და ქ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2016 წლის 29 ოქტომბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ქ. მ-ის სარჩელი, მოპასუხეების – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სა-

სამართლოს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილებით ქ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხაშურის რაიონის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანერის (მმანის) განყოფილების მიერ 1984 წლის 19 მაისს რეგისტრირებული დაბადების აქტის №... ჩანანერის მიხედვით, ქ. მ-ი დაიბადა 1984 წლის 24 აპრილს. დაბადების ადგილი – ხაშური, მამა – გ. ნ. მ-ი, დედა – ი. ვ. კ-ე. დაბადების ფაქტის დამადასტურებელ საბუთად მითითებულია ხაშურის რაისამშობიარო სახლის 1984 წლის 28 აპრილის ცნობა, ხოლო მამის მონაცემების შესახებ ჩანანერის საფუძვლად – ქორწინების მონმობა №... . დაბადების რეგისტრაციის მოთხოვნის თაობაზე განმცხადებელია მ. უ-ე. ყველა ეს მონაცემი სააქტო ჩანანერის პირველ და მეორე ეგზემპლარში ემთხვევა ერთმანეთს, მხოლოდ მეორე ეგზემპლარში აქტის ჩანანერის ნომერი ... გადასწორებულია სააქტო ჩანანერის ორივე ეგზემპლარში მითითებულია, რომ მის საფუძველზე გაცემულია დაბადების მონმობა №... . სააქტო ჩანანერის მეორე ეგზემპლარში დამატებით მითითებულია, რომ 1987 წლის 16 დეკემბერს გაცემულია №... დაბადების მონმობა, ასევე გაცემულია №... დაბადების მონმობა, რომლის გაცემის თარიღი ზუსტად არ იკითხება, სავარაუდოდ 1988 წლის 29 მაისი. სააქტო ჩანანერებში აღნიშნული პირველადი დაბადების მონმობა №... სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა. საქმეშია მხოლოდ განმეორებითი დაბადების მონმობები – №... და №... .

მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილ №... დაბადების მონმობაში ქ. მ-ის დაბადების თარიღად მითითებულია 1983 წლის 24 აპრილი. მონმობაში არ არის მითითებული მისი გაცემის თარიღი. მასში აღნიშნულია, რომ დაბადების აქტი რეგისტრირებულია 1983 წლის 19 მაისს, სააქტო ჩანანერის ნომერი სასამართლოს დავალებით, მოპასუხემ წარმოადგინა 1983 წელს ... ნომრით რეგისტრირებული დაბადების სააქტო ჩანანერი, რომელიც შედგენილია არა ქ. მ-ის, არამედ სხვა პირის – თ. გ-ის სახელზე. რეგისტრაცია მოხდენილია 1983 წლის 25 მაისს. №... დაბადების მონმობის საფუძველზე ქ. მ-ის სახელზე 2001 წლის 29 მაისს შსს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილების მიერ გაცემულია საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობა. 2007 წლის 29 მაისს ამავე დაბადების მონმობის საფუძველზეა გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურის მიერ ქ. მ-ის პირადობის მონმობა. ამავე წელს გაცემულ პირადობის მონმობაში, ასევე 2007 და 2010 წლებში გაცემულ ქ. მ-ის საქართველოს მოქალაქის პასპორტში და-

ბადების თარიღად მითითებულია 1983 წლის 24 აპრილი.

შსს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილებაში შევსებულ პირადობის მოწმობის გაცემისა და პირის რეგისტრაციაში გატარების შესახებ განცხადება-ანკეტებში, რომელსაც ქ. მ-ი თვითონ აწერს ხელს, მისი დაბადების თარიღად მითითებულია 1984 წლის 24 აპრილი, თუმცა ერთგან 1984 წელი გადასწორებულია 1983 წლად. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ ქ. მ-ი დაიბადა 1983 წლის 24 აპრილს ხაშურში, მშობლები: გ. მ-ი, ი. კ-ე. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, 2016 წლის 5 მაისს რეგისტრირებულია დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერი №... 1983 წლის 24 აპრილს დაბადებული ქ. მ-ის მონაცემებით, რომლის საფუძველზეც გაცემულია დაბადების მოწმობა №... .

2016 წლის 20 ივლისს ქ. მ-ის წარმომადგენელმა, ი. კ-ემ დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს მიმართა და მოითხოვა ხაშურის მმაჩის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქ. მ-ის დაბადების შესახებ 1984 წლის 19 მაისის სააქტო ჩანაწერის გაუქმება და დმანისის სამსახურის მიერ განხორციელებული ჩანაწერის ძალაში დატოვება. ეს განცხადება დმანისის სამსახურმა გადაუგზავნა ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს. სსგს ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 1 სექტემბრის №... გადაწყვეტილებით მოთხოვნა ხაშურის მმაჩის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქ. მ-ის დაბადების შესახებ 1984 წლის 19 მაისის სააქტო ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. მიღებული გადაწყვეტილება ქ. მ-ის წარმომადგენელმა – ი. კ-ემ გაასაჩივრა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და მოითხოვა ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ განხორციელებული დაბადების აქტის ჩანაწერის ძალაში დატოვება. საჩივარი წარმოებაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ნაწილში. სააგენტოს 2016 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მომჩივანს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ასევე დადგენილია, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დროს სსგ სააგენტოსა და ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ სამედიცინო დაწესებულებებიდან, სკოლიდან და ეროვნული არქივიდან ქ. მ-ის საქმესთან დაკავშირებით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ბავშვის დაბადებისა და განვითარების ისტორიის შესახებ, თუმცა ამ დაწესებულებებში შესაბამისი ინფორ-

მაცია დაცული არ აღმოჩნდა. სასამართლოს მიერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ხაშურის №... საჯარო სკოლიდან, რომლის მიხედვით, ქ. მ-ი, სკოლის დირექტორის 1990 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანების საფუძველზე, ჩაირიცხა ხაშურის №... საშუალო სკოლის პირველ კლასში. სხვა ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული.

სასამართლომ მიუთითა, რომ ქ. მ-ის დაბადების აქტის რეგისტრაციის დროს მოქმედი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 9 მარტის №133 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლის მიხედვით, დაბადების რეგისტრაცია წარმოებდა ბავშვის დაბადების ადგილის ან მშობლების ან ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ინსტრუქციის მე-13 მუხლის შესაბამისად, განცხადება ბავშვის დაბადების რეგისტრაციის შესახებ კეთდებოდა სიტყვიერი ან წერილობითი სახით, მშობელთა ან ერთ-ერთი მათგანის მიერ, ხოლო მათი ავადმყოფობის, გარდაცვალების ან სხვა მიზეზის გამო თუ არ შეეძლოთ განცხადების შეტანა, განცხადება შეჰქონდათ ნათესავეებს, ან სხვა პირებს, აგრეთვე იმ სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც ბავშვის დედა იმშობიარა. ხაშურის მმარის განყოფილების მიერ 1984 წლის 19 მაისს რეგისტრირებული ქ. მ-ის დაბადების №... ჩანერის აქტის (რომელსაც ასაჩივრებს მოსარჩელე) შედგენისას ზემოაღნიშნული ინსტრუქციის მოთხოვნები დაცული იყო. აქტი არ იძლევა ინფორმაციას წარდგენილი იყო თუ არა მშობელთა პირადობის მოწმობები, თუმცა ეს გავლენას ვერ მოახდენდა დაბადების რეგისტრაციაზე, რადგან წარდგენილი იყო ცნობა სამშობიარო სახლიდან, ხოლო განაცხადი შეტანილი იყო არა მშობლების, არამედ ბებუის მიერ.

მოსარჩელე აქტის ბათილობის ძირითად საფუძველად უთითებდა იმ გარემოებას, რომ მასში დაბადების წელი არასწორად იყო მითითებული – ნაცვლად 1983 წლისა წერია 1984 წელი. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის ეს მოსაზრება, რადგან საქმის განხილვისას მოსარჩელის 1983 წლის 24 აპრილს დაბადების დამადასტურებელი უწყუარი მტკიცებულება ვერ იქნა წარმოდგენილი. ამავე დროს, ინსტრუქციის 27-ე მუხლის მიხედვით, თუ განცხადება დაბადების აქტის რეგისტრაციის შესახებ შეტანილი იქნებოდა ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, დაბადების რეგისტრაცია წარმოებდა დაბადების შესახებ აღდგენილი აქტების რეგისტრაციის წიგნში და დაბადების სააქტო ჩანაწერში რიგითი ნომრის შემდეგ მიეწერებოდა სიტყვები „გადის გაშვებით რეგისტრაცია“. გასაჩივრებულ სააქტო ჩანაწერში ასეთი მინაწერი არ იყო, ამდენად, უნდა ჩათვლილიყო, რომ ბავშვის დაბადების რეგისტრაცია

ცია განხორციელდა დაბადებიდან ერთი თვის ვადაში და არა ერთი წლის შემდეგ. შესაბამისად, თუ რეგისტრაცია განხორციელდა 1984 წლის 19 მაისს, მაშინ დაბადების თარიღი უნდა იყოს 1984 წლის 24 აპრილი და არა 1983 წლის 24 აპრილი.

გარდა ამისა, ინსტრუქციის თანახმად, დაბადების აქტში მამის შესახებ ჩანაწერი კეთდებოდა ქორწინების მოწმობის მიხედვით. სადავოდ გამხდარ აქტში მითითებულია, რომ მამის შესახებ ჩანაწერის საფუძველი იყო ქორწინების მოწმობა №..., ეს უკანასკნელი კი გაცემული იყო 1984 წლის 19 მაისს, რაც ემთხვეოდა დაბადების რეგისტრაციის თარიღს. ამავე დროს, მოსარჩელის წარმომადგენელი (მოსარჩელის დედა) სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში საქმის ზეპირი განხილვისას უთითებდა, რომ ქ. მ-ის დაბადების მოწმობა მას არ დასჭირვებია ბავშვის საბავშვო ბაღის ასაკის მიღწევამდე, ხოლო როდესაც დასჭირდა, იგი გაცემული იყო დაბადების თარიღის – 1983 წლის 24 აპრილის მითითებით. მისი განმარტებით, ამ თარიღით დაბადების მოწმობა გაცემული იყო ორჯერ, რომელთაგან ერთ-ერთი ინახებოდა შსს აკადემიაში. სასამართლოს მიერ გამოთხოვილ იქნა აღნიშნული მოწმობა და აღმოჩნდა, რომ იგი გაცემულია 1987 წლის 16 დეკემბერს სადავოდ გამხდარ საქტო ჩანაწერის საფუძველზე და მასში ბავშვის დაბადების თარიღად მითითებულია 1984 წლის 24 აპრილი. თვითონ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დაბადების მოწმობა, სადაც დაბადების თარიღად 1983 წლის 24 აპრილია აღნიშნული, არ შეიცავს მონაცემებს მისი გაცემის თარიღის შესახებ. მასში მითითებულია, რომ გაცემულია 1983 წლის 19 მაისს შედგენილი №... სააქტო ჩანაწერის საფუძველზე. სასამართლოში წარმოდგენილ იქნა 1983 წელს განხორციელებული №... დაბადების სააქტო ჩანაწერი, რომელიც ეკუთვნის არა ქ. მ-ს, არამედ სხვა პირს. ზემოაღნიშნული ინსტრუქციის 104-ე მუხლის თანახმად, სააქტო ჩანაწერის ნუმერაცია იწყებოდა პირველი ნომრით და თანმიმდევრულად ტარდებოდა მთელი წლის განმავლობაში 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ამდენად, არ შეიძლება არსებობდეს 1983 წელს შედგენილი №... სააქტო ჩანაწერი ქ. მ-ის სახელზე, რადგან ამ ნომრით არსებობს სხვა პირის დაბადების სააქტო ჩანაწერი. ეს გარემოებები სასამართლომ მიიჩნია საკმარისად იმის დასადასტურებლად, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დაბადების მოწმობა, სადაც ქ. მ-ის დაბადების თარიღად მითითებულია 1983 წლის 24 აპრილი, არ შეიცავს სარწმუნო მონაცემებს ბავშვის დაბადების თარიღის შესახებ.

სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ პირადობის მოწმობის გასაცემად და პირის რეგისტრაციის შესახებ წარდგენილ განცხადება-ანკეტებში ქ. მ-ს თვითონ აქვს ჩანერილი თავის

დაბადების თარიღად 1984 წლის 24 აპრილი, რომელიც შემდეგ ერთგან არის გადასწორებული 1983 წლად. ამავე დროს შსს აკადემიაში თვითონვე აქვს წარდგენილი დაბადების მონმობა 1984 წლის 24 აპრილის მონაცემებით. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სკოლიდან გამოთხოვილი ცნობის მიხედვით, ქ. მ-ი პირველ კლასში ჩაირიცხა 1990 წელს. თუ მოსარჩელის მითითება სწორია, მაშინ ბავშვი სკოლაში, როგორც წესი, უნდა შესულიყო 6 წლის ასაკში 1989 წელს და არა 1990 წელს – შვიდი წლის ასაკში. რატომ არ იქნა მიყვანილი იგი სკოლაში 6 წლისა, ამის დამაჯერებელი ახსნა, რაიმე ობიექტური მიზეზი მოსარჩელე მხარეს არ წარმოუდგენია. ამდენად, უნდა ჩაითვალოს, რომ ბავშვი სკოლაში მივიდა 1990 წელს 6 წლის ასაკში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. მ-ის დაბადების თარიღია 1984 წლის 24 აპრილი და არა 1983 წლის 24 აპრილი.

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, პირის მიმართ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში ან სამოქალაქო აქტის ჩანაწერსა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მონმობაში მითითებული მონაცემების შეუსაბამობის შემთხვევაში საწინააღმდეგოს დადგენამდე ნამდვილად მიიჩნევა დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემები. ვინაიდან, ვერ დადგინდა იმ გარემოების საწინააღმდეგო, რომ ქ. მ-ის დაბადების თარიღია 1984 წლის 24 აპრილი, ხოლო 1984 წლის 19 მაისს რეგისტრირებული დაბადების აქტის №... ჩანაწერი მოქმედი კანონმდებლობის დაცვითაა შედგენილი, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ამ აქტის ბათილად ცნობის საფუძველი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ხაშურის მმჩის განყოფილების მიერ შედგენილ დაბადების აქტის ჩანაწერს, უტყუარობის თვალსაზრისით, კონკურენციას ვერ გაუწევდა დმანისის სამოქალაქო რეგისტრის სამსახურის მიერ 2016 წლის 5 მაისს შედგენილი დაბადების აქტის ჩანაწერი, რადგან იგი შედგენილია იურიდიული მნიშვნელობის მქონე (დაბადების) ფაქტის დადგენის შესახებ დმანისის სამსახურის მიერ მიღებული გადანყვეტილების საფუძველზე. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 90-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღება ან დაკარგული საბუთის აღდგენა შეუძლებელია ან დაკავშირებულია არათანაბარზომიერ ხარჯებსა და ძალისხმევასთან. მოცემულ შემთხვევაში, ქ. მ-ის დაბადების შესახებ მონაცემები არსებობდა ხაშურის სამოქალაქო რეგისტრის სამსახურში და მისი აღდგენა არც შეუძლებელი იყო და

არც არათანაზომიერ ხარჯებს იწვევდა. იმავე კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თუ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის მიზნით და შემდგომ გამოვლინდა, რომ ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღება ან დაკარგული საბუთის აღდგენა შესაძლებელია, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებას წყვეტს ნებისმიერ სტადიაზე, რის შესახებაც გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება. კანონის ეს ჩანაწერი ადასტურებს წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე შედგენილი სააქტო ჩანაწერის მონაცემების უპირატესობას, უტყუარობის თვალსაზრისით, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის საფუძველზე შედგენილი სააქტო ჩანაწერის მონაცემებთან.

ვინაიდან, 1984 წლის 19 მაისის დაბადების ჩანერის №... აქტის ბათილობის საფუძველი არ არსებობდა, სასამართლომ კანონიერად მიიჩნია ქ. მ-ის განცხადებასთან და მის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებული სსგ სააგენტოს ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 1 სექტემბრის და სსგ სააგენტოს 2016 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებები და სარჩელი მათი ბათილად ცნობის ნაწილშიც არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ქ. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 6 იანვრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაიზიარა ხაშურის რაიონული სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას მიუთითა მათზე და დამატებით განმარტა, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ არსებობდა 1984 წლის 19 მაისის დაბადების ჩანერის №... აქტის ბათილობის საფუძველი და შესაბამისად, ასევე კანონიერი იყო ქ. მ-ის განცხადებასა და მის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებული

სსგ სააგენტოს ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 1 სექტემბრისა და სსგ სააგენტოს 2016 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტის მხრიდან რაიმე ტიპის დამატებითი მტკიცებულებები წარმოდგენილი არ ყოფილა, რაც შეიძლებოდა საფუძვლად დაედებოდა აპელანტისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანას, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აპელანტის მითითება გასაჩივრებული აქტების კანონშესაბამობის თაობაზე უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ქ. მ-მა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ სადავო აქტების ძალაში დატოვების შემთხვევაში, მას მიადგება გამოუსწორებელი ზიანი. იგი 9 წელია ცხოვრობს შვედეთის გაერთიანებულ სამეფოში და ელოდება მოქალაქეობას. ქ. მ-ის ორივე შვილის დაბადების მოწმობებში დედის დაბადების თარიღად მითითებულია 1983 წლის 24 აპრილი. 1984 წლის 19 მაისის სააქტო ჩანაწერის ძალაში დატოვება გავლენას მოახდენს შვედეთის მოქალაქეობის მიღებაზე. სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით ასევე არ დაასაბუთა, თუ რა ინტერესი შეიძლებოდა ჰქონოდა კასატორს, რომ დაბადების თარიღად მიუთითოს 1983 და არა 1984 წელი. ასევე, გაუგებარია მონინალმდეგე მხარის იურიდიული ინტერესი მაშინ, როცა თავად აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული წარმოებისას ვერ მოიძებნა ვერც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა კასატორის 1984 ან 1983 წელში დაბადებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 30 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ქ. მ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის განჩინებით ქ. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, მხარეთა განმარტებების მოსმენის, საქმის სასამართლო განხილვისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 დეკემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ხაშურის რაიონის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანერის (მმაჩის) განყოფილების მიერ 1984 წლის 19 მაისს რეგისტრირებული დაბადების აქტის №223 ჩანაწერის მიხედვით, ქ. მ-ი დაიბადა 1984 წლის 24 აპრილს, დაბადების ადგილი – ხაშური, მამა – გ. ნ-ის ძე მ-ი, დედა – ი. ვ-ის ასული კ. დაბადების ფაქტის დამადასტურებელ საბუთად მითითებულია ხაშურის რაისამშობიარო სახლის 1984 წლის 28 აპრილის ცნობა, ხოლო მამის მონაცემების შესახებ ჩანაწერის საფუძველად – №290095 ქორწინების მონაწილეობა. დაბადების რეგისტრაციის მოთხოვნის თაობაზე განმცხადებელი იყო მ. უ-ე (ბავშვის ბებია). საქმის მასალებით დასტურდება დაბადების აქტის ჩანაწერის ორი ეგზემპლარის არსებობა, სადაც ყველა მონაცემი ემთხვევა ერთმანეთს, მხოლოდ მეორე ეგზემპლარში აქტის ჩანაწერის ნომერი 223 გადასწორებულია 224-ად. სააქტო ჩანაწერის ორივე ეგზემპლარში აღნიშნულია, რომ მის საფუძველზე გაცემულია დაბადების მონაწილეობა №279331. სააქტო ჩანაწერის მეორე ეგზემპლარში დამატებით მითითებულია, რომ 1987 წლის 16 დეკემბერს გაცემულია №279466 დაბადების მონაწილეობა, ასევე გაცემულია №270290 დაბადების მონაწილეობა, რომლის გაცემის თარიღი ზუსტად არ იკითხება, სავარაუდოდ, 1988 წლის 29 მაისი. აღსანიშნავია, რომ სააქტო ჩანაწერებში მითითებული პირველადი დაბადების მონაწილეობა – №279331 სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა. საქმეშია მხოლოდ განმეორებითი დაბადების მონაწილეობები – №270290 და №279466.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შსს შინაგან საქმეთა სა-

მინისტროს აკადემიის მიერ გადმოგზავნილ ქ. მ-ის №279466 დაბადების მოწმობაში მითითებული მონაცემები მთლიანად ემთხვევა სააქტო ჩანაწერებში მითითებულ მონაცემებს, მათ შორის, ბავშვის დაბადების წელი – 1984. მოწმობის გაცემის თარიღია 1987 წლის 16 დეკემბერი. ასევე, მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილ №270290 დაბადების მოწმობაში ქ. მ-ის დაბადების თარიღია 1983 წლის 24 აპრილი. მოწმობაში არ არის მითითებული მისი გაცემის თარიღი. მასში აღნიშნულია, რომ დაბადების აქტი რეგისტრირებულია 1983 წლის 19 მაისს, სააქტო ჩანაწერის ნომერი 224. სასამართლოს დავალებით, მოპასუხე მხარემ წარადგინა 1983 წელს 224 ნომრით რეგისტრირებული დაბადების სააქტო ჩანაწერი, რომელიც შედგენილია არა ქ. მ-ის, არამედ სხვა პირის – თ. გ-ის სახელზე. ამასთან, დადგენილია, რომ №270290 დაბადების მოწმობის საფუძველზე, ქ. მ-ის სახელზე 2001 წლის 29 მაისს შსს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილების მიერ გაცემულია საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა. ამავე დაბადების მოწმობის საფუძველზეა გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურის მიერ 2007 წლის 29 მაისს ქ. მ-ის პირადობის მოწმობა. ამ პირადობის მოწმობაში, ასევე 2007 და 2010 წლებში გაცემულ ქ. მ-ის საქართველოს მოქალაქის პასპორტში დაბადების თარიღად მითითებულია 1983 წლის 24 აპრილი. შსს დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილებაში შევსებულ პირადობის მოწმობის გაცემის და პირის რეგისტრაციაში გატარების შესახებ განცხადება-ანკეტებში, რომლებსაც ქ. მ-ი თვითონ აწერს ხელს, მისი დაბადების თარიღად მითითებულია 1984 წლის 24 აპრილი, თუმცა ერთგან 1984 წელი გადასწორებულია 1983 წლად.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ ქ. მ-ი დაიბადა 1983 წლის 24 აპრილს ხაშურში, მშობლები: გ. მ-ი, ი. კ-ე. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე, 2016 წლის 5 მაისს რეგისტრირებულია დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერი №24161000048, 1983 წლის 24 აპრილს დაბადებული ქ. მ-ის მონაცემებით, რომლის საფუძველზეც გაცემულია დაბადების მოწმობა №24166000348 (ამჟამად აღნიშნული გადაწყვეტილება ბათილად არის ცნობილი).

განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს ქ. მ-ის სახელზე გაცემული ხაშურის რაიონის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანაწერი (მმაჩის) განყოფილების მიერ 1984 წლის 19 მაისს რეგისტრირებული №223 დაბადების სააქტო ჩანაწერის მართლზომიერების საკითხის დადგენა, რომლის თანახმად, ქ. მ-ი დაიბადა

1984 წლის 24 აპრილს. მეორე მხრივ, არსებობს ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში წარდგენილი №270290 დაბადების მოწმობა, რომელშიც ქ. მ-ის დაბადების თარიღად მითითებულია 1983 წლის 24 აპრილი. აღსანიშნავია, რომ №270290 დაბადების მოწმობა არ შეიცავს მონაცემებს მისი გაცემის თარიღის შესახებ. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ასევე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დადგენილ იქნა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ ქ. მ-ი დაიბადა 1983 წლის 24 აპრილს. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე რეგისტრირებულია დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერი და გაცემულია დაბადების მოწმობა. ქ. მ-ის წარმომადგენელმა სწორედ ხაშურის მმარის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქ. მ-ის დაბადების შესახებ 1984 წლის 19 მაისის სააქტო ჩანაწერის გაუქმებისა და დმანისის სამსახურის მიერ განხორციელებული ჩანაწერის ძალაში დატოვების მოთხოვნით მიმართა დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს. ეს განცხადება დმანისის სამსახურმა გადაუგზავნა ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურს. საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი ქ. მ-ის 1983 წლის 24 აპრილს დაბადების შესახებ, გაბათილებულია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი სამართალურთიერთობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოების დადგენას, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არსებობს თუ არა 1984 წლის 19 მაისის დაბადების ჩანაწერის №223 აქტის ბათილობის საფუძველი. ასევე, შეფასება უნდა მიეცეს იმ უმნიშვნელოვანეს საკითხს კანონიერია თუ არა ქ. მ-ის განცხადებასთან და მის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებული ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 1 სექტემბრისა და სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს 2016 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებები. აღსანიშნავია, რომ სსგს ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 1 სექტემბრის №065516004148 გადაწყვეტილებით მოთხოვნა – ხაშურის მმარის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქ. მ-ის დაბადების შესახებ 1984 წლის 19 მაისის სააქტო ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა. მიღებული გადაწყვეტილება ქ. მ-ის წარმომადგენელმა – ი. კ-მ გაასაჩივრა სახელმწიფო სერვისების გან-

ვითარების სააგენტოში და მოითხოვა ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ განხორციელებული დაბადების აქტის ჩანაწერის ძალაში დატოვება. სააგენტოს 2016 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მომჩივანს უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველი სამართალურთიერთობის მიმართ გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს და მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო აქტები მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე, დაცულია ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და გამოცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესი, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მთავარ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არ დასტურდება 1984 წლის 19 მაისის შედგენილი №223 დაბადების აქტის ჩანაწერის სიყალბე. საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მოსაზრებებს გასაჩივრებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული ნორმატიული აქტების არასწორი გამოყენებისა და №223 დაბადების აქტის ჩანაწერში არასწორი დაბადების თარიღის (1984 წელი) მითითების უკანონობის შესახებ. კასატორის მოსაზრება რეალური დაბადების თარიღისა და სადავო სააქტო ჩანაწერში მითითებული თარიღის შეუსაბამობის შესახებ არ ქმნის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს და არ უარყოფს სააპელაციო სასამართლოს მიერ მოყვანილ არგუმენტაციას, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებდა ბავშვის დაბადების რეგისტრაციას მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში როგორც ბავშვის დაბადების ადგილის, ასევე მშობლების ან ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიუთითებს

ქ. მ-ის დაბადების აქტის რეგისტრაციის დროს მოქმედი საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 9 მარტის №133 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-10 მუხლზე, რომლის თანახმად, დაბადების რეგისტრაცია წარმოებს ბავშვის დაბადების ადგილის ან მშობლების ან ერთ-ერთი მათგანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ინსტრუქციის მე-13 მუხლის შესაბამისად, განცხადება ბავშვის დაბადების რეგისტრაციის შესახებ კეთდება სიტყვიერი ან წერილობითი სახით, მშობელთა ან ერთ-ერთი მათგანის მიერ, ხოლო მათი ავადმყოფობის, გარდაცვალების ან სხვა მიზეზის გამო თუ არ შეუძლიათ განცხადების შეტანა, – განცხადება შეაქვთ ნათესავებს, ან სხვა პირებს, აგრეთვე იმ სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც ბავშვის დედამ იმშობიარა. ინსტრუქციის მე-18 მუხლის მიხედვით, განცხადება შეტანილ უნდა იქნეს ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, ხოლო ამავე ინსტრუქციის მე-20 მუხლის მიხედვით, წარსადგენი საბუთები იყო ბავშვის დაბადების ფაქტისა და დროის დამადასტურებელი ცნობა სამშობიარო სახლიდან, მშობლების პირადობისა და ქორწინების მოწმობები. განსახილველ შემთხვევაში, მითითებული ინსტრუქციის მოთხოვნები დაცული იყო. სადავო აქტი არ იძლევა ინფორმაციას წარდგენილი იყო თუ არა მშობელთა პირადობის მოწმობები, თუმცა ეს გავლენას ვერ მოახდენდა დაბადების რეგისტრაციაზე, რადგან წარდგენილი იყო ცნობა სამშობიარო სახლიდან, ხოლო განაცხადი შეტანილი იყო არა მშობლების, არამედ ბებუის მიერ. ამდენად, კასატორის პრეტენზია დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ ვერ იქნება გაზიარებული, რადგან მას ამ მიმართებით არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებში არსებული შსს აკადემიიდან გამოთხოვილი დაბადების მოწმობით დგინდება, რომ იგი გაცემულია 1987 წლის 16 დეკემბერს სადავოდ გამხდარი სააქტო ჩანაწერის საფუძველზე და მასში ბავშვის დაბადების თარიღად მითითებულია 1984 წლის 24 აპრილი. ქ. მ-ის მიერ წარმოდგენილი დაბადების მოწმობა, სადაც დაბადების თარიღად 1983 წლის 24 აპრილია აღნიშნული, არ შეიცავს მონაცემებს მისი გაცემის თარიღის შესახებ. მასში მითითებულია, რომ გაცემულია 1983 წლის 19 მაისს შედგენილი №224 სააქტო ჩანაწერის საფუძველზე. საქმის მასალებში დაცულია ასევე 1983 წელს განხორციელებული №224 დაბადების სააქტო ჩანაწერი, რომელიც ეკუთვნის არა ქ. მ-ს, არამედ სხვა პირს. ზემოაღნიშნული ინსტრუქციის 104-ე მუხლის თანახმად, სააქტო ჩანაწერის ნუმერაცია ინყებოდა პირ-

ველი ნომრით და თანმიმდევრულად ტარდებოდა მთელი წლის განმავლობაში 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ამდენად, არ შეიძლება არსებობდეს 1983 წელს შედგენილი №224 სააქტო ჩანაწერი ქ. მ-ის სახელზე, რადგან ამ ნომრით არსებობს სხვა პირის დაბადების სააქტო ჩანაწერი. გარდა ამისა, პირადობის მოწმობის გასაცემად და პირის რეგისტრაციის შესახებ წარდგენილ განცხადებებში ქ. მ-ს თვითონ აქვს ჩანერილი თავის დაბადების თარიღად 1984 წლის 24 აპრილი, რომელიც შემდეგ გადასწორებული აქვს 1983 წლად. ამავე დროს შსს აკადემიაში თვითონვე აქვს წარდგენილი დაბადების მოწმობა 1984 წლის 24 აპრილის მონაცემებით. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ სკოლიდან გამოთხოვილი ცნობის მიხედვით, ქ. მ-ი პირველ კლასში ჩაირიცხა 1990 წელს, ანუ 7 წლის ასაკში. რატომ არ იქნა მიყვანილი იგი სკოლაში 6 წლისა, ამ ფაქტის ლოგიკური ახსნა, ან რაიმე ობიექტური მიზეზი ქ. მ-ის მიერ წარმოდგენილი არ ყოფილა არც ერთი ინსტანციის სასამართლოში. ამდენად, უნდა ჩაითვალოს, რომ ბავშვი სკოლაში მივიდა 1990 წელს 6 წლის ასაკში.

საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების დროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ სამედიაციო დაწესებულებებიდან, სკოლიდან და ეროვნული არქივიდან ქ. მ-ის საქმესთან დაკავშირებით გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ბავშვის დაბადებისა და განვითარების ისტორიის შესახებ, თუმცა ამ დაწესებულებებში შესაბამისი ინფორმაცია დაცული არ აღმოჩნდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ხაშურის №3 საჯარო სკოლიდან, რომლის მიხედვით, ქ. მ-ი, სკოლის დირექტორის 1990 წლის 16 ოქტომბრის №16 ბრძანების საფუძველზე, ჩაირიცხა ხაშურის №3 საშუალო სკოლის პირველ კლასში. სხვა ინფორმაცია (სკოლის დამთავრების ან კლასიდან კლასში გადასვლის თაობაზე) ვერ იქნა მოძიებული.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დაბადების მოწმობა, სადაც ქ. მ-ის დაბადების თარიღად მითითებულია 1983 წლის 24 აპრილი, არ შეიცავს სარწმუნო მონაცემებს ბავშვის დაბადების თარიღის შესახებ.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის თანახმად, პირის მიმართ რეგისტრირებულ სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში ან სამოქალაქო აქტის ჩანაწერსა და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობაში მითითებული მონაცემების შეუსაბამობის შემ-

თხვევაში საწინააღმდეგოს დადგენამდე ნამდვილად მიიჩნევა დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში მითითებული მონაცემები. განსახილველ შემთხვევაში ვერ დადგინდა იმ გარემოების საწინააღმდეგო, რომ ქ. მ-ის დაბადების თარიღია 1984 წლის 24 აპრილი, ხოლო 1984 წლის 19 მაისს რეგისტრირებული დაბადების აქტის №223 ჩანაწერი მოქმედი კანონმდებლობის დაცვითაა შედგენილი და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. ხაშურის მმარჩის განყოფილების მიერ შედგენილ დაბადების აქტის ჩანაწერს, უტყუარობის თვალსაზრისით, კონკურენციას ვერ გაუწევდა დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 2016 წლის 5 მაისს შედგენილი დაბადების აქტის ჩანაწერი, რადგან იგი შედგენილი იყო იურიდიული მნიშვნელობის მქონე (დაბადების) ფაქტის დადგენის შესახებ დმანისის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 90-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღება ან დაკარგული საბუთის აღდგენა შეუძლებელია ან დაკავშირებულია არათანაბარ ზომიერ ხარჯებსა და ძალისხმევასთან. მოცემულ შემთხვევაში ქ. მ-ის დაბადების შესახებ მონაცემები არსებობდა ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურში და მისი აღდგენა არც შეუძლებელი იყო და არც არათანაზომიერ ხარჯებს იწვევდა. ამავ კანონის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, თუ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის მიზნით და შემდგომ გამოვლინდა, რომ ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღება ან დაკარგული საბუთის აღდგენა შეუძლებელია, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებას წყვეტს ნებისმიერ სტადიაზე, რის შესახებაც გამოაქვს დასაბუთებული გადაწყვეტილება. კანონის ეს ჩანაწერი ადასტურებს წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე შედგენილი სააქტო ჩანაწერის მონაცემების უპირატესობას, უტყუარობის თვალსაზრისით, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის საფუძველზე შედგენილი სააქტო ჩანაწერის მონაცემებთან შედარებით (დღეის მდგომარეობით დმანისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მიერ 2016 წლის 5 მაისს შედგენილი დაბადების აქტის ჩანაწერი ბათილად არის ცნობილი).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, არ არსებობს 1984 წლის 19 მაისის დაბადების აქტის №223 ჩანაწერის ბათილად ცნო-

ბის საფუძველი და შესაბამისად, ასევე კანონიერია ქ. მ-ის განცხადებასა და მის ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით მიღებული სსგ სააგენტოს ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის 2016 წლის 1 სექტემბრის და სსგ სააგენტოს 2016 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება. ამასთან, საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ქ. მ-ის ინტერესს წარმოადგენს მისი რეალური დაბადების თარიღის გამორკვევა, რის საფუძველზეც გასწორდება პირვანდელი დაბადების სააქტო ჩანაწერში აღნიშნული უზუსტობა. კასატორის მითითებით, საჯარო მოხელეთა შეცდომით, უკანონოდ იზღუდება მისი უფლებები და გამოუსწორებელი ზიანი ადგება მის ინტერესებს. განსახილველი სარჩელის ფარგლებში როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების თვალსაზრისით, დასაბუთებულია.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ სადავო აქტი – ხაშურის რაიონის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩანწერის (მმაჩის) განყოფილების მიერ 1984 წლის 19 მაისს რეგისტრირებული დაბადების აქტის №223 ჩანაწერი, რომელსაც დაბადების ფაქტის დამადასტურებელ საბუთად საფუძვლად უდევს ხაშურის რაისამშობიარო სახლის 1984 წლის 28 აპრილის ცნობა, კანონიერია, ვიდრე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით ამ დოკუმენტის სიყალბე არ დადგინდება, რაც შეიძლება გახდეს რეგისტრაციის ჩანაწერში ცვლილების საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ კასატორს – ქ. მ-ს არ წარმოუდგენია დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც გააბათილებდა სააპელაციო სასამართლოს შეფასებებს. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ. მ-ის საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 დეკემბრის განჩინება არსებითად სწორია, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, დატოვებულ უნდა იქნეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-

მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ქ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 19 დეკემბრის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი

გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-370(კ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

რ. დ-იმ 2018 წლის 9 თებერვალს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და რ. დ-თვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისე-

ბის განვითარების სააგენტოსთვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

მოსარჩელის განმარტებით ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე რ. დ-იმ (... დაბ. ...ნ. ინდოეთში, პასპორტის ნომერი ...) 2017 წლის 29 დეკემბერს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილებით რ. დ-ის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. მოსარჩელე სადავო ადმინისტრაციული აქტის გაუქმების საფუძველად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ დაასაბუთა რის საფუძველზე ჩაითვალა რ. დ-ის საქმიანობა საფრთხის შემცველად. რ. დ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე ს. ს-თან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რ. დ-ის შვილზე ჩ. ბ-ზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ გასცა ბინადრობის ნებარვა და მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოხდება ოჯახის დამორება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 მარტის გადაწყვეტილებით რ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილება რ. დ-თვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ; სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დავალა გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი რ. დ-სთვის საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება“. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

სააპელაციო პალატის მითითებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ. ამდენად, სასამართლო უფლებამოსილია ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მხოლოდ მაშინ, თუ: 1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და 2. ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონს ეწინააღმდეგებოდა, ასევე, ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებდა მოსარჩელის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, რის გამოც არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და მისი ბათილად ცნობის საფუძველი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო

(ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სააპელაციო პალატამ ისევე, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დაავალდებულების საფუძველი. სააპელაციო პალატა სრულად იზიარებს საქალაქო სასამართლოს მსჯელობას მასზე, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ეს კანონი არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას. მითითებული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელზე საქართველოში ბინადრობის ნებართვას გაცემს სააგენტო. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოში კანონიერი საფუძვლით მყოფ უცხოელს, რომელსაც აქვს ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე სახის ბინადრობის ნებართვა, უფლება აქვს, სხვა სახის ბინადრობის ნებართვის მისაღებად სააგენტოს მიმართოს, თუ იგი შესაბამისი სახის ბინადრობის ნებართვის გასაცემად დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ბინადრობის ნებართვის სახეებს. აღნიშნული მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთი სახეა ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა ბინადრობის ნებართვის მქონე უცხოელის ოჯახის წევრებზე. მითითებული კანონის მე-18 მუხლი განსაზღვრავს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლებს. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელ-

მნიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ხოლო „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების (წესრიგის) დაცვის ინტერესები მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც: ა) პირის საქართველოში ყოფნა საფრთხეს უქმნის საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობას; ბ) არსებობს ინფორმაცია, რომელიც ალბათობის მაღალი ხარისხით მიუთითებს პირის კავშირზე: ბ.ა) საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისადმი მტრულად განწყობილი ქვეყნის/ორგანიზაციის შეიარაღებულ ძალებთან; ბ.ბ) სხვა სახელმწიფოს სადაზვერვო სამსახურებთან; ბ.გ) ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან; ბ.დ) ნარკოტიკების, შეიარაღების, მასობრივი განადგურების იარაღის ან მათი კომპონენტების უკანონო ბრუნვასთან, ადამიანითა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და სხვა სახის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მათ შორის, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან). საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესით“ განსაზღვრულია უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები. მითითებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, უცხოელი განცხადებით მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო), ხოლო ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის მოპოვების საკითხის განხილვისათვის საჭირო საბუთების ნუსხა მოცემულია ამავე დებულების მე-6 მუხლში. ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი რეგლამენტირებულია ამავე წესის მე-13 მუხლით, რომლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინ-

ნებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ აღნიშნული ვადა საკმარისი არ არის წერილობითი ინფორმაციის გასაცემად, საქართველოს სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები ამის თაობაზე აცნობებენ სააგენტოს, რის შემდეგაც მათ მიეცემათ დამატებით ორდღიანი ვადა. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ აღნიშნულ ვადებში სააგენტოსათვის საჭირო ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ითვლება, რომ არ არსებობს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები (გარდა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა) და სააგენტო ვალდებულია საკითხის განხილვა დაასრულოს კანონით განსაზღვრულ ვადაში. სააპელაციო პალატის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააგენტომ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული დებულებების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეამონწა რ. დ-ის მიერ წარუდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს და მიღებული ინფორმაციის შედეგად, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ მართებულად განმარტა, რომ საქართველოს კანონის „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ პირველი მუხლის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა არის სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება. მითითებული კანონის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწი-

ფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს. განსახილველ შემთხვევაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 იანვრის MIA 9 18 00004047 წერილით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს რ. დ-სთვის საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ უცხოელისათვის საქართველოში ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. იგი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, კერძოდ, მითითებული კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანო კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ვალდებულია დაიცვას დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების კანონით დადგენილი ფარგლები, ამასთან, დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განახორციელოს იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც აქვს მინიჭებული ეს უფლებამოსილება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

მე-7 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, ურთიერთშეჯერების ვალდებულებას. მითითებული ვალდებულების შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებით (განხორციელებული ქმედება) პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისთვის მიყენებული ზიანი არსებითად არ უნდა აღემატებოდეს იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც მიღებული იქნა იგი, გადაწყვეტილებამ არ უნდა გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებების და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ზემოაღნიშნულთან ერთად, სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტური დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანახმობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას შეაფასოს ზემოაღნიშნული ასპექტები. რ. დ-სთვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად მითითებულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები. სააპელაციო პალატის მოსაზრებით საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია პრიორიტეტულად სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები, თუმცა ასევე მართებულად განმარტა, რომ მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამაც საქმის განხილვის მიმდინარეობის დროს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოითხოვა რ. დ-ის შესახებ არსებული საიდუმლო ინფორმაცია, რომლის შესწავლის საფუძველზე, ასევე, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთშე-

ჯერების შედეგად, სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა რ. დ-სათვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის საფუძველი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ რ. დ-ის სარჩელი სწორად დაკმაყოფილდა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მართებულად დაევალა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის საფუძველზე, გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი რ. დ-სათვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ. კასატორმა იმავე ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველებზე მითითებით, რომლებზეც ამყარებდა სააპელაციო საჩივარს, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამავე კანონის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვას გაცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა, მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო, გაცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. სწორედ, ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ

ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. კასატორის მოსაზრებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მართალია, გამოიყენეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, თუმცა, არასწორად განმარტა იგი. სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომელიც ხდება გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით განერილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველები. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო, კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. კასატორის განმარტებით, სწორედ აღნიშნული ვალდებულების საფუძველზე, სააგენტომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს გადაუგზავნა 2017 წლის 29 დეკემბრის №... წერილი: არსებობდა თუ არა რ. დ-ის საქართველოს ტერიტორიაზე ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძველები. მიღებული 2018 წლის 9 იანვრის № MIA 9 18 00004047 წერილით ირკვევა, რომ საქარ-

თველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს №... (რ. დ-ი) საქმეში მითითებული პირისთვის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიაჩნია. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, იხელმძღვანელა რა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ამავედროულად, გაითვალისწინა რა კერძო და საჯარო ინტერესი, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღო კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

კასატორის განმარტებით, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული სადავო გადაწყვეტილებების ფაქტობრივი საფუძველი გახდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 იანვრის №MIA 9 18 00004047 წერილი. კასატორი აღნიშნავს, რომ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. თავის მხრივ, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ სააგენტო დაეყრდნო ამ კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილ დასკვნას და უპირატესობა მიანიჭა საჯარო ინტერესს, მაშინ, როდესაც საკითხი ეხებოდა სახელმწიფო უსაფრთხოებას. საგულისხმოა ასევე ის გარემოება, რომ განცხადების განმხილველი ორგანო კანონმდებლობით შეზღუდულია მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადავოს გახდიდა და გააბათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებუ-

ლი განჩინება იურიდიულად არ არის დასაბუთებული, იგი უნდა გაუქმდეს და მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 22 მარტის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც რ. დ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე რ. დ-იმ (R. D, დაბ.: ... ნელს, ინდოეთში, პასპორტის ნომერი ...) 2017 წლის 29 დეკემბერს განცხადებით მიმართა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემა. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2017 წლის 29 დეკემბრის №... წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტისაგან გამოითხოვა ინფორმაცია, არსებობდა თუ არა მოსარჩელისათვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 5 იანვრის №1000587720 გადაწყვეტილებით ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე რ. დ-ის 2017 წლის 28 დეკემბრის განცხადება დაკმაყოფილდა და საქართველოდან გასვლის ვალდებულება გადაუვადდა 2018 წლის 23 იანვრიდან 2018 წლის 14 თებერვლამდე. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 იანვრის №MIA 9 18 00004047 წერილის თანახმად, დეპარტამენტმა რ. დ-სთვის „უცხოელთა და მოქალა-

ქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემა მიზანშეუწონლად მიიჩნია. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილებით რ. დ-ის „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, უარი ეთქვა ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. ასევე დადგინდა, რომ რ. დ-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე ს. ს-თან. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2016 წლის 1 დეკემბრის №... გადაწყვეტილებით ს. ს-ს საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვა გაუგრძელდა 2019 წლის 31 ნოემბრამდე.

განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილებით რ. დ-ის, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, უარი ეთქვა მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეცმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით, შესაბამისად, სახელმწიფო გაცემს რა ბინადრობის

მონაწილას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. აღნიშნული მიუთითებს სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე – იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 ქვეპუნქტის თანახმად საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება არის კონტრდაზვერვითი საქმიანობა. იმავე კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპე-

რატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ კანონით დადგენილი წესით 2017 წლის 29 დეკემბრის №... წერილით მიმართა უფლებამოსილ საქართველოს სახელმწიფო ორგანოს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა, არსებობდა თუ არა რ. დ-სთვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 იანვრის №MIA 9 18 00004047 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია №... (რ. დ-ი) საქმეში მითითებული პირისთვის ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემა. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 9 იანვრის №MIA 9 18 00004047 წერილი წარმოადგენს სწორედ კანონით გათვალისწინებულ დასკვნას, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად.

საგულისხმოა, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ 2020 წლის 3 თებერვალს №ბს-370(კ-19) წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული რ. დ-თვის ბინადრობის ნებართვის გაცემა. გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული აქტი კანონშესაბამისია და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეესაბამება დარგის მარეგულირებელი, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად აქარწყლებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებას. თუმცა, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6

პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმეთა განხილვისას სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულების გათვალისწინებით, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს. ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს იმ უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც საქართველოში ახორციელებს კონტრდაზვერვით საქმიანობას. შესაბამისად, მის მიერ გაცემული დასკვნა – წერილი წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მომზადებულ მტკიცებულებას, რომლის სამართალდაცვითი მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობას კრძალავს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი. თუმცა, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი ინფორმაცია არ ტოვებს მცირეოდენი ეჭვის საფუძველსაც კი, რომ სააგენტომ მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას კანონმდებლობის მოთხოვნების სანინააღმდეგოდ განახორციელა რაიმე ქმედება, რადგან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, დგინდება, რომ სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით შეამოწმა რა რ. დის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, სააგენტოს გადაწყვეტილება ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გამოყენებით შეესაბამება კანონმდებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოსარჩელის მითითება ოჯახის

ერთიანობის პრინციპის დარღვევაზე, რამდენადაც აღნიშნული პრინციპის გამოყენება, კონკრეტულ შემთხვევაში, შეიზღუდა ლეგიტიმური მიზნის – სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მისაღწევად, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს და მიიჩნევს, რომ არ არსებობს რ. დ-ის სარჩელის დაკმაყოფილების, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დავალდებულების საფუძველი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევით, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებია, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინება და რ. დ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხ-

ლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადანყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადანყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, რ. დ-მა კასატორ – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა აუნაზღაუროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 450 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ე შ ი ტ ა :

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 ნოემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
3. რ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მოსარჩელე – რ. დ-ს (პ/ნ ...) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – (150+300) 450 ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შრომითი ბინადრობის გაცემის საფუძველი

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-815(კ-19)

16 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალევა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ბ-იმ 2018 წლის 20 აპრილს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიმართ. მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ა. ბ-ისთვის საქართველოს შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალევა მოითხოვა.

მოსარჩელე მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის დასაბუთების სავალდებულო მოთხოვნებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით ა. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის №... გადაწყვეტილება და დაევალა მოპასუხეს გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა. ბ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სა-

აგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, რაც გაიზიარა სააპელაციო პალატამაც. სააპელაციო სასამართლომ ასევე სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე, ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ან/და კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება“. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, რის გამოც არსებობდა მისი ბათილად ცნობის საფუძველი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვე-

ტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ. ამდენად, სასამართლო უფლებამოსილია ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მხოლოდ მაშინ, თუ: 1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და 2. ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონს ეწინააღმდეგება, ასევე, ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, რის გამოც არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებისა და მისი ბათილად ცნობის საფუძველი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემის თაობაზე მოპასუხისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების საფუძველი.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს უცხოელთა საქართველოში შემოსვლის, ყოფნის, ტრანზიტით გავლისა და საქართველოდან გასვლის სამართლებრივ საფუძვლებსა და მექანიზმებს, აგრეთვე განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და მოვალეობებს, საქართველოში მყოფ უცხოელთა საქართველოდან გაძევების ფორმებსა და პროცედურებს, გაძევების პროცესში მონაწილე სახელმწიფო დაწესებულებათა კომპეტენციის ფარგლებსა და პასუხისმგებლობას. მითითებული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ საქართველოში ბინადრობის ნებართვას გაცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. მე-

15 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად კი, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს შრომითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობის განსახორციელებლად, აგრეთვე თავისუფალი პროფესიის ადამიანზე. იმავე კანონის 18-ე მუხლით განსაზღვრულია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ. ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილებით განსაზღვრულია უცხოელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის წესი და პირობები. მითითებული დადგენილების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით უცხოელი განცხადებით მიმართავს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. შრომითი ბინადრობის ნებართვის მოპოვების საკითხის განხილვისათვის საჭირო საბუთების ნუსხა კი მოცემულია ამავე დადგენილების მე-5 მუხლში, რაც მოსარჩელის მიერ წარდგენილ იქნა ადმინისტრაციულ ორგანოში. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები რეგლამენტირებულია ამავე დადგენილების მე-13 მუხლით, რომლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები, მიმართვის მიღებიდან 5 დღეში

წარუდგენენ სააგენტოს მოთხოვნილ ინფორმაცია. თუ აღნიშნული ვადა საკმარისი არ არის წერილობითი ინფორმაციის გასაცემად, საქართველოს სახელმწიფო ორგანოები, ფიზიკური და იურიდიული პირები ამის თაობაზე აცნობებენ სააგენტოს, რის შემდეგაც მათ მიეცემათ დამატებითი ორდლიანი ვადა. საქართველოს სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ აღნიშნულ ვადებში სააგენტოსათვის საჭირო ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, ითვლება, რომ არ არსებობს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველები (გარდა კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა) და სააგენტო ვალდებულია საკითხის განხილვა დაასრულოს კანონით განსაზღვრულ ვადაში. იმავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, უცხოელის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციისა და მოპოვებული მასალის საფუძველზე, სააგენტოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის ან საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე. ამრიგად, პირისათვის ბინადრობის ნებართვის მიიჭების საკითხის გადაწყვეტის შესახებ შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით, „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი ორგანოდან გამოითხოვს ინფორმაციას საქართველოში პირის ცხოვრების მიზანშეწონილობის შესახებ. ადმინისტრაციული ორგანოს აღნიშნული ქმედების აუცილებლობა მდგომარეობს იმაში, რომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოირიცხოს კანონის მე-18 მუხლში მითითებული პირისათვის ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის მითითებით, განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის პირველი სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შეამოწმა რა მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, მიმართა საქართველოს სახელმწიფო ორგანოს და მიღებული ინფორმაციის შედეგად ამავე მუხლის მე-7 პუნქტისა და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელისათვის საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შე-

სახებ. ამასთან, მოპასუხე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი საფუძველი გახდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი, ხოლო სამართლებრივი შედეგი წარმოშვა გასაჩივრებულმა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებამ, რომლითაც უარი ეთქვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ ასევე მართებულად განმარტა, რომ უცხოელისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. ზემოაღნიშნულთან ერთად, სასამართლო იცავს რა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, იმავდროულად, აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ზემოქმედება მმართველობის ამ სფეროზე, ვინაიდან არ არსებობს აბსოლუტურად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც აბსოლუტური საკანონმდებლო განსაზღვრულობა, უფლებამოსილება ყოველთვის უკავშირდება კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს, იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, რომლებიც საფუძვლად დაედო ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, თანასწორობის, დასაბუთებულობის, საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის, თანაფარდობის პრინციპების დაცვის მოთხოვნას. ხსენებული კრიტერიუმების სინთეზი შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისას შეაფასოს ზემოაღნიშნული ასპექტები. განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დგინდება, რომ ა. ბ.-ისათვის საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად მითითებული იქნა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები. სააპელაციო პალატის მოსაზრებით საქალაქო სასამართლომ პრიორიტეტულად სწორად მიიჩნია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის საკითხები, თუმცა ასევე მართებულად აღნიშნა, რომ მიდგომა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა იყოს თანმიმდევრული და არ უნდა ქმნიდეს შეუსაბამო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ, საქალაქო სასამართლოს მსგავსად, კანონით დადგენილი წესით გამოითხოვა და შესაბამისად, გაეცნო

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილის საფუძველად არსებულ ინფორმაციას და მიიჩნია, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წერილი არ შეიცავს ისეთი შინაარსის ინფორმაციას, რაც დაადასტურებდა მოსარჩელის საქართველოში შრომითი ბინადრობის მინიჭების მიზანშეუწონლობას სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, ასევე, სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, არ დასტურდება მოსარჩელის მხრიდან ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ. კასატორმა იმავე ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველზე მითითებით, რომლებზეც ამყარებდა სააპელაციო საჩივარს, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ამავე კანონის მე-15 მუხლის „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ ოჯახის გაერთიანების მიზნით ბინადრობის ნებართვას გასცემს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის უფლება, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში, ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა, მსგავსი ტიპის მომსახურებით. შესაბამისად, სახელმწიფო, გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებების და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. სწორედ, ბინადრობის სამართლებრივი ბუნება ანიჭებს ადმინისტრაციულ

ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას – საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. კასატორის მოსაზრებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა მართალია, გამოიყენეს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, თუმცა, არასწორად განმარტა იგი. სააპელაციო სასამართლომ არ მიიღო მხედველობაში, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას, ადმინისტრაციული ორგანო, საჯარო და კერძო ინტერესების შეპირისპირების მიზნით, იკვლევს და გამოითხოვს მტკიცებულებებს, რომელიც ხდება გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით განერილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველები. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, უცხოელს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს. „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის“ მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო, კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან, რაც სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ შესრულებულ იქნა და გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან – არსებობდა თუ არა ა. ბ-ისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი. აღნიშნული ინფორმაციის მოკვლევაზე უფლებამოსილ, ერთადერთ კომპეტენტურ ორგანოს

სწორედ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს, რომელიც, „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, საქართველოში ახორციელებს კონტრდაზვერვით საქმიანობას. თავის მხრივ, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აპელანტის მოსაზრებით, სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღოს ის გარემოება, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის მოპოვება/დამუშავებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტი წარმოადგენს, სასამართლოს მითითება, რომ სააგენტომ მხოლოდ გაიზიარა კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნა და სხვაგვარად არ დაუსაბუთებია კანონის მე-18 მუხლით განერილი გარემოებები, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. კასატორი მიიჩნევს, რომ როდესაც სახეზეა კომპეტენტური ორგანოს დასკვნა კონკრეტული პირის საქართველოში ცხოვრების მიზანშეწონილობის თაობაზე, გამომდინარე იმ სამართლებრივი რეგულაციიდან, რაც დღეს მოქმედებს, სააგენტოს დისკრციული უფლებამოსილება შეზღუდულია, რამეთუ, განცხადების განმხილველი ორგანო კანონმდებლობით შეზღუდულია მოიპოვოს ისეთი მტკიცებულება, რომელიც სადავოს გახდიდა და გააბათილებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის დასკვნას. კასატორის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია, რის გამოც, კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში მოპოვებული მასალები და დოკუმენტაცია წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება არ ჯდება სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, როდესაც არსებობს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი, გაურკვეველია, კიდევ რა საფუძველი უნდა დაედგინა სააგენტოს და სათანადოდ დაესაბუთებინა. გასაჩივრებული გადანყვეტილებით დაუდგენელია, რომელი კანონის რა მოთხოვნა დაარღვია სააგენტომ, რაც შესაძლოა გახდეს გადანყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი, ამდენად, კასატორი ითხოვს, რომ გაუქმდეს თბილისის სა-

ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 მაისის №3/2399-18 გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ა. ბ-ის უარი ეთქვას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 19 ივნისის განჩინებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ბ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ ავღანეთის ისლამური რესპუბლიკის მოქალაქე ა. ბ-ი 2018 წლის 1 იანვრის შრომითი ხელშეკრულების თანახმად, დასაქმებულია შპს „...-ში“ ...ის თანამდებობაზე. 2012 წლიდან (2018 წლის 1 იანვრიდან 5-წლიანი ხელშეკრულებით) მისი ანაზღაურება შეადგენს 800 (რვაას) ლარს თვეში. 2012 წლიდან მისი საშემოსავლო გადასახადი გადახდილია 4440 ლარის სახით. შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2017 წლის 12 დეკემბრის წერილის თანახმად, ელექტრონული ბაზის 2017 წლის 11 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „...-ს“ უფიქსირდება სამენარმეო აქტივობა (დეკლარაციების წარდგენა, გადასახადების გადახდა, ანგარიშ-ფაქტურების და ზედნადებების გამოწერა-მიღება, სასაქონლო ოპერაციები). 2018 წლის 22 მარტს ა. ბ-მა განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2018 წლის 24 მარტის №... წერილით მიმართა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და

სტხოვა ეცნობებინა, არსებობდა თუ არა ა. ბ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 2 აპრილის SSG 9 18 00048632 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია ა. ბ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის №... გადაწყვეტილებით ა. ბ-ს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, უარი ეთქვა საქართველოში შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე.

განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2018 წლის 5 აპრილის №... გადაწყვეტილებით ა. ბ-ისათვის შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები, რომლის მიხედვით, უცხოელი საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ არსებობს უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად მისი საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, ან/და იგი ახორციელებს საქმიანობას, რომელიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას ან/და საზოგადოებრივ წესრიგს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბინადრობის ნებართვა არის საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის საფუძველი, ხოლო ბინადრობის ნებართვის მოწმობა – იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, რომელიც ეხმარება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ჩაებას სხვადასხვა სახის სამართლებრივ ურთიერთობებში ისარგებლოს საბანკო, სადაზღვევო, სამედიცინო და სხვა მსგავსი ტიპის მომსახურებით, შესაბამისად, სახელმწიფო გასცემს რა ბინადრობის მოწმობას უცხოელზე, იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს გულისხმობს გარკვეული პრივილეგიების მინიჭებას კონკრეტული პირისათვის დროის იმ მონაკვეთში, რა პერიოდშიც

უცხოელი კანონიერად იმყოფება საქართველოში. აღნიშნული მიუთითებს სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე – იკისროს თუ არა ვალდებულებები კონკრეტული უცხოელის მიმართ. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით და საფუძვლიანად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული თითოეული ფაქტი ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან დაკავშირებით. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-10 ქვეპუნქტის თანახმად საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხი განიხილება და წყდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლით დადგენილია საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი და ვადები. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების გამოსავლენად, სააგენტო უფლებამოსილია, ხოლო კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების გამოსავლენად ვალდებულია, განცხადების მიღებიდან 3 დღეში გამოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისაგან. მითითებული საფუძვლები ემსახურება სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებს. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში საქმიანობის სპეციალური სახე, რომლის მიზანია უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების, ორგანიზაციების, პირთა ჯგუფისა და ცალკეულ პირთა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სადაზვერვო ან/და ტერორისტული საქმიანობიდან მომდინარე საფრთხეების გამოვლენა და თავიდან აცილება არის კონტრდაზვერვითი საქმიანობა. იმავე კანონის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, კონტრდაზვერვითი საქმიანობა გასაიდუმლოებულია. ამ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. კონტრდაზვერვითი საქმიანობის პროცესში ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად მიღებული დოკუმენტები, მასალები და სხვა მონაცემები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამართალდაცვითი მიზნებისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამა-

ვე კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ქვეყანაში ერთიანი კონტრდაზვერვითი საქმიანობის ორგანიზაცია და სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია ეკისრება სპეციალურ სამსახურს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს.

განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ კანონით დადგენილი წესით 2018 წლის 24 მარტის №... წერილით მიმართა უფლებამოსილ საქართველოს სახელმწიფო ორგანოს – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტს და სთხოვა ეცნობებინა, არსებობდა თუ არა ა. ბ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძვლები. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 2 აპრილის №SSG 9 18 00048632 წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ დეპარტამენტს მიზანშეუწონლად მიაჩნია ა. ბ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2018 წლის 2 აპრილის №SSG 9 18 00048632 წერილი წარმოადგენს სწორედ კანონით გათვალისწინებულ დასკვნას, რომელიც მომზადებულია ოპერატიული საქმიანობის შედეგად.

საგულისხმოა, რომ საკასაციო სასამართლოს მიერ 2020 წლის 3 თებერვალს №ბს-815(კ-19) წერილით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული ა. ბ-ისთვის შრომითი ბინადრობის ნებართვის მინიჭება. გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსის გაცნობის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონშესაბამისია და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეესაბამება დარგის მარეგულირებელ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად აქარწყლებს ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებას. თუმცა, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმეთა განხილვისას სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ვალდებულების გათვალისწინებით, დოკუმენტების საიდუმლო ხასიათის გამო მათი შინაარსის სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახვის შესაძლებლობა არ არსებობს.

ამგვარად, მოქმედი კანონმდებლობა უცხოელისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების საკითხის გადაწყვეტის პროცესში ავალდებულებს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმართოს და გამოითხოვოს ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო ორგანოებიდან და მათზე დაყრდნობით მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს იმ უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც საქართველოში ახორციელებს კონტრდაზვერვით საქმიანობას. შესაბამისად, მის მიერ გაცემული დასკვნა – წერილი წარმოადგენს ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მომზადებულ მტკიცებულებას, რომლის სამართალდაცვითი მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობას კრძალავს „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი. თუმცა, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი ინფორმაცია არ ტოვებს მცირეოდენი ეჭვის საფუძველსაც კი, რომ სააგენტომ მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისას კანონმდებლობის მოთხოვნების სანინააღმდეგოდ განახორციელა რაიმე ქმედება, რადგან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ზემოხსენებული წერილის (დასკვნის) არსებობის პირობებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეეძლო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება. შესაბამისად, დგინდება, რომ სააგენტომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №520 დადგენილების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით შეამოწმა რა ა. ბ-ის მიერ წარდგენილი დოკუმენტები, სააგენტოს გადაწყვეტილება შრომითი ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის შესახებ „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების გამოყენებით შეესაბამება კანონმდებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა მოსარჩელის მითითება დაუსაბუთებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მისი უფლების დარღვევის თაობაზე, რამდენადაც კონკრეტულ შემთხვევაში, ა. ბ-ის უფლება შეიზღუდა ლეგიტიმური მიზნის – სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მისაღწევად, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს და მიიჩნევს, რომ არ არსებობს ა. ბ-ის სარჩელის დაკმაყოფილების, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და მოპასუხისათვის ახალი აქტის გამოცემის დაავალდებულების საფუძველი.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო ინსტანციის სამართლომ საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევით, გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. შესაბამისად, სახეზეა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გამოც საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 ნოემბრის განჩინება და ა. ბ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით კი, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, იგი შეცვლის სასამართლო

ხარჯების განაწილებასაც.

განსახილველ შემთხვევაში, ა. ბ-მა კასატორს – სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უნდა აუნაზღაუროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 450 ლარი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე, 53-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 14 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. ბ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მოსარჩელე – ა. ბ-ის (პ/ნ ...) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – (150+300) 450 ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის თაობაზე
აქტის განსაზღვრების სანდაზმულოვა**

**განჩინება
საქართველოს სახელით**

№ბს-858(3კ-19)

22 ივნისი, 2020 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ქ. ცინცაძე**

დავის საგანი: საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. მ-მა 22.01.2018წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს პრეზიდენტის მიმართ საქართველოს პრეზიდენტის 19.07.2007წ. №434 ბრძანებულების ბათილად ცნობის მოთხოვნით. 09.03.2018წ. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე მხარემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და დამატებით მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის 02.07.2007წ. დასკვნისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კომისიის 02.07.2007წ. დადგენილების ბათილად ცნობა, აღნიშნულ ნაწილში მოპასუხედ დასახელდა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო. 26.04.2018წ. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის თანხმობით საქმეში მოპასუხედ ჩაბმულ იქნა აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სადავო აქტები გამოცემულ იქნა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის გარეშე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.2018წ. გადაწყვეტილებით გ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტმა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე და 36-ე მუხლების შესაბამისად, განიხილა გ. მ-ის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საქმე და საკითხის წინასწარი განხილვით დაადგინა, რომ გ. მ-ი მუდმივად

ცხოვრობდა სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე ორი წლის განმავლობაში, რითაც დაირღვა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის „ბ“ პუნქტი. ამდენად, 02.07.2007წ. დასკვნით დეპარტამენტმა მიიჩნია, რომ არსებობდა გ. მ-თვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველი. აღნიშნული დასკვნა დამტკიცდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კომისიის 02.07.2007წ. №24/1 დადგენილებით, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის 19.07.2007წ. №434 ბრძანებულებით, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლისა და 33-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გ. მ-ს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა. სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 09.11.1998წ. №637 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვა-გადანყვეტის წესის შესახებ“ დებულების მე-2, მე-3, მე-5, მე-7, 24-ე, 49-ე პუნქტებზე და აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დადასტურდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის დეპარტამენტში ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება გ. მ-თვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ გ. მ-ი მუდმივად ცხოვრობდა სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე ორი წლის განმავლობაში, რის გამოც დეპარტამენტის 02.07.2007წ. დასკვნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გ. მ-თვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა. აღნიშნული დასკვნა დამტკიცდა მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კომისიის დადგენილებით, ხოლო შემდგომში საქართველოს პრეზიდენტის 19.07.2007წ. ბრძანებულებით გ. მ-ს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სადავო აქტების კანონიერების შესწავლის მიზნით, რომელიც საიდუმლოების შემცველობის გამო არ დაერთო საქმეს, თუმცა სასამართლოს მიერ მოხდა ინფორმაციის შესწავლა და შემოწმება, რის შედეგად სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. მ-ი მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ იყო დამდგარი საკონსულო აღრიცხვაზე, რაც „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 32.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველს ქმნიდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. მ-მა ვერ შეძლო თავის სასარჩელო მოთხოვნათა საფუძვლიანობის დამდგენი მტკიცებულებების წარდგენა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 31.05.2018წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა გ. მ-ის მიერ. აპელანტმა აღნიშნა, რომ საკითხის გადაწყვეტა მოხდა საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე, სასამართლოს მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაცია არ ქმნიდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს. დეპარტამენტის 02.07.2007წ. დასკვნა გასაჩივრებული იყო, შესაბამისად მისი კანონიერების შემოწმებაც უნდა მომხდარიყო. პრეზიდენტის სადავო ბრძანებულება ეყრდნობა არამართლზომიერ დასკვნასა და დადგენილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.03.2019წ. გადაწყვეტილებით გ. მ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 31.05.2018წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კომისიის 02.07.2007წ. №24/1 დადგენილება და საქართველოს პრეზიდენტის 19.07.2007წ. №434 ბრძანებულება, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის 02.07.2007წ. დასკვნა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა დეპარტამენტს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. პალატამ აღნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის სამართლებრივი საფუძველია 25.03.1993წ. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონი, რომლითაც მოქალაქეობა განმარტებულია, როგორც პირის პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი საქართველოს სახელმწიფოსთან, რაც გამოიხატება ურთიერთსანაცვლო უფლება-მოვალეობათა ერთიანობით, ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას. ამავე ორგანული კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს განაგრძობენ უფლებები და მოვალეობები, რომლებიც აქვთ საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლით აღიარებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, აგრეთვე პირადი უფლებები და თავისუფლებები, მე-10 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების ერთ-ერთი საფუძველია დაბადება, ხოლო 30-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა. მითი-

თებული ორგანული კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 32-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონის შესაბამისად, პირი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას, თუ პირი მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე 2 წლის განმავლობაში. 33-ე მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტი. 36.1 მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებასა და წარდგინებას წინასწარ განიხილავს და მასალებს ამზადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვის თაობაზე დასკვნას ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი, 36.2 მუხლის თანახმად, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის ამ კანონის 35-ე მუხლში მითითებულ უწყებათა წარდგინების გარეშე ცნობილი გახდება პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლების არსებობა, იგი ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით განიხილავს მოქალაქეობის დაკარგვის საკითხს და მასალებს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს. 37-ე მუხლის თანახმად კი, საქართველოს მოქალაქეობის შეძენის, მოქალაქეობის შეწყვეტისა და მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების და წარდგინების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს ბრძანებულებას. მოცემულ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული პროცედურის გავლით, საკითხის განხილვაზე უფლებამოსილმა ორგანოებმა დადგენილად მიიჩნიეს, რომ გ. მ-ი – დაბადებით საქართველოს მოქალაქე, მუდმივად ცხოვრობდა სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე ორი წლის განმავლობაში, რის გამოც გ. მ-ს, 25.03.1993წ. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა. პალატამ მიუთითა 10.12.1948წ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე (ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 15.09.1991წ. დადგენილებით), რომელიც აღიარებს ყოველი ადამიანის მოქალაქეობის უფლებას. არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან თავისი მოქალაქეობის შეცვლის უფლება (მე-15 მუხლი). აღნიშნული უფლება ემყარება პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის არსებულ უტყუარ და ეფექტურ სამართლებრივ კავშირს, იგი არამხოლოდ თვითიდენტიფიცირების საშუალებაა, არამედ პირს ანიჭებს სახელმწიფოს მხრიდან დაცვის უფლებას, ასევე სხვა მრავალ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას. მოქალაქეობის ინსტიტუტი კონკრეტული სახელმწიფოს სუვერენიტეტის რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. საქარ-

თველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა, როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამასთანავე, მოქალაქეობის უფლება განმტკიცებულია მრავალი საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმით, რაც მოწმობს მოქალაქეობის ინსტიტუტის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და არ შემოიფარგლება კონკრეტულ სახელმწიფოთა საზღვრებით. პალატამ მიუთითა, რომ მართალია, ეროვნული კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს მოქალაქეობის დაკარგვის შესაძლებლობას, კანონში მითითებული კონკრეტული საფუძვლების გამოვლენის შემთხვევაში, თუმცა ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეობის შესახებ“ ემყარება ადამიანის ღირსების პატივისცემას, მისი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია საქართველოს მოქალაქისათვის მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხი გადაწყვიტოს გარემოებათა სათანადოდ გამოკვლევის შედეგად. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ერთი მხრივ, გ. მ-ის მიმართ გამოცემულ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში მითითებულია მისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი (25.03.1993წ. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), ხოლო მეორე მხრივ, საქმის სასამართლოში განხილვისას გამოვლინდა, რომ სადავო საკითხის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ იქნა იუსტიციის სამინისტროში დაცული საიდუმლო ინფორმაცია. სააპელაციო პალატამ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან გამოთხოვილი საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტაციის გაცნობის შემდგომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ინფორმაციის არსებობა არ გამოირიცხავდა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოეკვლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიეღო ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. პალატამ ასევე მიუთითა საქმეში დაცული რუსეთის ფედერაციის სამედიცინო დანებსებულების მიერ გაცემულ დოკუმენტზე – „მსჯავრდებულის სამედიცინო დასტურის შესახებ“ სპეციალური სამედიცინო კომისიის დასკვნაზე (ფორმა №035-1...), რომლის მიხედვით, გ. მ-ი გასამართლებულია 27.05.2015წ., ქ. მოსკოვის შერბინკის რაიონული სასამართლოს მიერ, 16.1.2 მუხლით (სასჯელის ვადა – 5 წელი, სასჯელის ვადის დასრულების თარიღი – 13.03.2019წ.). დასკვნის შესაბამისად, გ. მ-ის დიაგნოზია ლეიძლის ციროზი, ვირუსული B, C ეთიოლოგია, კლასი ჩაილდჰიუს მიხედვით, დეკომპენსაციის სტადიაში. პორტალური ჰიპერტენზიის სინდრომი, ასციტი, ჰეპატოსპლენომე-

გალია, ჰიპერსპლენიზმის სინდრომი, საყლაპავის ქვედა ნაწილის ვენების ვარიკოზული გაგანიერება, მეორე სტ., ქრონიკული კალკულოზური ქოლეცისტიტი, გართულების გარეშე, მარჯვენა თირკმელის კონკრემენტი, ორივე თვალის უჯრედის აბგიოპათია. დასკვნით ჩაითვალა, რომ მითითებული დაავადებები მსჯავრდებულის ვადამდე ადრე გათავისუფლების საფუძველია. ამდენად, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. მ-ი 2015 წლიდან სასჯელს იხდის რუსეთის ფედერაციაში და ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მისი სასჯელალსრულების დაწესებულებიდან პირობით ვადამდე გათავისუფლება. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გ. მ-ი სადავო პერიოდშიც იმყოფებოდა პატიმრობაში და შესაბამისად, მოკლებული იყო შესაძლებლობას, დამდგარიყო აღრიცხვაზე საკონსულოში, ამასთანავე, ამ მომენტისათვის, იგი კვლავ რჩება პატიმრობაში და მოქალაქეობის არქონის გამო, ვერ გადაადგილდება, აქვს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა. სააპელაციო პალატა აღნიშნა, რომ მართალია, ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსარჩელის მოქალაქეობის დაკარგვის საფუძველად მუდმივად სხვა სახელმწიფოში ცხოვრება და არასაპატიო მიზეზით 2 წლის განმავლობაში საკონსულოში აღურიცხაობა მიუთითა, თუმცა სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ შეიცავს ინფორმაციას, რა პერიოდს მოიცავს აღნიშნული პირის საზღვარგარეთ ცხოვრება და როდიდან წარმოეშვა პირს საკონსულოში აღრიცხვის ვალდებულება, ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით უნდა გამოერიცხა პირის სადავო პერიოდში პატიმრობაში ყოფნის შესაძლებლობა, რამდენადაც, ბუნებრივია, პატიმრობის პირობებში, მოსარჩელე ფიზიკურად ვერ შეძლებდა საკონსულოში აღრიცხვის მიზნით გამოცხადებას. სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ასევე იმ გარემოებაზე, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ მოქმედი ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის წინაპირობად აღარ თვალისწინებს მუდმივად სხვა სახელმწიფოში ცხოვრებას და ორი წლის განმავლობაში საკონსულო აღრიცხვის გაუვლელობას. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის 02.07.2007წ. დასკვნა გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც მითითებული აქტი სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობი-

ლი. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის 02.07.2007წ. დასკვნის სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად ცნობის პირობებში, პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კომისიის 02.07.2007წ. №24/1 დადგენილებისა და საქართველოს პრეზიდენტის 19.07.2007 წ. №434 ბრძანებულების ძალაში დატოვების საფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.03.2019წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ.

კასატორმა საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირი კარგავდა საქართველოს მოქალაქეობას, თუ იგი მუდმივად ცხოვრობდა სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით ორი წლის განმავლობაში არ დადგებოდა საკონსულო აღრიცხვაზე. ამასთანავე, სადავო პერიოდში მოქმედი, საქართველოს პრეზიდენტის 09.11.1998წ. №637 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების განხილვის წესის თაობაზე“ დებულების თანახმად, პირთა განცხადებებსა და წარდგინებებს მოქალაქეობასთან დაკავშირებით განიხილავდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტი, რომლის დადგენილება საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ეგზავნებოდა საქართველოს პრეზიდენტს. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კომისიის დადგენილებით დამტკიცდა მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის დასკვნა გ. მ-თვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ და გადაეგზავნა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს პრეზიდენტს. პრეზიდენტის მიერ დაცული იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურა. კასატორის მოსაზრებით, საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სადავო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა პირისათვის მოქალაქეობის შეწყვეტის შესაძლებლობას უკეთეს იგი მუდმივად ცხოვრობდა სხვა სახელმწიფოში და ორი წლის განმავლობაში არ იყო დამდგარი საკონსულო აღრიცხვაზე.

კასატორმა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ აღნიშნა,

რომ სასამართლომ აქტის გამოცემა დაავალა არარსებულ ადმინისტრაციულ ორგანოს, რაც გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობას განაპირობებს. მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი იყო 2007 წლის 15 ივლისამდე. 16.06.2007წ. №119 დადგენილებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 30.08.2004წ. №70 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულებაში“, რის შემდეგაც აღნიშნული დეპარტამენტი აღარ იყო გათვალისწინებული იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურაში. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ამჟამად მოქმედი დებულებით ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ მსგავსი სახელისა და ფუნქციების მქონე სამსახური ან/და დეპარტამენტი სამინისტროში არ ფუნქციონირებს. კასატორი თვლის, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მიერ საპროცესო ხარჯების განაწილება სოლიდარულად ყველა მოპასუხეზე, რადგან სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არაფერი დავალეზია და არც მის მიერ განხორციელებული რაიმე ქმედება ან/და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იქნა კანონშეუსაბამოდ ცნობილი. კასატორმა აღნიშნა, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 25.03.1993წ. ორგანული კანონი ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2014 წლის 30 აპრილიდან. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად, კანონის საფუძველზე მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ძალადაკარგულად გამოცხადებული, იურიდიული ძალა აღარ აქვს (25.5 მუხ.), შესაბამისად, 2014 წლის 30 აპრილიდან იურიდიული ძალა აღარ აქვს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა კომისიის დამტკიცებულ შემადგენლობას, ისევე როგორც აღნიშნული კომისიის საქმიანობის წესს. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ მოქმედი ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლის აღმოჩენისას, სახელმწიფო ორგანო საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ წარდგინებით მიმართავს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. შესაბამისად, ახალი ორგანული კანონის მიღებიდან სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო წარმოადგენს ერთადერთ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც იხილავს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამდენად, სააპელაციო პალატამ სადავო გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია. კასატორმა აღნიშნა, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორ-

განული კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 32.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პირი კარგავდა საქართველოს მოქალაქეობას, უკეთეს მუდმივად ცხოვრობდა სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით ორი წლის განმავლობაში არ დადგებოდა საკონსულო აღრიცხვაზე. ამდენად, პირს საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის შესაძლებლობა ჰქონდა ორი წლის განმავლობაში. კასატორმა აღნიშნა, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომელიც თუნდაც მიანიშნებდა სადავო პერიოდში მოსარჩელის პატიმრობის შესახებ. სასამართლომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება და მხოლოდ ვარაუდის საფუძველზე გააუქმა გასაჩივრებული აქტები. ამასთანავე, სასამართლოს დაშვების გაზიარების შემთხვევაშიც, გასათვალისწინებელია, რომ კანონი ადგენდა საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის ორწლიან ვადას, რაც სრულიად საკმარისი პერიოდი იყო ფოსტის ან/და წარმომადგენლის მეშვეობით საკონსულო დაწესებულებასთან დასაკავშირებლად. მით უფრო, რომ სარჩელის აღძვრის ეტაპზე მოსარჩელის სასჯელსრულების დაწესებულებაში ყოფნის ფაქტი არ გამხდარა შემაფერხებელი წარმომადგენლის მეშვეობით, სხვა ქვეყანაში სამართალწარმოებაში მონაწილეობისათვის. საქალაქო სასამართლომ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნია, რომ გ. მ-ი მუდმივად ცხოვრობდა სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დაამდგარა საკონსულო აღრიცხვაზე ორი წლის განმავლობაში, სააპელაციო პალატას აღნიშნულის საწინააღმდეგო გარემოებები არ დაუდგენია. სასამართლომ ვერ მიუთითა მტკიცებულებებზე, რომელიც დაადასტურებდა, რომ მოსარჩელე არ ცხოვრობდა სხვა სახელმწიფოში და შესაბამისად, იმყოფებოდა საქართველოში, ან/და იდგა საკონსულო აღრიცხვაზე. კასატორი თვლის, რომ ამჟამად მოქმედ კანონმდებლობაში მოქალაქეობის დაკარგვის კონკრეტული საფუძვლის არარსებობა, არ არის განსახილველი დავისათვის რელევანტური, რადგან ადმინისტრაციული აქტის კანონიერება უნდა შემოწმდეს მისი გამოცემის დროს მოქმედი ნორმატიული ბაზის და არა შემდგომში ამოქმედებული მოწესრიგების გათვალისწინებით. კასატორი თვლის, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს სრულიად ჰქონდა გამოკვლეული საქმის გარემოებები. ამასთანავე, სასამართლოს მიერ საერთაშორისო აქტებიდან ციტირებული ნორმები არ გამორიცხავდა კონკრეტული ნორმატიული შინაარსის მქონე სამართლებრივი აქტის არსებობას და კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების სახეზე ყოფნისას მისი გამოყენების შესაძლებლობას. სადავო აქტების გამოცემა მოხდა სადავო პერიოდში მოქმედი ნორმატიული პროცედურების დაცვით.

კასატორმა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ აღნიშნა, რომ სასამართლო რაიმე მტკიცებულების წარდგენის გარეშე გაიზიარა აპელანტის მოსაზრებები. საქმის მასალებით არ დგინდება სადავო პერიოდში გ. მ-ის პატიმრობაში ყოფნა და აქედან გამომდინარე, საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის შეუძლებლობა. ადმინისტრაციული ორგანოს საკითხის განხილვისას არ ჰქონდა გ. მ-ის პატიმრობაში ყოფნის გამორიცხვის დადასტურების საშუალება, რადგან ადმინისტრაციული ორგანო ვერ შეძლებდა ევარაუდა პირის პატიმრობაში ყოფნა, ამასთანავე, ადმინისტრაციულ ორგანოს არ ეკისრებოდა აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გადამოწმების ვალდებულება. კასატორი თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება აღუსრულებელია, რადგან სასამართლო საქმის გარემოებათა გამოკვლევა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დაავალა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტს, თუმცა ამჟამად მოქალაქეობის საკითხების განმხილველი ორგანო სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოა („საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30.04.2014წ. ორგანული კანონი). დეპარტამენტი აღარ არის მოქალაქეობის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო 2008 წლიდან, რაც დასტურდება „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 25.03.1993წ. ორგანულ კანონში 19.12.2008წ. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების შესწავლისა და საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის 02.07.2007წ. დასკვნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გ. მ-თვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონის 32-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სხვა სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრებისა და ორი წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით საკონსულო აღრიცხვაზე არდადგომის გამო. დასკვნა თანდართულ მასალებთან ერთად წარედგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა კომისიას, რომლის 02.07.2007წ. №24/1 დადგენილებით დამტკიცდა გ. მ-ის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ დასკვნა,

ამასთანავე, გ. მ-ის საკითხის განხილვის მასალები დასკვნასთან ერთად წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს. საქართველოს პრეზიდენტის 19.07.2007წ. №434 ბრძანებულებით გ. მ-ს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა. სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ მოსარჩელე მხარემ მოითხოვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის 02.07.2007წ. დასკვნის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა კომისიის 02.07.2007წ. №24/1 დადგენილებისა და საქართველოს პრეზიდენტის 19.07.2007წ. №434 ბრძანებულების ბათილად ცნობა. ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტის 19.07.2007წ. №434 ბრძანებულების ბათილად ცნობა მოთხოვნილია სრულად და არა მხოლოდ გ. მ-თვის მოქალაქეობის შეწყვეტის ნაწილში. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული ბრძანებულებით საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა არა მხოლოდ გ. მ-ს, არამედ სხვა 92 პირს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართალია სარჩელის უფლება დისპოზიციურია და სასამართლო შეზღუდულია მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებით, თუმცა აღნიშნული არ გამოორიცხავს კონკრეტული სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობაზე სასამართლოს მიერ მსჯელობის საჭიროებას. სასამართლომ უნდა შეაფასოს სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობის პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლების არსებობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ საპროცესო წინამძღვრების შემონგება ხდება მხარეთა მიერ ამ საკითხის დასმის მიუხედავად, რადგან საპროცესო წინამძღვრები საჯარო ინტერესების გამომხატველია. ამასთანავე, სასამართლო უფლებამოსილია სარჩელის დასაშვებობის საკითხი განიხილოს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, საქმის არსებითად გადაწყვეტამდე. განსახილველ შემთხვევაში გ. მ-ის მიერ აღძრულია შეცილებითი სარჩელი (სასკის 22-ე მუხ.), რომლის დასაშვებობის ერთ-ერთი პროცესუალური წინაპირობაა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან მისი ნაწილით მოსარჩელის კანონიერი ინტერესისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენება. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ სრულად ბათილად ცნო საქართველოს პრეზიდენტის 19.07.2007წ. №434 ბრძანებულება ისე, რომ არ უმსჯელია სხვა პირების ნაწილში სადავო აქტის ბათილად ცნობის მიმართ გ. მ-ის კანონიერი ინტერესის არსებობაზე, სხვა პირების უფლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით გ. მ-ის მიერ სარჩელის აღძვრის უფლებამოსილებაზე. სასამართლო, მათ შორის სააპელაციო წესით საქმის განმხილველი სასამართლო ერთი მხრივ ვალდებულია შეა-

მონმოს სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები, დაეხმაროს მხარეს მოთხოვნის სწორად ფორმულირებაში, მის დაზუსტებაში, ხოლო მეორე მხრივ ვალდებულია შეწყვიტოს კონკრეტულ მოთხოვნაზე საქმის წარმოება, უკეთუ რომელიმე სასარჩელო მოთხოვნა ან მისი ნაწილი არ აკმაყოფილებს სასკ-ის 22-ე მუხლით დადგენილ სარჩელის დასაშვებობის წინაპირობებს (სასკ-ის 26² მუხ., მე-2, მე-5 ნაწ.). სააპელაციო პალატამ უგულებელყო სასარჩელო მოთხოვნის ფარგლები, სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები, არ მოთხოვა მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება, არ გაარკვია სადავო ბრძანებულების სრულად ბათილად ცნობის მიმართ გ. მ-ის კანონიერი ინტერესის არსებობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ დავის წარმოების კანონიერი ინტერესის გარდა შეცილებითი სარჩელის აღძვრის აუცილებელი წინაპირობათაგანია თვით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობა, რადგან შეცილებითი სარჩელი აღძვრება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. ამდენად, ამ სახის სარჩელის აღძვრა არ არის დასაშვები, უკეთუ სახეზე არ არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მოცემულ შემთხვევაში მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 19.07.2007წ. №434 ბრძანებულების გარდა გ. მ-ი სადავოდ ხდის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის დეპარტამენტის დასკვნას და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კომისიის 02.07.2007წ. №24/1 დადგენილებას. საქართველოს პრეზიდენტის 09.11.1998წ. №637 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტის წესის შესახებ“ დებულების სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის თანახმად, მოქალაქეობის საკითხებით დაინტერესებულ პირთა განცხადებებსა და კანონით უფლებამოსილ ორგანოთა წარდგინებას წინასწარ განსახილველად ამზადებდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის დეპარტამენტი, რომელიც დასვენას აღნიშნულის თაობაზე წარუდგენდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კომისიას. თავის მხრივ კომისიის დადგენილება საქმის მასალებთან ერთად საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ეგზავნებოდა საქართველოს პრეზიდენტს. დებულების თანახმად, სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის დეპარტამენტის დასკვნა და სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კომისიის დადგენილება, დადებითი იქნებოდა თუ უარყოფითი, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინებოდა საქართველოს პრეზიდენტს.

სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.11.2006წ. №766 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კომისიის საქმიანობის წესის შესახებ“ დებულების 1-ლი მუხლი ადგენდა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხთა კომისია იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის საკითხებზე სათათბირო ორგანო, ამავე დებულების მე-12 მუხლის მიხედვით, კომისია უფლებამოსილი იყო მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით მიეღო გადაწყვეტილება მოქალაქეობის თაობაზე განცხადებათა, შუამდგომლობათა და წარდგინებათა დაკმაყოფილების მიზანშეწონილობის შესახებ, თუმცა კომისია არ იყო საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ორგანო. ამდენად, დეპარტამენტის სადავოდ გამხდარი დასკვნა და კომისიის დადგენილება არ ადგენდა საბოლოო შედეგს – მოქალაქეობის შეწყვეტას. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს სადავო აქტების გამოცემის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე უნდა ემსჯელა მოსარჩელის პირველი ორი მოთხოვნის, კერძოდ დეპარტამენტის დასკვნისა და კომისიის დადგენილების მიმართ შეცილებითი სარჩელის დასაშვებობის, ხსენებული აქტების სზაკ-ის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციასთან შესაბამისობის, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობის და შესაბამისად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სათანადო მოპასუხეობის (სსკ-ის 85-ე მუხ.) საკითხზე, ვინაიდან ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით. მრავალსაფეხურიანი ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას, როდესაც აქტის გამოცემა მმართველობის მრავალი სუბიექტის თანხმობაზეა დამოკიდებული, დამოუკიდებლად არ გასაჩივრდება ერთ-ერთი უწყების უარი, მაშინაც კი, როდესაც ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ პირისთვის ნეგატიური შედეგის დამდგომი აქტის გამოცემის მიზეზი ხდება. სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 25.03.1993წ. ორგანული კანონი ითვალისწინებდა საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებისა და წარდგინების წინასწარ განხილვას და მასალების მომზადებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, აღნიშნული წესის დამდგენი ორგანული კანონის 36-ე მუხლს ეწოდებოდა

– „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვა“, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა საქართველოს პრეზიდენტი („საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 25.03.1993წ. ორგანული კანონის 33-ე მუხ., საქართველოს პრეზიდენტის 09.11.1998წ. №637 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტის წესის შესახებ“ დებულების 21-ე პუნქტი), მოქალაქეობის დადგენის თაობაზე გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო იღებდა მხოლოდ ხსენებული ორგანული კანონის მე-3 და მე-11-22-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად („საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 25.03.1993წ. ორგანული კანონის 36¹ მუხ., საქართველოს პრეზიდენტის 09.11.1998წ. №637 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტის წესის შესახებ“ დებულების 22-ე პუნქტი), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის მოყვანილი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ წარმოშობს დამოუკიდებელ სამართლებრივ შედეგს დეპარტამენტის დასკვნა და კომისიის დადგენილება. ამდენად, სააპელაციო პალატას უნდა ემსჯელა დეპარტამენტის დასკვნისა და კომისიის დადგენილების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნების დასაშვებობის საკითხზე.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე გარემოებაზე, რომ სააპელაციო პალატამ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ბათილად ცნო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტის 02.07.2007 წ. დასკვნა და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ამავე ორგანოს – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტს დაავალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით გარემოებების გამოკვლევა, შეფასება, ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და ახალი აქტის გამოცემა დაევალა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცემის მომენტისათვის არარსებულ ორგანოს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტები გამოცემულია საქართველოს პრეზიდენტის 09.11.1998წ. №637 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ“ დებულების საფუძველზე, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 30.01.09წ. №34 ბრძანებულებით და სა-

ქართველოს იუსტიციის მინისტრის 15.11.2006წ. №766 ბრძანების შესაბამისად, რომელიც ასევე ძალადაკარგულია, რადგან მინისტრის ბრძანების საფუძველი – „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 25.03.1993წ. ორგანული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30.04.2014წ. ორგანული კანონით, ხოლო „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 25.5 მუხლის თანახმად, კანონის გაუქმება იწვევს მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტების გაუქმებასაც. ამდენად, ის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, რომელთა საფუძველზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტი უფლებამოსილი იყო ემსჯულა მოქალაქეობის დაკარგვის მიზანშეწონილობის საკითხზე და მიეღო შესაბამისი დასკვნა, ამჟამად ძალადაკარგულია. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 25.03.1993წ. ორგანულ კანონში 19.12.2008წ. №802 – III ორგანული კანონით შეტანილი ცვლილებების შედეგად, მოქალაქეობის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო რეესტრის სააგენტო. სტრუქტურული ერთეული – მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტი ამჟამად იუსტიციის სამინისტროში აღარ არსებობს. საქართველოს მთავრობის 30.08.2004წ. №70 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულებაში“ საქართველოს მთავრობის 16.06.2007წ. №119 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების შედეგად, იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურაში სტრუქტურული ერთეულის სახით უკვე აღარ არის გათვალისწინებული მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტი (ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბდა სამოქალაქო საკითხთა დეპარტამენტი, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა მოქალაქეობის შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა (ცვლილების შემდგომ მოქმედი რედაქციის 21-ე მუხ. „ზ“ ქვ.პ., „დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილება ამოქმედდა 2007 წლის 15 ივლისიდან (№119 დადგენილების 3.1 მუხ.), ამის შემდგომ საქართველოს მთავრობის 05.11.2008წ. №218 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 30.08.2004წ. №70 დადგენილება და საქართველოს პრეზიდენტის 07.11.2008წ. №541 ბრძანებულებით დამტკიცდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ახალი დებულება, რომლის მიხედვით სამინისტროში კვლავ არსებობდა სამოქალაქო საკითხთა დეპარტამენტი (მე-11 მუხ. „მ“ ქვ.პ.),

რომლის უფლებამოსილებებში კვლავ შედიოდა მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ საკითხების განხილვა (25-ე მუხ. „ბ“ ქვ.პ.), თუმცა სამინისტროს დებულებაში 2009 წლის იანვარში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის აღარ სახელდება სამოქალაქო საკითხთა დეპარტამენტი (მე-11 მუხ.), ხოლო მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხთა განხილვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება მითითებულია იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციად (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 30.01.2006წ. №209 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დებულების“ 2009 წლის იანვრის ცვლილებების შემდგომ მოქმედი რედაქციის მე-3 მუხ. „კ“ ქვ.პ.)). ამდენად, საკითხის მომწესრიგებელ კანონქვემდებარე აქტებში 2009 წლის იანვარსა და წინა პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა და დასკვნის მომზადება ჩამოცილდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, მისი სტრუქტურული ერთეულების უშუალო უფლებამოსილებების სფეროს და გადაეცა სამინისტროს ერთ-ერთ სსიპ-ს, რომელიც საკუთარი სახელით იძენდა უფლებებსა და მოვალეობებს, დამოუკიდებლად გამოდიოდა სასამართლოში მოსარჩელედ ან მოპასუხედ (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 30.01.2006წ. №209 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დებულების“ 1.4 მუხ.). მართალია „სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.01.2006წ. №209 ბრძანება ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 13.07.2012წ., თუმცა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 13.07.2012წ. №117 ბრძანებით დამტკიცდა „სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დებულება“, რომლითაც სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციად განისაზღვრა საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საკითხთა განხილვა და შესაბამისი დასკვნის მომზადება (მე-4 მუხ. „ყ“ ქვ.პ.). ამჟამად მოქმედი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30.04.2014წ. ორგანული კანონის თანახმად, მოქალაქეობის საკითხების განმხილველი ორგანოდ სწორედ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო სახელდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკანონმდებლო საფუძველს არ ემყარება სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტისათვის საქმის გარემოებების შესწავლისა და ახალი აქტის გამოცემის დავალება, მით უფრო, რომ სააგენტო ჩაბმულია საქმეში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების შესრულება შეუძლებელია. ამჟამად მოქალაქეობის საკითხების განმხილველი ორგანოს – სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს საქმეში ჩაბმის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების შესწავლა, ადმინისტრაციული წარმოების სრულყოფილად ჩატარება და აქტის გამოცემა დაევალა არარსებულ მოქალაქეობისა და მიგრაციის საკითხთა დეპარტამენტს. ამასთანავე, აღნიშნული მოთხოვნის ნაწილში მოპასუხედ მიჩნეულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობის საკითხების განხილვა ამჟამად შეადგენს არა სამინისტროს, არამედ მისი სსიპ-ის უფლებამოსილებას, ხოლო სსიპ-ისა და სამინისტროს უფლებამოსილებები ერთმნიშვნელოვნად გამიჯნულია. მართალია, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირია, თუმცა საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს საჯარო საქმიანობას, იგი საკუთარი სახელით იძენს უფლება-მოვალეობებს და შეუძლია სასამართლოში მოსარჩელედ თუ მოპასუხედ გამოსვლა, სსიპ სამინისტროსგან განცალკევებული ორგანიზაციაა („საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის 2.1, 3.1 მუხ.). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ მათ შორის ამჟამად მოქმედი ნორმატიული მონესრიგების მიხედვით, მოქალაქეობის შენევის შესახებ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს დასკვნა არ არის საბოლოო შედეგის – მოქალაქეობის შენევის წარმომშობისათვის საკმარისი, მოქალაქეობის შენევის შესახებ საბოლოო გადანყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი („საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30.04.2014წ. ორგანული კანონის 25.1 მუხ.). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძვლიანია კასატორების მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადანყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მოქალაქეობასთან დაკავშირებული გადანყვეტილების გასაჩივრების უფლება მოცემულ შემთხვევაში დაცულია საქართველოს პრეზიდენტის აქტის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობით.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ მოქალაქეობა კონკრეტული სახელმწიფოს სუვერენიტეტის რეალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა, მოქალაქეობის უფლება და თვითნებურად ჩამორთმევის აკრძალვა გან-

მტკიცებულია არაერთი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტით, რაც მოქალაქეობის ინსტიტუტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ადასტურებს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული არ გამოირიცხავს სათანადო ნორმატიული საფუძვლების არსებობისას მოქალაქეობის შეწყვეტის შესაძლებლობას. სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 25.03.1993წ. ორგანული კანონის 30-ე მუხლი ითვალისწინებდა მოქალაქეობის შეწყვეტის ორ საფუძველს: მოქალაქეობიდან გასვლას და მოქალაქეობის დაკარგვას. მოქალაქეობიდან გასვლა (ექსპატრიაცია) გულისხმობს პირის მიერ მოქალაქეობის ნებაყოფლობით დათმობას, ხოლო მოქალაქეობის დაკარგვა (დენატურალიზაცია) გულისხმობს პირისათვის მოქალაქეობის შეწყვეტას სახელმწიფოს აქტის საფუძველზე. მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლები შეიძლება სხვადასხვა იყოს. სადავო აქტების გამოცემისას მოქმედი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 25.03.1993წ. ორგანული კანონის 32-ე მუხლი მოქალაქეობის დაკარგვის ოთხ შემთხვევას ითვალისწინებდა, კერძოდ: საქართველოს კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე პირის შესვლა უცხო სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებში და მმართველობის სხვა ორგანოებში ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში („ა“ ქვ.პ.); პირის მუდმივად ცხოვრება სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით საკონსულო აღრიცხვაზე არდადგომა 2 წლის განმავლობაში („ბ“ ქვ.პ.); საქართველოს მოქალაქეობის შექმნა ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით („გ“ ქვ.პ.) ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება („დ“ ქვ.პ.). განსახილველ შემთხვევაში გ. მ-ს მოქალაქეობა შეუწყდა ორგანული კანონის 32.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სხვა სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრების და არასაპატიო მიზეზით ორი წლის განმავლობაში საკონსულო აღრიცხვაზე არდადგომის გამო. სააპელაციო პალატამ აღნიშნული საფუძველით მოქალაქეობის შეწყვეტა დაუსაბუთებლად მიიჩნია იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სადავო აქტების გამოცემისას მოსარჩელე პატიმრობაში იმყოფებოდა, ამასთანავე, არ დგინდებოდა რა პერიოდიდან უნდა მომხდარიყო საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის ორწლიანი ვადის ათვლა, ამასთან, ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს მოქალაქეობის შეწყვეტის კონკრეტულ საფუძველს. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დეპარტამენტის დასკვნა საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე იყო მიღებული, რაც სააპელაციო პალატის აზრით სადავო საკითხის გადაწყვეტლად მისი ბათილად ცნობის საფუძველს ქმნიდა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასკ-ის 32.4 მუხლით მინი-

ჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ გამოუკვლე-
ვია საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე
რაიმე ფაქტობრივი გარემოება და სასამართლო წარმოების ფარ-
გლებში ვერ ხერხდება სადავო ფაქტობრივი გარემოებების დად-
გენა ან მისი დადგენა მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავ-
შირებული. განსახილველ შემთხვევაში მსგავსი წინაპირობების არ-
სებობა სააპელაციო პალატას სარწმუნოდ არ დაუსაბუთებია. სასკ-
ის მე-17 მუხლის დანაწესი სრულად არ ათავისუფლებს მოსარჩე-
ლეს სარჩელის საფუძვლიანობის მტკიცების ვალდებულებისაგან.
საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის მიერ უფ-
ლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოებიდან სათანადო მტკი-
ცებულებების გამოთხოვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებო-
და გ. მ-ის მიერ საქართველოს დაცოვების თარიღის, საკონსულო
აღრიცხვაზე დადგომის ფაქტისა და თარიღის შესახებ ინფორმა-
ციის მოძიება. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტი-
ლებიდან არ იკვეთება საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონ-
ე გარემოებების დადგენის რაიმე მცდელობა, საქმის გადაწყვე-
ტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების სასამართლოს მი-
ერ დადგენის შეუძლებლობა. ამდენად, სასკ-ის 32.4 მუხლის გამო-
ყენება არ არის დასაბუთებული.

სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების საფუძველს არ ქმნის აგრეთვე
კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფა-
სების საჭიროება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის გარე-
მოებათა სრულყოფილად გამოკვლევის შემთხვევაში, სააპელაციო
პალატა შეძლებდა დაედგინა ორი წლის განმავლობაში საკონსუ-
ლო აღრიცხვაზე არდადგომის მიზეზი, შეეფასებინა მისი საპატი-
ოობა. დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შე-
სახებ, რომ გ. მ-ს არ ჰქონდა შესაძლებლობა დამდგარიყო საკონ-
სულო აღრიცხვაზე საპატიო მიზეზის – პატიმრობაში ყოფნის გა-
მო. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე,
რომ დეპარტამენტის დასკვნა, კომისიის დადგენილება, საქართვე-
ლოს პრეზიდენტის ბრძანებულება გამოცემულია 2007 წელს, ხო-
ლო საქმეში დაცული მსჯავრდებულის სამედიცინო გამოკვლევის
შესახებ სპეციალური სამედიცინო კომისიის დასკვნის თანახმად,
გ. მ-ი პატიმრობაში იმყოფება 2014 წლის 14 მარტიდან (პატიმრო-
ბის ვადა ამოიწურა 13.03.2019წ.). ამდენად, საქმის მასალებით სა-
დავო აქტების გამოცემის პერიოდში არ დასტურდება მოსარჩე-
ლის პატიმრობაში ყოფნა, შესაბამისად არ იკვეთება საკონსულო
აღრიცხვაზე დადგომის შეუძლებლობის საპატიო მიზეზი. სასკ-ის
102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნ-

და დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სასკ-ის 17.1 მუხლის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, მოპასუხე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი შესაგებელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. არც პირველ და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელის მიერ არ წარდგენილა საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის შესაძლებლობის გამომრიცხავი საპატიო მიზეზის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მხოლოდ მოსარჩელის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება ვერ იქნება სარწმუნო და საკმარის მტკიცებულებად მიჩნეული, რადგან მხარის ახსნა-განმარტება თუ მას არ ეთანხმება მონინალმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. ამასთანავე, კონკრეტულ პერიოდში პატიმრობის ფაქტის დადასტურებისათვის ახსნა-განმარტება არასათანადო მტკიცებულებად მიიჩნევა, რადგან აღნიშნული გარემოება, მხოლოდ უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაციით შეიძლება დადასტურდეს. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ახსნა-განმარტების გარდა, სადავო აქტების კანონმდებლობის მოთხოვნის დარღვევით გამოცემის დამადასტურებელ სხვა მტკიცებულებებზე სააპელაციო სასამართლოს არ მიუთითებია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სადავო აქტების გამოცემამდე მოსარჩელის პატიმრობაში ყოფნის ფაქტის დადასტურების შემთხვევაშიც კი, არ დგინდება საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის შეუძლებლობის საპატიო მიზეზის არსებობა, რადგან სადავო პერიოდში რუსეთის ფედერაციაში მოქმედ კოდექსში, რომელიც პატიმართა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ დებულებებს შეიცავდა (რფ სასჯელალსრულების კოდექსი), აღნიშნული იყო, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე მსჯავრდებული სარგებლობდა საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული უფლებებით (10.3 მუხ.), მასვე ეძლეოდა შესაძლებლობა მუდმივი კავშირი ჰქონოდა თავისი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან (12.9 მუხ.), ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით (12.8 მუხ.), ახსნა-განმარტებები მიეცა და მიმონერა ეწარმოებინა მათ შორის მშობ-

ლიურ ენაზე (12.5 მუხ.). ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ პატიმრობა გამორიცხავდა საკონსულო აღრიცხვაზე დადგომის შესაძლებლობას, მოკლებულია სათანადო ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას. საკონსულოში ფიზიკურად გამოცხადების ობიექტური შეუძლებლობის შემთხვევაში გ. მ-ს შეეძლო ფოსტის ან წარმომადგენლის მეშვეობით დაკავშირებოდა უფლებამოსილ ორგანოს. მოქალაქეობის უფლება მოიცავს პირის უფლებას მოქალაქეობის შენარჩუნებაზე, თუმცა პირმა კონკრეტული ქმედებებით თავად უნდა მოახდინოს ამ უფლების რეალიზაცია, არაორაზროვნად უნდა გამოხატოს ნება მოქალაქეობის შენარჩუნებაზე ან/და დაადასტუროს მოქალაქეობის შენარჩუნების მიზნით შესასრულებელი მოქმედებების განხორციელების შეუძლებლობა, რაც განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება.

სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების საჭიროებას არ ასაბუთებს აგრეთვე ის გარემოება, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ამჟამად მოქმედი ორგანული კანონი აღარ ითვალისწინებს მოქალაქეობის დაკარგვის ერთ-ერთ საფუძვლად სხვა სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრებასა და ორი წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით საკონსულო აღრიცხვის გაუფლეთობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სზაკ-ის მე-5 მუხლით განმტკიცებული კანონიერების პრინციპი, რომელიც საჯარო მმართველობის კანონის შესაბამისად და მის ფარგლებში განხორციელებას მოიაზრებს, გულისხმობს, რომ ადმინისტრაციული საქმიანობა, რომლის ერთ-ერთი ფორმა აქტის გამოცემაა, უნდა შეესაბამებოდეს საქმიანობის განხორციელების მომენტში მოქმედ კანონმდებლობას. აქტების მართლზომიერების შეფასება ხდება მათი გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობით. ნორმატიულ აქტს უკუძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის დადგენილი ამ ნორმატიული აქტით („ნორმატიული აქტების შესახებ“ ორგანული კანონის 24.1 მუხ.). აღნიშნული წესიდან გამონაკლისს შეადგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც გასაჩივრებულია სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებული აქტები, რა დროსაც ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილების შედეგად ხდება პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის გაუქმება ან პასუხისმგებლობის ზომის შემსუბუქება. განსახილველ დავაში არც ერთი ზემოაღნიშნული შემთხვევა არ არის სახეზე, კერძოდ: „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30.04.2014წ. ორგანული კანონი არ ითვალისწინებს კანონის ნორმების წარსულში დასრულებულ ურთიერთობებზე გავრცელების შესაძლებლობას, ხოლო მეორე მხრივ, დავა არ ეხება სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კონკრეტული საფუძვლით

მოქალაქეობის დაკარგვა არ უნდა იქნეს ალქმული, როგორც სამართალდარღვევაზე – საკონსულო აღრიცხვის გაუფლევლობაზე პასუხისმგებლობის დაკისრება. მართალია, საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა მოქალაქის ნორმატიულ ვალდებულებას შეადგენდა, თუმცა ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ მიიჩნეოდა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. მოქალაქეობის დაკარგვა სხვა სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრებისა და საკონსულო აღრიცხვის გაუფლევლობის გამო იყო მოქალაქის ნაგულისხმევი ნების თანამდევნი შედეგი და არა უმოქმედობისათვის სანქციის დაკისრება. მართალია, კონკრეტული წინაპირობით მოქალაქეობის დაკარგვა ხდება ადმინისტრაციული ორგანოს აქტით, თუმცა სახელმწიფოს გადაწყვეტილება განპირობებულია მოქალაქის მოქმედების – სხვა სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრების და უმოქმედობის – საკონსულო აღრიცხვის გაუფლევლობის შედეგად. ფაქტობრივად ასეთ დროს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ აქტის გამოცემაზე სახელმწიფოს ნება გამომდინარეობს სახელმწიფოსთან აქტიური სამართლებრივი და ფაქტობრივი კავშირის განწყვეტის შესახებ მოქალაქის მაღალი ალბათობით სავარაუდო ნებიდან, რაც ასეთ დროს მოქალაქეობის შეწყვეტის სანქციად მიჩნევის შესაძლებლობას გამოიცხადებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოქალაქეობის დაკარგვა არ არის იურიდიული პასუხისმგებლობის ზომა, სანქციის დაკისრება ჩადენილი სამართალდარღვევისთვის, იგი იმიჯნება მოქალაქეობის ჩამორთმევისგან. მოქალაქის მხრიდან კანონმდებლობის უხეში დარღვევაც კი, მას არ ართმევს ძირითადი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უფლებების შეზღუდვა კანონმდებლობითვე გათვალისწინებული, მაგ.: პატიმრობისას თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა, არჩევნებში მონაწილეობის უფლების შეზღუდვა და სხვ.). კანონდარღვევისათვის მოქალაქე პასუხს აგებს ნორმატიულად დადგენილი წესით და მის ფარგლებში, თუმცა ეს გავლენას არ ახდენს მის მოქალაქეობრივ სტატუსზე. მოქალაქის მიერ, თუნდაც მძიმე დანაშაულის ჩადენა ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ, არ ათავისუფლებს სახელმწიფოს თავისი მოქალაქის ძირითადი უფლებების დაცვის ვალდებულებისაგან, არ ქმნის მოქალაქეობის ჩამორთმევის წინაპირობებს. ამავე დროს, სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა დაადგინოს მოქალაქეობის დაკარგვის გონივრული წინაპირობები, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, პირის ინტერესების სფერო, მისი ოჯახური, პიროვნული და საქმიანი კავშირები, კონკრეტულ სახელმწიფოსთან ფაქტობრივი, ეფექტიანი კავშირის ხარისხი, კონკრეტული სა-

ხელმწიფოს ინტერესებისადმი ერთგულება და სხვ.. მოქალაქეობის დაკარგვა არის არა სანქცია, არამედ პირის ისეთი ქმედებების შედეგი, რომელთანაც შეუთავსებელია შემდგომში საქართველოს მოქალაქეობის არსებობა. ამდენად, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30.04.2014წ. ორგანულ კანონში მოქალაქეობის შეწყვეტის კონკრეტული საფუძვლის გაუთვალისწინებლობა, არ გულისხმობს წარსულში სამართალდარღვევის ჩადენისათვის გათვალისწინებული სანქციის შემსუბუქებას/გაუქმებას, სახეზეა მხოლოდ საკითხის ახლებური მონესრიგება. ამასთანავე, სააპელაციო პალატას არ დაუსაბუთებია ახალი მონესრიგების წარსულში დასრულებულ სამართალურიერთობაზე გამოყენების შესაძლებლობა. საქართველოს მოქალაქეობა არამართლზომიერად შეწყვეტილად მიიჩნევა, თუ პირი საქართველოს მოქალაქეობას დაკარგავს კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის გარეშე. სადავო აქტის გამოცემის მომენტში მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად ითვალისწინებდა მოქალაქეობის დაკარგვას სხვა სახელმწიფოში რეზიდენტი ცხოვრების და არასაპატიო მიზეზით საკონსულო აღრიცხვაზე ორი წლის განმავლობაში არდადგომის შედეგად. საქმის მასალებით არ დასტურდება საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა, ის გარეშეა, რომ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის ასეთ საფუძველს არ იცნობს, შესაძლოა გახდეს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის წესით მიანიჭების („საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30.04.2014წ. ორგანული კანონის მე-18 მუხ. „ა“ ქვ.პ., საქართველოს პრეზიდენტის 10.06.2014წ. №237 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების“ IX თავი) და არა მოქალაქეობის არამართლზომიერად შეწყვეტის გაუქმების საკითხის დასმის საფუძველი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით, კონკრეტულ სფეროში არსებული სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით. სახელმწიფო პოლიტიკა არის სახელმწიფო მიზნების, ამოცანების, პრიორიტეტების, ძირითადი პრინციპების, სტრატეგიული პროგრამებისა და გეგმების ერთობლიობა, რომელიც მუშავდება და რეალიზდება სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. სახელმწიფო პოლიტიკა არის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის წარმმართველი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. მოქალაქეობა არის პირის უფლება მოახდინოს თვითიდენტიფიცირება და აღიჭურვოს რიგი უფლებებით კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ, თუმცა მოქალაქეობა არ არის ვალდებულებებისაგან დაცლილი ინსტიტუტი. საკა-

საციო პალატა აღნიშნავს, რომ ყოველი სახელმწიფო თავად განსაზღვრავს მოქალაქეობის შექმნის, შენარჩუნებისა და დაკარგვის გონივრულ, ნორმატიულ პირობებს. მოქალაქეობა არის სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის ორმხრივი კავშირი, შესაბამისად, მოქალაქეობის სფეროში არსებული სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო თავად განსაზღვრავს პირის მიერ მოქალაქეობის შესანარჩუნებლად ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის არსებული კავშირის სიმძლავრისა და ეფექტიანობის ხარისხს. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ძლიერი ფაქტობრივი კავშირების შენარჩუნების მიზანი ნაკლებ რელევანტურია, ვიდრე სადავო აქტების გამოცემის დროს, რაც განპირობებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 02.04.2014წ. „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ 30.08.1961წ. კონვენციის რატიფიცირებით და კონვენციის დებულებების შესაბამისად მოქალაქეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 25.03.1993წ. ორგანული კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30.04.2014წ. ორგანული კანონით, ახალი კანონით განსხვავებულია მონესრიგა რიგი საკითხები, მათ შორის მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლებიდან ამოირიცხა საზღვარგარეთ მუდმივად ცხოვრება და საკონსულო აღრიცხვის გაუვლელიობა. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30.04.2014წ. ორგანული კანონის პროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონპროექტის მიღება განაპირობა მოქალაქეობის საკითხების ახლებური რეგულირების საჭიროებამ, „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ გაეროს 1961 წ. კონვენციასთან საქართველოს მიერთებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამ, კანონპროექტის მიღების ერთ-ერთ მიზნად დასახელდა 1961წ. კონვენციის დებულებების კანონმდებლობაში ასახვის საჭიროება. ამდენად, დგინდება, რომ სადავო აქტების გამოცემიდან რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 2014 წელს მოქალაქეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა შეიცვალა, რის გამოც განხორციელდა გაეროს 1961წ. კონვენციის რატიფიცირება და ახლებულად ჩამოყალიბდა საკითხის მომნესრიგებელი რიგი ნორმები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მოდიფიცირება, განვითარების განსხვავებული მიმართულებების არჩევა, საკითხის ახლებურად მონესრიგება იმთავითვე არ ადატურებს ცვლილებების განხორციელებამდე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უკანონობას. ამასთანავე, „მოქალაქეთა არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ კონვენციის რატიფიცი-

რების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 02.04.2014წ. №2176-III დადგენილების მე-2 მუხლის საგამონაკლისო შემთხვევასთან დაკავშირებული დათქმის მიხედვით, კონვენციის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად საქართველომ დაიტოვა უფლება მოქალაქეობა ჩამოართვას პირს, რაც გამოიხატება მოქალაქეობის დაკარგვით, როგორც ეს გათვალისწინებულია რატიფიცირების მომენტში მოქმედი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანული კანონით. ამდენად, სააპელაციო პალატას არ დაუსაბუთებია სადავო აქტების გამოცემიდან წლების შემდგომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ 30.04.2014წ. ორგანული კანონით მოქალაქეობის დაკარგვის განსხვავებული საფუძვლების დადგენის შედეგად სადავო აქტების უკანონოდ ქცევის, სასკ-ის 32.4 მუხლის გამოყენების საფუძვლების არსებობა. ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის გარემოება, რომ „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ 30.08.1961წ. კონვენციის მიხედვით, მოქალაქეობის დაკარგვა მიზანშეუწონლად მიიჩნევა, უკეთეს პირი რჩება მოქალაქეობის გარეშე. სააპელაციო პალატას არ გამოუკვლევია გ. მ-ის მოქალაქეობის საკითხი, არ დადგინდა, რომ გ. მ-ი მოქალაქეობის არმქონე სუბიექტია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოქალაქეობის არმქონე პირი არის პირი, რომელსაც არც ერთი ქვეყანა არ აღიარებს თავის მოქალაქედ, მოქალაქეობის არქონას აქვს რეალური ნეგატიური გავლენა ადამიანების ცხოვრებაზე, მათ ოჯახებსა და საქმიანობაზე. მოქალაქეობა აძლევს პირს არა მხოლოდ იდენტიფიკაციისა და კუთვნილების შეგრძნებას, არამედ, უზრუნველყოფს მას სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი დაცვით და ადამიანის ისეთი უფლებების რეალიზაციით, როგორებიცაა: განათლება, ჯანდაცვა, კანონიერად დასაქმება, საკუთრება, პოლიტიკური აქტივობა და სხვ.. ამდენად, მოქალაქეობის დაკარგვა განპირობებული უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნით და აკმაყოფილებდეს პროპორციულობის პრინციპს. მართალია, გამორიცხული არ არის მოქალაქეობის შეწყვეტის შედეგად პირის მოქალაქეობის არმქონე სუბიექტად ქცევის ზოგადი შესაძლებლობა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული განხორციელდეს კანონის საფუძველზე, კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, ამასთან, უნდა დასაბუთდეს აღნიშნული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის საჭიროება, დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა ადამიანის უფლებების მომეტებული და გაუმართლებელი შეზღუდვის ხარჯზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შეფასდეს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების ფაქ-

ტობრივი გავლენა მოქალაქეობაშენწყვეტილ პირზე, მის უფლებებზე, ყოველდღიურ საქმიანობასა და ცხოვრებაზე. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს არა ზოგადი, აბსტრაქტულად შესაძლებელი ნეგატიული შედეგები, არამედ მოქალაქეობის დაკარგვის შემდგომ წლებში გ. მ-ის უფლებათა შეზღუდვის კონკრეტული ფაქტები, საქართველოს მოქალაქეობის არქონის გამო დამდგარი ნეგატიური შედეგები. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია განამტკიცებს ადამიანის უფლებას ჰქონდეს მოქალაქეობა (15.1 მუხ.), თუმცა არ ხდება მითითება განსაზღვრული ქვეყნის (მაგ. წარმოშობის ან მუდმივი საცხოვრებლის მიხედვით) მოქალაქეობაზე, რის გამოც პირს შესაძლებლობა აქვს შეინარჩუნოს დაბადებით მოპოვებული მოქალაქეობა, ხოლო მეორე მხრივ არ არის შეზღუდული გახდეს სხვა ქვეყნის ნატურალიზებული მოქალაქე. განსახილველ შემთხვევაში დგინდება გ. მ-ის რუსეთის ფედერაციაში მუდმივად ყოფნის ფაქტი. „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ“ ფედერალური კანონის, როგორც სადავო პერიოდში, ისე ამჟამად მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს მოქალაქეობის მიღებას ზოგადი (მე-13 მუხ.) ან გამარტივებული წესის (მე-14 მუხ.) მიხედვით. გამარტივებული წესით მოქალაქეობის მიღების ერთ-ერთ შემთხვევად სახელდება იმ პირის მიერ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღება, რომელიც იყო საბჭოთა მოქალაქე, ცხოვრობდა ან ცხოვრობს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში. ამდენად, გ. მ-ის მიმართ მოქმედი არსებული გამარტივებული წესის გათვალისწინებით, შესაძლოა მას მიღებული ჰქონდეს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა ან დაწყებული იყოს შესაბამისი პროცედურები. „მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების შესახებ“ 1961წ. კონვენცია შესაძლებლად მიიჩნევა მოქალაქეობის დაკარგვას არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც პირი სხვა ქვეყნის მოქალაქეა, არამედ მაშინაც, როდესაც პირს აქვს მტკიცებულება, რომ მოიპოვეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას (7.2 მუხ.). აღნიშნულ საკითხებზე სააპელაციო პალატას არ უმსჯელია, შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები არ გამოკვლეულა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მონშობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის 3.4 მუხლის მიხედვით, საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე ვალდებული იყო გაეწყო რეგისტრაცია საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში და მიეღო პირა-

დობის მონაწილეობა. საკონსულტაციო აღრიცხვას ექვემდებარებოდნენ არა მხოლოდ სხვა სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეები, არამედ ერთ თვეზე მეტი ვადით საზღვარგარეთ მყოფი, მათ შორის სასწავლებლად, სამუშაოდ ან სამსახურებრივი მივლინებით მყოფი საქართველოს მოქალაქეები (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 02.05.2007წ. №70 ბრძანებით დამტკიცებული „საკონსულტაციო აღრიცხვაზე დაყენების წესის“ მე-4 მუხ. „ა“, „ბ“ ქვ.პ.). საკონსულტაციო დაწესებულებები უზრუნველყოფდნენ საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებებისა და ინსტრუქციების დაცვას და სწორედ ამ მიზნით ახდენდნენ სხვა სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრებ ან დროებით მყოფ მოქალაქეთა აღრიცხვას, საქართველოს გარეთ მყოფ მოქალაქეთა მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას („საქართველოს საკონსულტაციო დაწესებულებების შესახებ“ 27.06.1997წ. კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 1-ლი, 25-ე, 42-ე მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამართალურთიერთობებში მოქმედი კანონის ცოდნის პრეზუმფცია გულისხმობს, რომ პირი იცნობს მოქმედ კანონმდებლობას. კანონის არცოდნა არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის საფუძველი (სკ-ის 3.2 მუხ.). აღნიშნული დებულება ზოგადი ხასიათისაა და მას რაიმე მხოლოდ სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფუნქცია არ გააჩნია, რის გამოც მისი გამოყენება დაიშვება აგრეთვე საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც. სათანადო წესით გამოქვეყნებული, მოქმედი ნორმის გამოყენება არ არის ადრესატების მიერ მის ცოდნაზე დამოკიდებული. იგულისხმება, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პროცედურების დაცვით შემუშავებული, სახელმწიფო ენაზე არაბუნდოვნად შედგენილი, ოფიციალურად გამოქვეყნებული, გაცნობისათვის ხელმისაწვდომი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის ზოგადი წესის შესახებ ინფორმაცია მოქალაქეთათვის ცნობილია, აღნიშნული დამატებით მტკიცებას არ საჭიროებს. განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება ობიექტური გარემოებები (მაგ.: კანონის გამოუქვეყნებლობა, ნორმის ტექსტის არსებითი ბუნდოვანება და სხვ.), რასაც შეეძლო ხელი შეეშალა კანონის გაცნობაში, არ დასტურდება, რომ გ. მ-მა არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა კანონის დანაწესი. არ იკვეთება საკითხის მომწესრიგებელი ნორმების ბუნდოვნება, სხვა სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრებისას საკონსულტაციო აღრიცხვის გაუვლელობის თანამდევი შედეგი – მოქალაქეობის შეწყვეტა ნორმის ადრესატისათვის სავსებით განჭვრეტადი იყო. ამდენად, გ. მ-თვის ცნობილი იყო საკონსულტაციო აღრიცხვაზე დადგომის საჭიროება და ასევე სრულად განჭვრეტადი იყო ამ ნორმატიული ვალდებულების შეუსრულებლობის თანამდევი შედეგი. მართალია, მო-

ქალაქეობა არის უფლება და არა ვალდებულება, თუმცა მოქალაქეობა წარმოშობს რიგ უფლება-მოვალეობებს. მოქალაქეობასთან მიმართებით კონკრეტული ნორმატიული წესრიგის შემოღებით, გარკვეულ შემთხვევებში მოქალაქეობის შეწყვეტის შესაძლებლობის დადგენით, სახელმწიფო არ აკნინებს მოქალაქეობის მნიშვნელობას, იმთავითვე არ არღვევს მოქალაქეთა კანონით დაცულ უფლებებს. სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა დაადგინოს მოქალაქეობის შეწყვეტის გონივრული საფუძვლები, მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა განხორციელდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით. განსახილველ შემთხვევაში არ დადგენილა მოქალაქეობის შეწყვეტა თვითნებურად, არაგონივრული საფუძვლით, მოსარჩელის უფლებებში არაპროპორციული ჩარევის შედეგად. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება მიღებულ იქნა 19.07.2007წ., ხოლო სარჩელი აღნიშნული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით 22.01.2018წ. აღიძრა, საქმის მასალებით არ დასტურდება ამ პერიოდის განმავლობაში გ. მ-ის მიერ რაიმე ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც მიუთითებდა საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნების შესახებ მის ნებაზე, არ იკვეთება 10 წლის მანძილზე გ. მ-ის მცდელობა მაინც, რომ სამართლებრივი ან/და ფაქტობრივი კავშირი შეენარჩუნებინა საქართველოს სახელმწიფოსთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო პალატას სარწმუნოდ უნდა დაესაბუთებინა მოქალაქეობის დაკარგვის შესახებ აქტის გამოცემის მომენტში ძალაში მყოფი ნორმის საფუძველზე გ. მ-თვის მოქალაქეობის შეწყვეტის თვითნებურობა, არაგონივრულობა ან არაპროპორციულობა და შესაბამისად, არამართლზომიერად მიჩნევა, რაც არ მომხდარა.

საქართველოს პრეზიდენტის სადავო ბრძანებულების გამოცემიდან 10 წლის შემდეგ წარმომადგენლის მეშვეობით დავის წამოწყება თავისთავად ქმნის ხანდაზმულობის ვადის დაცულობის საკითხის გარკვევის საჭიროებას. გ. მ-ის მიერ სარჩელი აღძრულია სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით, რომლის შეტანაც უნდა განხორციელებულიყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. საქართველოს პრეზიდენტი მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებებს იღებდა ბრძანებულების ფორმით, რომელიც არ იყო ნორმატიული აქტი („ნორმატიული აქტების შესახებ“ 29.10.1996წ. ორგანული კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 12.1 მუხ.). ამდენად, მისი ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის აღძვრა უნდა მომხდარიყო აქტის ოფიციალური გაცნო-

ბიდან ერთ თვეში. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის ოფიციალური გაცნობის მოთხოვნა გამომდინარეობს იქედან, რომ ის არის ადმინისტრაციული წარმოების ფინალი და მისი ნაყოფის – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობის ზუსტი დროის განსაზღვრა მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ საჩივრის და სარჩელის შეტანისათვის კანონით დადგენილი ვადების დასაცავად. სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე იწყება სარჩელის შეტანის ვადების ათვლა. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალური გაცნობის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს სზაკ-ის და სპეციალურ კანონმდებლობაში მოცემულ რეგულაციას. თუ კანონით სხვა რამ არ იყო დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ოფიციალურ გაცნობად მიიჩნეოდა მხარისათვის აქტის გადაცემა ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნა (სზაკ-ის 58.1 მუხ.). ამასთანავე, კანონმდებლობა ითვალისწინებდა შემთხვევებს, როდესაც აქტის ოფიციალურად გაცნობა შესაძლებელი იყო შეცვლილიყო აქტის გამოქვეყნებით (სზაკ-ის 55-ე მუხ.). სზაკ-ის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქცია ითვალისწინებდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებას კანონით დადგენილ შემთხვევებში ან/და ისეთ დროს, როდესაც აქტი ეხებოდა 50-ზე მეტ პირს (55-ე მუხ.). საქართველოს პრეზიდენტის 09.11.1998წ. №637 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვა-გადაწყვეტის წესის შესახებ“ დებულების სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 28-ე პუნქტი ადგენდა, რომ საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (ბრძანებულებები) ქვეყნდებოდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამასთანავე, სადავო საქართველოს პრეზიდენტის 19.07.07წ. №434 ბრძანებულება „საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ“ 50-ზე მეტ პირს ეხება. ამდენად, საქართველოს პრეზიდენტის სადავო ბრძანებულებასთან დაკავშირებით ორივე წინაპირობა სახეზეა, ერთი მხრივ ნორმატიულად გათვალისწინებული იყო მისი გამოქვეყნების საჭიროება, ხოლო მეორე მხრივ ბრძანებულება ეხებოდა 50-ზე მეტ პირს, ამდენად, მხარის მიერ აქტის ოფიციალურად გაცნობა შესაძლებელი იყო შეცვლილიყო აქტის გამოქვეყნებით (სზაკ-ის 55.2 მუხ.). სადავო ბრძანებულების ტექსტი გამოქვეყნებულია საინფორმაციო სისტემა „კოდექსში“, თუმცა დადგენას საჭიროებს ბრძანებულების ოფიციალურ გამოცემაში გამოქ-

ვეყნების საკითხი. სააპელაციო პალატას არ გამოუკვლევია საქართველოს პრეზიდენტის სადავო აქტის გამოქვეყნების საკითხი და აღნიშნულის გათვალისწინებით, არ უმსჯელია სარჩელის ხანდაზმულობის საკითხზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა სარჩელის დასაშვებობის წინაპირობებზე, არ შეაფასა სარჩელის ხანდაზმულობის საკითხი, სათანადოდ არ გამოიკვლია საქმის გარემოებები, არ მოახდინა მათი სწორი სამართლებრივი შეფასება, არასწორად გაანალიზა მტკიცებულების ტვირთი, არ მოახდინა საკითხის მომწესრიგებელი ნორმების სათანადოდ გამოყენება, რის გამოც არსებობს სსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის ხელახალი განხილვისათვის დაბრუნების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს იუსტიციის სადმინისტროსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.03.2019წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საკასაციო სასამართლომ განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სხვადასხვა ორბანოს აქტების კანონიერება

სასამართლო კონტროლი დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებაზე

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-797(კ-18)

7 მარტი, 2019წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: საგამოცდო ნაშრომის შეფასება, ქულის მომატების მოთხოვნა, დისკრეციული უფლებამოსილების სასამართლო კონტროლი

აღწერილობითი ნაწილი:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. მ-მა მონაწილეობა მიიღო 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდაში და მისი ნაშრომი პროფესიულ უნარებში სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შეფასდა 42 ქულით. ნაშრომის 21-ე დავალება შეფასდა 2 ქულით (მაქსიმალური ქულა 4).

ნ. მ-მა №21 დავალებაში მიღებული შეფასება (2 ქულა) გაასაჩივრა სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში. საპრეტენზიო განაცხადის განხილვის შედეგად 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების შედეგების გასაჩივრებასთან დაკავშირებით შექმნილი საგნობრივი ქვეკომისიის მიერ 22.08.2014წ. მიღებული გადაწყვეტილებით №21 დავალებების მიმართ ნ. მ-ის პრეტენზია არ დაკმაყოფილდა და მიუთითა, რომ გამსწორებლების მიერ სწორად იყო შეფასებული №21 ტესტური დავალება 2 ქულით. 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განმხილველი კომისიის 26.08.2014წ. №6 ოქმით (მე-14 პუნქტი) დამტკიცდა საგნობრივი ქვეკომისიის 22.08.2014წ. გადაწყვეტილება.

ნ. მ-მა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ნ. მ-ის ნაშრომის №21 დავალების პირველადი შეფასების, 2014 წლის მასწავლებელთა სასერ-

ტიფიკაციო გამოცდების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განმხილველი კომისიის 26.08.2014წ. №6 სხდომის ოქმის, ნ. მ-ის №21 დავალების ნაწილში საგნობრივი ქვეკომისიის 22.08.2014წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის, შეფასების სქემის საფუძველზე, ნ. მ-ის №21 დავალების შეფასების ერთი ქულის მომატების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.06.15წ. გადაწყვეტილებით ნ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ნ. მ-ის ნაშრომის №21 დავალების პირველადი შეფასება, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განმხილველი კომისიის 26.08.2014წ. №6 ოქმის მე-14 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც დამტკიცდა 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების შედეგების გასაჩივრებასთან დაკავშირებით შექმნილი საგნობრივი ქვეკომისიის 22.08.2014წ. გადაწყვეტილება ნ. მ-ის პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, მოპასუხეებს დაევაღათ №21 დავალებასთან დაკავშირებით ნ. მ-ის საპრეტენზიო განცხადების ხელახალი განხილვა და აღნიშნულ საკითხზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. დანარჩენ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.02.2016 წ. განჩინებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 11.10.2016წ. №760 ბრძანებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.12.2014წ. (საქმე №3/3377-14) გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით შეიქმნა კომისია, რომლის 31.10.2016წ. გადაწყვეტილებით ნ. მ-ის მიერ შესრულებულ 21-ე დავალებაზე წარდგენილი პასუხის შეფასება (2 ქულა) უცვლელად იქნა დატოვებული. 31.10.2016წ. სხდომაზე კომისიის წევრებმა განიხილეს 2014 წლის უნარების ტესტის №21 დავალება და მასზე ნ. მ-ის მიერ გაცემული პასუხი. კომისია ერთხმად შეთანხმდა, რომ მართალია სადავო პასუხში მოყვანილია მეთოდის გამოყენების კონკრეტული მაგალითი, თუმცა მოთხოვნილი, მინიმუმ 2 განსავითარებელი უნარის ნაცვლად დასახელებულია მხოლოდ ერთი უნა-

რი და პასუხი არ არის დასაბუთებული. კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მიღებული გადაწყვეტილება ემყარება როგორც ზოგად ჰოლისტურ ხედვას, ასევე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 22.07.2014წ. №173/14 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასების სქემას, რომლის თანახმად დავალება ფასდებოდა 2 ქულით იმ შემთხვევაში, თუ პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა, მსჯელობა არის არასრული, აკლია დავალების პირობის რომელიმე კომპონენტი, ან ზოგადად პასუხი ყველა მითითებაზე სწორია, მაგრამ სქემატურია. კომისიამ მიიჩნია, რომ ნ. მ-ის მიერ შესრულებული დავალება პასუხობდა დავალების მხოლოდ პირველ კომპონენტს. აპლიკანტს არ ჰქონდა წარმოდგენილი ვენის დიაგრამის მიერ განსავითარებელი მინიმუმ 2 უნარი და პასუხში არ იკვეთებოდა არავითარი დასაბუთების მცდელობა. კომისიამ მიიჩნია, რომ ნ. მ-ის პასუხი არ შეესაბამებოდა 3 ქულით შეფასების კრიტერიუმებს, კერძოდ, 3 ქულით ფასდება ნაშრომი იმ შემთხვევაში, თუ პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, მთლიანობაში მსჯელობა სწორია, თუმცა არასრული – რომელიმე ერთ მათგანზე პასუხი შედარებით სქემატურია. კომისიამ ერთხმად მიიჩნია, რომ ნ. მ-ის პასუხი არ არის დასაბუთებული, მასში არ არის ასახული მსჯელობა იმასთან დაკავშირებით თუ რატომ უწყობს ვენის დიაგრამა ხელს ამა თუ იმ უნარის განვითარებას, მოყვანილი უნდა ყოფილიყო ვენის დიაგრამის გამოყენების მაგალითი, განსავითარებელი უნარები და შესაბამისი დასაბუთება. კომისიამ მიიჩნია, რომ ნ. მ-ის მიერ ფაქტობრივად პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთ კითხვაზე, რაც არ ქმნიდა პასუხის 3 ქულით შეფასების საფუძველს.

ნ. მ-მა 13.01.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა ნ. მ-ის ნაწილში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 11.10.2016წ. №760 ბრძანებით შექმნილი კომისიის 31.10.2016წ. №1 სხდომის ოქმის ბათილად ცნობა და ნ. მ-ისათვის №21 დავალებაში 1 ქულის მომატების თაობაზე სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.06.2015წ. გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასაბუთებული არ იყო ნ. მ-ის მიერ შესრულებული

ბული დავალების 3 ქულით შეფასების დაუშვებლობა. აღნიშნული განმარტების მიუხედავად კომისიის გადანყვეტილებაში მითითებულია, რომ ნ. მ-ის მიერ №21 დავალებაზე გაცემულ პასუხში არ იკვეთება საკითხის გააზრებული ცოდნა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აღნიშნული მოსაზრება, მოსარჩელის აზრით, ადასტურებს, რომ მოპასუხე შემოიფარგლა სასამართლოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გაცნობით და უგულებელყო გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული განმარტებები. ამდენად, სახეზეა სზაკ-ის 60'1 მუხლის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 11.10.2016წ. №760 ბრძანებით შექმნილი კომისიის 31.10.2016წ. №1 სხდომის ოქმის ბათილად ცნობისა და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალების საფუძველი ნ. მ-ისათვის №21 დავალებაში 1 ქულის მომატების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.10.17წ. გადანყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნ. მ-ის ნაწილში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 11.10.2016წ. №760 ბრძანებით შექმნილი კომისიის 31.10.16წ. №1 სხდომის ოქმი და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს დაევალა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ნ. მ-ისათვის №21 დავალებაში 1 ქულის მომატების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემის საფუძველი იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.12.2014წ. (საქმე №3/3377-14) კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილება, რომლითაც მოპასუხეებს დაევალათ ნ. მ-ის საპრეტენზიო განცხადების ხელახალი შეფასება №21 დავალებასთან დაკავშირებით და აღნიშნულ საკითხზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. აღნიშნული გადანყვეტილების აღსრულების მიზნით გადანყვეტილების მიღება სასამართლოს გადანყვეტილების შესაბამისად უნდა მომხდარიყო. სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.12.2014წ. (საქმე №3/3377-14) გადანყვეტილების აღსრულების მიზნით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით არ მომხდარა კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების სათანადო აღსრულება, რადგან კანონიერ ძალაში მყოფი გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ მიუთითა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სწავ-

ლის ეფექტური სტრატეგიების სატრენინგო მასალაში მოცემული ვენის დიაგრამის განმარტების ანალიზის საფუძველზე, მოსარჩელის მიერ სადავო კითხვაზე (დავალეზა №21) შემოთავაზებულ პასუხში უდავოდ ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, ნ. მ-ი არა მხოლოდ აღწერს რა დანიშნულებით გამოიყენება ვენის დიაგრამა, როგორ ხდება მისი შევსება, არამედ უთითებს კონკრეტულ მაგალითსაც ტარიელისა და ავთანდილის შედარებითი დახასიათების სახით. ამასთან, მხოლოდ ერთი – ანალიზის უნარის მითითება და დასაბუთების არ არსებობა არ ქმნიდა პასუხის 3 ქულით შეფასების დაუშვებლობის საფუძველს. სასამართლოს გადაწყვეტილებით მითითა სადავო კითხვაზე შემოთავაზებულ პასუხში საკითხის გააზრებულ ცოდნაზე, ხოლო სახელმწიფოს სახელით დადგენილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა გულისხმობს მის უპირობო და სავალდებულო შესრულებას, რაც მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს ვალდებულს ხდიდა 2014 წლის უნარების ტესტის №21 დავალეზაზე წარდგენილი პასუხი შეეფასებინა 3 ქულით, რამდენადაც, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 22.07.2014წ. №173/14 ბრძანებით (დანართი №17) დამტკიცებული შეფასების სქემის თანახმად, პასუხი, რომელშიც ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა ფასდება 3 ქულით.

სასამართლომ მითითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.04.2014წ. №ბს-476-464(კ-13) გადაწყვეტილებაზე, სასკ-ის 22.2, 23-ე, 32.1, 33-ე, სზაკ-ის 60'1 მუხლების დანაწესებზე და აღნიშნა, რომ გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება არ შეესაბამება მისი გამოცემის სამართლებრივ საფუძველებს და წინააღმდეგობაში მოდის მოცემული ურთიერთობის მარგუალირებელ სამართლებრივ ნორმებთან, რაც სასამართლოს აზრით სარჩელის სრულად დაკმაყოფილების საფუძველს ქმნიდა. სასკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე მოპასუხე მხარეს დაეკისრა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 100 ლარის ოდენობით.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.05.2018წ. განჩინებით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები და გაიზიარა სამართლებრივი შეფასება. სააპელაციო პალატამ აღ-

ნიშნა, რომ სადავო აქტი მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს №3/3377-14 საქმეზე გამოტანილი 24.12.14წ. გადაწყვეტილების აღსასრულებლად. სააპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ დავის სპეციფიკა და თავისებურება არ გამოირიცხავს სასამართლოს შესაძლებლობას არსებითად იმსჯელოს საკითხზე და დააკმაყოფილოს სარჩელი. სასამართლოს მიერ იმავე შინაარსის გადაწყვეტილების მიღება არღვევს ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპს და არ არის დავის არსებით გადაწყვეტაზე ორიენტირებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ მსგავსი კატეგორიის დავების განხილვის პროცესში აღიარებს ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ განხორციელებული კონტროლის მოცულობას და გარკვეული ფარგლებით შეზღუდვას. აღნიშნული ფარგლების დადგენის მიზნით სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ შეფასებებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა არ არის სრულ კონტროლს მოკლებული, შეფასების თავისუფლებას აქვს ფარგლები და სასამართლოს კონტროლი ამ პირობებში უნდა იყოს სათანადო და თანაზომიერი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შეფასების კრიტერიუმები საკმაოდ მკაფიოდ, ნათლად და ცალსახად იყო განერილი სსიპ შეფასებისა და ამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 22.07.2014წ. №173/14 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასების სქემაში, რაც შესაძლებელს ხდიდა სასამართლო კონტროლის განხორციელებას და კითხვაზე გაცემული პასუხის დანესებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის საკითხის შემოწმებას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ადმინისტრაციული ორგანოების მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ნ. მ-ის პასუხიდან იკვეთება საკითხის ნაწილობრივი ცოდნა, რადგანაც პასუხი შეიცავს მითითებას უნარზე, რომლის განვითარებაც უწყობს ხელს დიპლომის სასწავლო პროცესში ჩართვა, წარმოდგენილია კონკრეტული მაგალითი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტული მაგალითის საფუძველზე საკითხის წარმოჩენა, როდესაც თავად მოხმობილი მაგალითის სისწორე სადავო არ არის, ადასტურებს საკითხის გააზრებულ ცოდნას, რაც სწორად იქნა შეფასებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და გამორიცხავს გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, რომელიც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების გზით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას ითხოვს. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო არ უნ-

და გამოყენებინა კანონი, რომელიც გამოიყენა (სასკ-ის მე-9, 32-ე მუხ.). სააპელაციო სასამართლომ არასწორად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, უსაფუძვლოა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული აქტი არ შეესაბამება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოთხოვნებს. მითითებული გადაწყვეტილებით ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა ნ. მ-ის საპრეტენზიო განცხადების ხელახალი შეფასება და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, გადაწყვეტილება არ შეიცავდა მითითებას ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ნ. მ-ისთვის ქულის მომატების თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249.5 მუხლი განსაზღვრავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილებაზე, გასაჩივრების ვადასა და წესზე. საკასაციო სასამართლოს 21.10.2016წ. №ას-513-490-2016 გადაწყვეტილების 1.4 პუნქტში აღნიშნულია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით სამართლებრივი წესრიგის დადგენა შესაძლებელია რა მხოლოდ გადაწყვეტილების აღსრულებით, აღსასრულებლად წარემართება მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი და არა სამოტივაციო ნაწილი, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლებას ან ვალდებულების არსებობას.

კასატორმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 11.10.2016წ. №760 ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელმაც იხელმძღვანელა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 22.07.2014წ. №173/14 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სქემის მიხედვით და გადაწყვეტილება მიიღო აღნიშნული ბრძანების შესაბამისად. კომისიამ 21.10.2016წ. გამართულ სხდომაზე იმსჯელა ნ. მ-ის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.06.2015წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის თანახმად, ნ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ნ. მ-ის ნაშრომის პირველადი შეფასება №21 დავალების ნაწილში, ასევე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განმხილველი კომისიის 26.08.2014წ. №6 სხდომის ოქმი იმ ნაწილში, რომლითაც დამტკიცდა 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების შედეგების გასაჩივრებასთან დაკავშირებით შექმნილი საგ-

ნობრივი ქვეკომისიის 22.08.2014წ. გადანყვეტილება ნ. მ-ის პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, მოპასუხეებს დაევალოთ ნ. მ-ის საპრეტენზიო განცხადების ხელახალი შეფასება №21 დავალებასთან დაკავშირებით და აღნიშნულ საკითხზე ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალოთ დაედგინათ ნ. მ-ის მიერ შესრულებული დავალება შეესაბამებოდა თუ არა ლიადაბოლოებიანი დავალების 3 ქულით შეფასების კრიტერიუმებს. კომისიის წევრებმა განიხილეს №21 დავალების პასუხი, რა დროსაც იხელმძღვანელეს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 22.07.2014წ. ბრძანებით №173/14 დამტკიცებული შეფასების სქემის (დანართი №17-ის) შესაბამისად. №21 დავალების პირობა მდგომარეობდა შემდეგში: სწავლის ეფექტიანობის ასამაღლებლად მასწავლებლები ხშირად იყენებენ სხვადასხვა ტიპის კოგნიტურ სქემებს. ერთ-ერთი ასეთი სქემაა ვენის დიაგრამა, რომლის გამოყენებაც მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს. – მოიყვანეთ სწავლების პროცესში ვენის დიაგრამის ეფექტიანი გამოყენების კონკრეტული მაგალითი; – დაასახელეთ, მოსწავლის რომელი უნარების განვითარებას უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება სასწავლო პროცესში. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი. კასატორი აღნიშნავს, რომ დავალების პირობის მიხედვით, აპლიკანტი ვალდებული იყო მოეყვანა სწავლების პროცესში ვენის დიაგრამის ეფექტიანი გამოყენების კონკრეტული მაგალითი; დაესახელებინა მოსწავლის რომელი უნარების განვითარებას უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება სასწავლო პროცესში; დაესაბუთებინა პასუხი. აპლიკანტის პასუხში წარმოდგენილი იყო შემდეგი მსჯელობა: „ვენის დიაგრამა შეიძლება გამოვიყენოთ პერსონაჟთა შედარებითი დახასიათების დროს. დიაგრამის მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროში ჩაინერება განსხვავებული თვისებები, ხოლო შუაში ჩაინერება მსგავსი თვისებები. მაგ.: ტარიელისა და ავთანდილის შედარებითი დახასიათების დროს განსხვავებული თვისებები: გარეგნობა, საქმიანობა, ჩაინერება მარცხნივ და მარჯვნივ, ხოლო ის რაინდული თვისებები, რომელიც ორივე პერსონაჟს ახასიათებდა ჩაინერება შუაში. ვენის დიაგრამის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს ანალიზის უნარის განვითარებას“. კომისიამ ერთხმად მიიჩნია, რომ ნ. მ-ის სადავო პასუხში, მართალია, მოყვანილია მეთოდის გამოყენების კონკრეტული მაგალითი, თუმცა მოთხოვნილი, მინიმუმ 2 განსავითარებელი უნარის ნაცვლად დასახელებულია მხოლოდ ერთი და ამავდროულად, პასუხი არ არის

დასაბუთებელი. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ღია ტიპის დავალება 4-ქულიანია, სანახევროდ შესრულებული დავალებისათვის 2-ქულიანი შეფასება აბსოლუტურად ადეკვატურია. აღნიშნული გადაწყვეტილება არ ემყარება მხოლოდ ზოგად, ჰოლისტურ ხედვას. კომისიამ იხელმძღვანელა 22.07.2014წ. №173/14 დამტკიცებული შეფასების სქემით (დანართი №17-ით) განსაზღვრული კრიტერიუმებით, კერძოდ, 2 ქულით ფასდებოდა პასუხის შემდეგი ვარიანტი: „2 ქულა – პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა. მსჯელობა არის არასრული, აკლია დავალების პირობის რომელიმე კომპონენტი; ან ზოგადად პასუხი ყველა მითითებაზე სწორია, მაგრამ სქემატურია“. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი მსჯელობა პასუხობდა დავალების მხოლოდ პირველ კომპონენტს. ნ. მ-ს არ ჰქონდა წარმოდგენილი ვენის დიაგრამის მიერ განსავითარებელი მინიმუმ 2 უნარი და პასუხში არ იკვეთებოდა არავითარი დასაბუთების მცდელობა. შესაბამისად, ნ. მ-ის პრეტენზია, მომატებოდა არსებულ პასუხში 1 ქულა, უმართებულო იყო. 3-ქულიანი შეფასების კრიტერიუმის მიხედვით: „3 ქულა – პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. მთლიანობაში მსჯელობა სწორია, თუმცა არასრული – რომელიმე ერთ მითითებაზე პასუხი შედარებით სქემატურია“. ნ. მ-ის მიერ დავალებისთვის გაცემულ პასუხში არ იკვეთებოდა გააზრებული და სწორი მსჯელობა. პასუხში არ იყო დასაბუთებული (თუნდაც სქემატურად), რატომ უნყოფს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება ამა თუ იმ უნარის განვითარებას. შეკითხვის 3 კომპონენტიდან, ფაქტობრივად, პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთზე. ამდენად, საკითხის განხილვის შედეგად კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ნ. მ-ის მიერ შესრულებულ 21-ე დავალებაზე წარმოდგენილი პასუხი შეფასებულიყო კვლავ 2 ქულით. კასატორმა სასკ-ის 34.3 მუხლზე მითითებით მოითხოვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების საკასაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა.

საკასაციო სასამართლოს 15.11.2018წ, განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონში 05.07.2018წ. კანონით შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი გადაეცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს. შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩათვალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

უფლებამონაცვლედ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მი-
ნიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში (2.1 მუხ.). აღნიშნული-
დან გამომდინარე, საკასაციო პალატის 07.02.2019წ. განჩინებით
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფ-
ლებამონაცვლედ, სსკ-ის 92-ე მუხლის საფუძველზე, ცნობილ იქ-
ნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო.

საკასაციო სასამართლოს 07.02.2019წ. სხდომაზე კასატორის
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარ-
მომადგენელმა მ. მ-ემ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს, მოით-
ხოვა მისი დაკმაყოფილება და აღნიშნა, რომ განათლებისა და მეც-
ნიერების სამინისტროს და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვ-
ნული ცენტრის მიერ მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და-
კომპლექტდა კომისია, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილე-
ბით აღსრულდა სასამართლოს გადაწყვეტილება. გასაჩივრებული
აქტი დასაბუთებულია, არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძ-
ვლები. ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებით
სასამართლო შეიჭრა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ
უფლებამოსილებაში, რაც ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული კა-
ნონმდებლობის მოთხოვნებს.

თავდაპირველი მოპასუხის სსიპ შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა დ. ჭ-ემ და ი. ჟ-ამ მხარი
დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფი-
ლება. ი. ჟ-ამ აღნიშნა, რომ სადავო №21 დავალება იყო ღია ტიპის
დავალება და შედგებოდა რამდენიმე კითხვისაგან, კერძოდ, აპ-
ლიკანტს უნდა დაესახელებინა ვენის დიაგრამის გამოყენების მა-
გალითი, უნდა დაესახელებინა ერთზე მეტი უნარი, რომლის გან-
ვითარებასაც ხელს უწყობს ვენის დიაგრამა და უნდა დაესაბუთე-
ბინა პასუხი. ნ. მ-ის მიერ სრულყოფილად შესრულდა დავალება
მხოლოდ მაგალითის დასახელების ნაწილში, პასუხში არ არის გად-
მოცემული დასაბუთება და მას დასახელებული აქვს მხოლოდ ერ-
თი უნარი. პასუხიდან აგრეთვე არ ჩანს მასწავლებლის მსჯელობა,
რომლის არსებობის შემთხვევაში იგი დიდი ალბათობით მიიღებდა
უფრო მაღალ შეფასებას. საგამოცდო ნაშრომი ფასდება ორი და-
მოუკიდებელი გამსწორებლის მიერ, განათლების სამინისტროს მი-
ერ წინასწარ შემუშავებული შეფასების სქემის მიხედვით. იმ შემ-
თხვევაში, თუ გამსწორებლებს შორის არსებობს აზრთა სხვადას-
ხვაობა, შეფასების საკითხში ერთეობა მესამე გამსწორებელი. საპ-
რეტენზიო კომისია იქმნება მაღალკვალიფიციური სპეციალისტე-
ბისაგან, რომლებიც აფასებენ პირველადი შეფასების სისწორეს.
ამდენად, თითოეული ნაშრომი მინიმუმ ოთხჯერ სწორდება მაღალ-

კვალიფიციური სპეციალისტების მიერ წინასწარ დადგენილი ნების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას და სანდოობას. შეფასების სქემა და სატრენინგო მასალა წინასწარ ქვეყნდება და ცნობილია მასწავლებლებისათვის.

მონინალმდებელ მხარის ნ. მ-ის წარმომადგენელმა ლ. ა-მა არ სცნო საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, სააპელაციო სასამართლოს განჩინების უცვლელად დატოვება და აღნიშნა, რომ სადავო №21 დავალება შედგებოდა ორი ნაწილისაგან, რომლის პირველი ნაწილი ნ. მ-ის მიერ შესრულდა სრულყოფილად, მან დაასახელა მაგალითი, რისთვისაც ამ ნაწილში მას 2 ქულით შეფასება უნდა მიეღო, ხოლო უნარის დასახელებისა და არასრული დასაბუთებისთვის უნდა მიეღო – 1 ქულა. დავაზე მიღებული თავდაპირველი გადაწყვეტილების გამოტანისას პირველი ინსტანციის სასამართლომ მართალია მიიჩნია, რომ განსახილველი საკითხი წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, რის გამოც სასამართლო არ იყო უფლებამოსილი თავად მიეღო გადაწყვეტილება, თუმცა ამავე გადაწყვეტილებაში აღინიშნა სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არ იკვეთებოდა პასუხის 3 ქულით შეფასების დაუშვებლობა. აღნიშნული გარემოება არ იქნა გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რაც მართებულად შეფასდა ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ და მოპასუხეს დაევალა ნ. მ-ისათვის 1 ქულის მომატება. გასაჩივრებული აქტის გამოცემისას კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ არა მხოლოდ ფილოლოგები, არამედ სხვა პროფესიის წარმომადგენლებიც, მაგალითად, ფსიქოლოგები, რითიც დასტურდება, რომ სადავო საკითხის შეფასება არ არის მხოლოდ ფილოლოგების შეფასების საგანი და მისი შეფასება იურისტს, კერძოდ, სასამართლოსაც შეუძლია. კასატორის მითითება იმის თაობაზე, რომ აღსრულებას ექვემდებარება მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არასწორია, ვინაიდან სასკ-ის 32.4 მუხლის შესაბამისად დავის გადაწყვეტისას გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო უთითებს, თუ რა გარემოება არ გამოიკვლია ადმინისტრაციულმა ორგანომ და რომელი გარემოების გამოკვლევა საჭირო საკითხზე ხელახალი მსჯელობისას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ ნ. მ-მა მონაწილეობა მიიღო 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდაში და მისი ნაშრომი პროფესიულ უნარებში სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შეფასდა 42 ქულით (მინიმალური ზღვარი 43 ქულა). უნარებში ნ. მ-ის ნაშრომის 21-ე დავალება შეფასდა 2 ქულით (მაქსიმალური ქულა – 4). გამოცდის შედეგი გასაჩივრდა ნ. მ-ის მიერ (დავალებები №21, №22, №23, №40). 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების შედეგების გასაჩივრებასთან დაკავშირებით შექმნილი საგნობრივი ქვეკომისიის 22.08.14წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელის საპრეტენზიო განაცხადი არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ გამსწორების მიერ სწორად იქნა შეფასებული უნარების შედეგების გასაჩივრების თაობაზე წარდგენილ საპრეტენზიო განაცხადში მითითებული ტესტური დავალება. აღნიშნული გადაწყვეტილება დამტკიცდა 26.08.14წ. მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ფარგლებში წარმომოხილი პრეტენზიების განმხილველი კომისიის №6 სხდომის ოქმით. №21 დავალების შესრულების შეფასებასთან დაკავშირებით ნ. მ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში. კანონიერ ძალაში შესული თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.06.15წ. გადაწყვეტილებით, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტები, №21 დავალებასთან დაკავშირებით მოპასუხეებს საპრეტენზიო განაცხადის განხილვა დაევალებათ, დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

„თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.06.15წ. (საქმე №3/3507-14) გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 11.10.16წ. №760 ბრძანებით შეიქმნა კომისია. სასამართლო გადაწყვეტილების აღსასრულებლად შექმნილი კომისიის 31.10.16წ. გადაწყვეტილებით კომისიამ ერთხმად მიიჩნია, რომ ნ. მ-ის მიერ 21-ე დავალებაზე პასუხი 2 ქულით უნდა შეფასდეს.

№21 დავალება ფორმულირებული იყო შემდეგნაირად: „სწავლის ეფექტიანობის ასამაღლებლად მასწავლებლები ხშირად იყენებენ სხვადასხვა ტიპის კოგნიტურ სქემებს. ერთ-ერთი ასეთი სქემაა ვენის დიაგრამა, რომლის გამოყენებაც მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს. მოიყვანეთ სწავლის პროცესში ვენის დიაგრამის ეფექტიანი გამოყენების კონკრეტული მაგალითი. დაასახელეთ, მოსწავლის რომელი უნარების განვითარებას უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება სასწავლო პროცესში. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი“.

2014 წლის მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების მასწავლებელთათვის შეთავაზებულ ტესტში, სადავო №21 და-

ვალეზაზე ნ. მ-მა წერილობით შემდეგი პასუხი გასცა: „ვენის დიაგრამა შეიძლება გამოვიყენოთ პერსონაჟთა შედარებითი დახასიათების დროს. დიაგრამის მარცხენა და მარჯვენა ნახევარსფეროებში ჩაინერება განსხვავებული თვისებები, ხოლო შუაში ჩაინერება მსგავსი თვისებები. მაგ: ტარიელისა და ავთანდილის შედარებითი დახასიათების დროს განსხვავებული თვისებები: გარეგნობა, საქმიანობა, ჩაინერება მარცხნივ და მარჯვნივ, ხოლო ის რაინდული თვისებები, რომელიც ორივე პერსონაჟს ახასიათებს, ჩაინერება შუაში. ვენის დიაგრამის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს უწყობს ანალიზის უნარის განვითარებას“.

მოსარჩელე მოითხოვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 11.10.2016წ. №760 ბრძანებით შექმნილი კომისიის 31.10.2016წ. №1 სხდომის ოქმის ბათილად ცნობას და სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ოქმი წარმოადგენს სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (სუსგ 25.03.09წ. №ბს-1448-1406 (კს-08)). ამდენად, სასკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს ამ აქტის შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ კომისია და მის მიერ მიღებული სადავო აქტი გამოცემულია კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს 11.06.15წ. (საქმე №3/3507-14) გადაწყვეტილების აღსასრულებლად. ამდენად, უმართებულოა სააპელაციო პალატის მითითება იმის შესახებ, რომ სადავო აქტი მიღებულია საქალაქო სასამართლოს №313377-14 საქმეზე გამოტანილი 24.12.14წ. გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ №21 დავალება შეიცავდა მითითებას სასწავლო პროცესში სხვადასხვა ტიპის კოგნიტიური (შემეცნებითი) სქემების გამოყენების ეფექტიანობაზე, მითითებას იმაზე, რომ ერთ-ერთი ასეთი სქემაა ვენის დიაგრამა, რომლის გამოყენებაც მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს. დავალებას თან ახლდა ვენის დიაგრამის ნახაზი. №21 დავალების პირობა მოიცავდა შემდეგ ელემენტებს: აპლიკანტს უნდა მოეყვანა სწავლების პროცესში ვენის დიაგრამის ეფექტიანი გამოყენების კონკრეტული მაგალითი; დაესახელებინა მოსწავლის უნარები (ანუ ერთზე მეტი), რომელთა განვითარებასაც ხელს უწყობს ვენის დიაგრამის გამოყენება სასწავლო პროცესში; დაესაბუთებინა პასუხი. ამდენად, დავალება მიზნად ისახავს აპლიკანტის ცოდნის გამოვლენას სწავლების ამ ერთ-ერთი მნიშვნე-

ლოვანი მეთოდის, მისი პრაქტიკული გამოყენების შესახებ მოსწავლეების ეფექტიანი სწავლა-განვითარებისათვის, რადგან მოსწავლეების კოგნიტური, სოციალურ-პიროვნული განვითარებისათვის, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, სწავლისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტიანად გამოყენება მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტით არის მოთხოვნილი (მასწავლებლების პროფესიული სტანდარტის 13¹.1 მუხ.). №21 დავალების მოთხოვნიდან გამომდინარე, აპლიკანტს პასუხში უნდა გამოეყლინა ვენის დიაგრამის, როგორც სასწავლო მეთოდის, მნიშვნელობა მოსწავლეებთან მუშაობის დროს, ასევე პედაგოგიურ საქმიანობაში ვენის დიაგრამის გამოყენების შესაძლებლობების და მოსწავლეებზე მისი გავლენის შესახებ ცოდნა. ვენის დიაგრამის, როგორც სწავლების მნიშვნელოვანი ელემენტის შესახებ ინფორმაცია მოცემულია პედაგოგთა მოსამზადებელ მასალებში.

21-ე დავალების პირობა შეიცავს სიტუაციის/საკითხის აღწერას და შესაბამის შეკითხვებს. ამ ტიპის დავალებების შეფასება უკავშირდება სპეციფიკურ საგნობრივ, პროფესიული უნარების გამოვლენას და მათ შეფასებას, რაც პროფესიულ მომზადებას საჭიროებს, ვინაიდან ღია დავალების შეფასება ჰოლისტური (მთლიანობითი) ხასიათისაა, ის ნამუშევრის მთლიანობაში შეფასებას ეფუძნება. დავალების შეფასება ავლენს სწავლების მნიშვნელოვანი ასპექტის – სასწავლო პროცესში კოგნიტური (შემეცნებითი) სქემების გამოყენების ეფექტიანობის ცოდნას გამოსაცდელი პირობის მიერ. 21-ე დავალება კომპლექსური ხასიათისაა და მასზე პასუხი ტესტირებაში მონაწილისაგან მოითხოვს კომპლექსურ საგნობრივ ცოდნას, ხოლო მისი შეფასებისათვის აუცილებელია სპეციფიკური ექსპერტული კომპეტენცია, სწავლისა და განვითარების თავისებურებების ცოდნა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საგამოცდო კომისიის მიერ ნაშრომის შეფასება კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება, რომელშიც სასამართლოს კონტროლი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. სასამართლო ფლობს დავის გადაწყვეტის სრულ იურისდიქციას, თუმცა სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავდება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული სფეროს რეგულირების ხარისხი, სასამართლო კონტროლის სიმჭიდროვე, ინტენსივობა, შესაბამისად სასამართლოს კონტროლი ამ პირობებში უნდა იყოს სათანადო და თანაზომიერი, დასაცავი ობიექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე არ არის გამორიცხული დისკრეციის მიმართ გამკაცრებული ტესტის გამოყენება (სუსგ 13.02.2013წ. №ბს-448-443(კ-12)). გამოცდის შედეგთან დაკავშირებით პრეტენზიის

წარდგენის შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია შეაფასოს გადან-
ყვეტილების მიღების პროცედურული მხარე, კანონმდებლობით
განსაზღვრული დისკრეციული უფლებამოსილების საზღვრების
გამოყენების დაცულობა და მიზანთან მისი შესაბამისობის სისწო-
რე, შეფასების საყოველთაოდ მიღებული მასშტაბის, თანასწორო-
ბის პრინციპის დაცულობა (გამოსაცდელი პირების არათანაბარ
მდგომარეობაში ჩაყენება (მაგ. მოფიქრებისათვის ნაკლები დრო-
ის მიცემა, გამოცდის არასამუშაო გარემოში წარმართვა)), ფაქტე-
ბის სწორად დადგენის მოთხოვნის, გამოცდის პროცედურული წე-
სების დაცულობა. სასამართლო კონტროლი მოიცავს აგრეთვე ისეთ
საკითხებს, რომელიც უკავშირდება გამომცდელის მიერ გამოც-
დისათვის განსაზღვრული დანაწესის გაუთვალისწინებლობას,
არასწორი ფაქტობრივი გარემოებებით ხელმძღვანელობას (მაგ. გა-
მომცდელი საგამოცდო კითხვას გამოცდასთან შეუსაბამო შინა-
არს აძლევს, დასმული კითხვა ცდება პროგრამის ფარგლებს და
სხვ.), საგამოცდო ტესტის, მისი შინაარსობრივი წყობის, დასმული
კითხვისა და მასზე სწორად მიჩნეული პასუხის აშკარად შეუსაბა-
მობას, გამომცდელის მიერ გაცნობიერებულად საკითხისადმი კავ-
შირში არმყოფი მოსაზრებებით მოქმედებას. გამომცდელის შეფა-
სებაზე სასამართლო კონტროლი დასაშვებია, როდესაც შეფასება
შესაძლოა საგნის სპეციფიკაში ჩაღრმავების გარეშე, იმ შემთხვე-
ვაში, როდესაც გამომცდელის შეფასება ემყარება მეცნიერულ-
პროფესიული მოსაზრებების ისეთ აშკარა და გონივრულ ზღვარს
გადამცდარ არასწორ გააზრებასა და შეფასებას, რომლის შედეგი
ყოვლად დაუსაბუთებელი, ირაციონალური და მიუღებელია სასა-
მართლოსათვის.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ არ ხდის პროცე-
დურულ საკითხს, არ უთითებს თანასწორობის პრინციპის დარღვე-
ვით იდენტურ შემთხვევაში სხვების მიმართ განსხვავებული გა-
დანყვეტილების მიღებას, ადმინისტრაციული ორგანოს არსებუ-
ლი პრაქტიკის საწინააღმდეგო გადანყვეტილების მიღებას, მოსარ-
ჩელე არ ეთანხმება დავალემაზე გაცემული პასუხის შეფასებას.
მხედველობაშია მისაღები, რომ სასამართლო კონტროლს თავისი
საზღვრები აქვს, რადგან შეფასების პროცესს მრავალი ისეთი ელე-
მენტი ახლავს, რომელიც არ ექვემდებარება ზუსტ შეფასებას (გა-
მომცდელის სუბიექტური შთაბეჭდილება, გამომცდელის პროფე-
სიული თავისებურებების ზემოქმედება შეფასებაზე და სხვ.). გა-
მომცდის ჩატარება დაკავშირებული არის შეფასების აუცილებლო-
ბასთან, გამომცდელის მიხედულებასთან, რომელიც წარმოადგენს
ამ საქმიანობის, შეფასებითი კატეგორიების გამოყენების უცილო-
ბელ ელემენტს, შესაბამისად ამ სფეროში რეგულაციას მიზნად

აქვს არა მიხედულების სრული აღმოფხვრა, არამედ მისი თვითნებობაში გადაზრდის თავიდან აცილება, დისკრეციის სფეროს შეზღუდვა. დისკრეციის სფეროს შეზღუდვა ზოგადად დადებითი პროცესია, თუმცა მიხედულების სრული იგნორირება, სრული კონტროლი გამოიწვევდა კონკრეტული პასუხის სპეციფიკურობის, მიზანშეწონილობის ფაქტორის გათვალისწინების უარყოფას, ორგანოს საქმიანობის არაეფექტურობას. კომისიის სადავო გადანყვეტილება უკავშირდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული კომისიის საგნობრივ კომპეტენციას, ერთჯერად სიტუაციას, რომლის რეკონსტრუქცია და გადამოწმება მოსამართლის მიერ შეუძლებელია (გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოსაცდელის ცოდნის დონეს სახელდობრ გამოცდის ჩატარების მონეტივსა და არა მის შემდეგ), შემფასებელი ახდენს შეფასებას საგამოცდო საკითხების სირთულეების გათვალისწინებით და საერთო შედეგების შეფასების საფუძველზე (შეფასება თავის თავში შეიცავს შედარების ელემენტს, შეფასება შესაბამისობაში უნდა იყოს სხვა აპლიკანტების მიერ მიღებულ შეფასებებთან, ამდენად, გასათვალისწინებელია გამოსაცდელის საშუალო დონე, საგამოცდო ნიშანი იმ ურთიერთობათა სისტემის ნაწილია, რომელიც გარკვეულნილად არის საგამოცდო პრაქტიკის, გამომცდელთა მოცდილებისა და წარმოდგენების შედეგი), რაც საგამოცდო გადანყვეტილებისათვის ქმნის შეფასების თავისუფალ სივრცეს (იხ. აგრეთვე სუსგ 08.07.04წ., №ბს-94-11-კს-04; 20.10.10წ. №ბს-342-331(კ-10); 25.03.09წ. №ბს-1448-1406(კს-08); 20.07.11წ. №ბს-1805-1760(კ-10)). დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს შესაძლებლობას კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადანყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადანყვეტილება (სზაკ-ის მე-2 მუხ. „ლ“ ქვ.პ.).

შეფასების ფართო ველის აღიარება იწვევს გადანყვეტილების მიღების დისკრეციული სივრცის აღიარებას. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული დისკრეციული უფლებამოსილება სპეციალიზებულ სფეროში. გამომცდელის გადანყვეტილების სრული სასამართლო შემოწმების დაშვების შემთხვევაში, გამოცდების მიღების ფუნქცია უცილობლად მთლიანად სასამართლოში გადაინაცვლებს. სასამართლო არ არის უფლებამოსილი იკისროს გამომცდელის ფუნქცია და შეაფასოს მოსარჩელის სპეციალური ცოდნა.

დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს მოქმედების თავისუფლებას, თუმცა არ ქმნის სამართლისგან სრულიად თავისუფალ სივრცეს, ასეთ პირობებში მოქალაქეს არ ერთმევა უფლება მოითხოვოს მის მიმართ უშეცდომო გადან-

ყეტილების მიღება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არსებობს სრულიად დისკრეციული უფლებამოსილება, ისევე როგორც სრული მონესრიგება. გარემოებათა სიმრავლის, სფეროს თავისებურებების გათვალისწინებით სასამართლო შემომნების მასშტაბი ცვალებადია. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ორგანოს მიხედულების სფეროს გაფართოებას ინვევს განუსაზღვრელი ცნებები. საგამოცდო წარმოება მოიცავს ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და შეფასების პროცესთან დაკავშირებულ განუსაზღვრელ ცნებებს. ასეთი ორმაგი დატვირთვის მონესრიგება განაპირობებს დისკრეციული უფლებამოსილების სპეციფიკას. განუსაზღვრელი, ზოგადი სამართლებრივი ტერმინები არ გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის სრულ თავისუფლებას, უშეცდომო დისკრეციული გადაწყვეტილებების მიღების, პირის უფლებების დაცვის მოთხოვნიდან გამომდინარე, ასეთი ტერმინები სწორად უნდა განიმარტოს, ცნებების განმარტების სისწორე ექვემდებარება სასამართლო კონტროლს, თუმცა საგამოცდო წარმოების მონესრიგება ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს გარკვეულ თავისუფლებას ამ ცნებების შემადგენლობის განმარტებისას და სასამართლო კონტროლიც ამ თავისებურების გათვალისწინებით ხორციელდება. საგამოცდო კომისია თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას აღგენს თუ როდის არის სახეზე წესით დადგენილი წინაპირობა – გააზრებული ცოდნა, ნაწილობრივი ცოდნა, რომლებიც სრულად არ არიან განსაზღვრულები და თავის მხრივ, უქმნიან საგამოცდო კომისიას გარკვეულწილად შეფასების თავისუფალ სივრცეს, რაც დამახასიათებელია საგამოცდო პროცესისათვის.

შეფასების გარკვეული თავისუფლების მიუხედავად, ცხადია, რომ მისი გამოყენება ობიექტურად და სამართლიანად უნდა ხდებოდეს. დისკრეციული უფლებამოსილების სპეციფიკური პროცესი წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს მოქალაქეთა დარღვეული უფლების სასამართლო წესით აღდგენის ინტერესთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო კონტროლს. მმართველობის ყველა აქტი, მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება, ექვემდებარება სასამართლო კონტროლს. სზაკ-ის 7.2 მუხლის შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ დაიშვება პირის ძირითადი უფლებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა. დისკრეცია არ წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლების კონტროლისაგან თავისუფალ სივრცეს (სუსგ 11.04.126. №ბს-1655-1627(კ-11), 20.10.106. №ბს-342-331(კ-10)), ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულება უკიდევანო არ არის და მის ფარგლებში

თვითნებობის, დისკრიმინაციის, დისკრეციული უფლებამოსილების გადაჭარბების ან არამიზნობრივი გამოყენების გამოვლენა დაუშვებელია, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანასწორობის ან კანონიერების პრინციპის უგულებელყოფას, დისკრეციული უფლებამოსილება სამართლებრივად შეზღუდული თავისუფლებაა. დისკრეციული უფლებამოსილების ცნებისათვის იმანენტურია მისი სამართლებრივი ბოჭვა, რაც სასამართლო კონტროლის პირობებშია შესაძლებელი. მოცემულ შემთხვევაში დისკრეციული ველის შეზღუდვის, ამ სფეროში ერთგვარი ინტერვენციის, სასამართლო კონტროლის გაფართოების შესაძლებლობას გარკვეულწილად იძლევა სასერტიფიკაციო გამოცდის შეფასების სქემა. სადავო ურთიერთობის წარმოშობის დროს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს ადგენდა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 21.05.046. №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04.12.096. №1101 ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება“, რომლის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, შეფასების სქემა არის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, საგამოცდო პროგრამისა და შეფასების ზოგადი კრიტერიუმების შესაბამისად, გამსწორებლისთვის და საპრეტენზიო კომისიისათვის შედგენილი დოკუმენტი. დებულების მე-11 მუხლის 1⁴ პუნქტი ითვალისწინებდა შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეფასების სქემების დამტკიცებას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 22.07.146. №173/14 ბრძანებით დამტკიცდა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შეფასების სქემა. სქემით განისაზღვრა შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით 4 ქულიდან ღია დავალებებში 3 ქულა ამ კრიტერიუმების მიხედვით იწერება იმ შემთხვევაში, თუ პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა, მთლიანობაში მსჯელობა სწორია, თუმცა არასრული, რომელიმე ერთ მითითებაზე პასუხი შედარებით სქემატურია. შეფასების სქემის მიხედვით აპლიკანტი 2 ქულას იმსახურებს იმ შემთხვევაში, თუ პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი ცოდნა, მსჯელობა არ არის სრული, აკლია დავალების პირობის რომელიმე კომპონენტი ან ზოგადად პასუხი ყველა მითითებაზე სწორია, მაგრამ

სქემატური. ამდენად, შეფასების სქემის მიხედვით 3-ქულიანი შეფასება საჭიროებდა მოსწავლის უნარების დასახელებას, რომელთა განვითარებასაც ხელს უწყობს ვენის დიაგრამის გამოყენება, ნ. მ-მა დაასახელა მხოლოდ ერთი უნარი. შეფასების სქემის მიხედვით 3-ქულიანი შეფასება საჭიროებდა გაცემული პასუხის დასაბუთებას.

№21 დავალების პასუხში ნ. მ-ს მოყვანილი აქვს მეთოდის გამოყენების მაგალითი და დასახელებული აქვს მხოლოდ ერთი უნარი, რომლის განვითარებასაც უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება, თუმცა არ არის მოყვანილი უნარის განვითარების დასაბუთება. პასუხი არ ავლენს პედაგოგიურ საქმიანობაში ვენის დიაგრამის გამოყენების მნიშვნელობას, ამ მეთოდის ზემოქმედებას მოსწავლეებზე. №21 დავალებაზე გაცემული პასუხიდან შეუძლებელია განისაზღვროს აპელანტის ცოდნა ვენის დიაგრამის გამოყენების მნიშვნელობის, მოსწავლეებზე მეთოდის ზემოქმედების შესახებ, დავალებაზე გაცემული პასუხი არ არის სრული, პასუხს აკლია დავალების პირობის არაერთი არსებითი კომპონენტი. პასუხში მოყვანილია მეთოდის გამოყენების კონკრეტული მაგალითი, თუმცა მოყვანილი მინიმუმ 2 განსავითარებელი უნარის ნაცვლად დასახელებულია მხოლოდ ერთი, ამასთანავე, პასუხი არ არის დასაბუთებული.

მხედველობაშია მისაღები, რომ პროფესიული უნარების ტესტის 21-ე დავალება განეკუთვნება ე.წ. ღია ტიპის დავალებას, ასეთ დავალებას არ აქვს თანდართული სავარაუდო პასუხები, რის გამოც მნიშვნელობა ენიჭება დასაბუთებას. დასაბუთება, განმარტება უფრო მაღალი სააზროვნო დონის მაჩვენებელია, ვიდრე დასახელება, აღწერა, ის ავლენს აპლიკანტის ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარებს. ნ. მ-ის პასუხში არ არის დასაბუთებული თუ რატომ უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება უნარების განვითარებას. ღია დავალების პასუხში ტესტირების მონაწილეს უნდა გამოეყვინა ვენის დიაგრამის, როგორც სასწავლო მეთოდის, მნიშვნელობა მოსწავლეებთან მუშაობისას, პედაგოგიურ საქმიანობაში ვენის დიაგრამის გამოყენების შესაძლებლობები, ამ კოგნიტიური სქემის დახმარებით მოსწავლეებზე გავლენის მოხდენის გაცნობიერება, ამ მეთოდის გავლენა მოსწავლეების სწავლისა და აზროვნების თავისებურებაზე (კოგნიტიური და მეტაკოგნიტიური უნარები, სემანტიკური კომპეტენცია და სხვ.). აღნიშნულის მიუხედავად №21 დავალების პასუხი საერთოდ არ შეიცავს რაიმე უნარის განვითარების დასაბუთებას, პასუხიდან არ ჩანს ასეთი დასაბუთების მოყვანის თუნდაც მცდელობა. პასუხში მხოლოდ ერთი უნარის (ანალიზის უნარის) დასახელება, ვენის დიაგრამის გამო-

ყენების შედეგად ამ უნარის განვითარების დასაბუთების გარეშე, ადასტურებს საკითხის ნაწილობრივ ცოდნის შესახებ კომისიის სადავო აქტის დასკვნის საფუძვლიანობას. აღნიშნული დავალების მაქსიმალური 4-ქულიანი შეფასების გათვალისწინებით, მართებულა კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნახევრად შესრულებული დავალებისათვის 2-ქულიანი შეფასება ადეკვატურია და პასუხობს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 22.07.14წ. №173/14 ბრძანებით დამტკიცებული 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის შეფასების სქემით განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო აქტით გადანყვეტილი დავის მთავარი საკითხი – ქულის მომატებაზე უარი ადეკვატურია, ადგილი არ აქვს თვითნებობას, დისკრეციული უფლებამოსილების გადაცილებას, მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას. დავის დამატებით ასპექტს ქმნის მოსარჩელის წარმომადგენლის მოსაზრება იმის შესახებ, რომ დავალება ორ ნაწილად არის დაყოფილი და შესაბამისად, პირველი ნაწილის (მაგალითის მოყვანის) სრულყოფილად შესრულების გამო, დავალების 4-ქულიანი შეფასებიდან გამომდინარე, პასუხი იმსახურებს 2 ქულას, ხოლო დავალების მეორე ნაწილის (უნარების დასახელება, დასაბუთება) ნაწილობრივი შესრულების გამო – 1 ქულას. თავის მხრივ, მოპასუხეების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ №21 დავალება შეიცავს 2-ზე მეტ კომპონენტს, კერძოდ, მაგალითის მოყვანა, რამდენიმე უნარის დასახელება, თითოეულის დასაბუთება, რაც გამორიცხავს ნ. მ-ის პასუხის 3 ქულით შეფასების შესაძლებლობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის შეფასების სქემა იძლევა გარკვეული მასშტაბით შეფასების გადამონმების შესაძლებლობას, სქემაში მოცემულია შეფასების ზოგადი მასშტაბი, თუმცა აღნიშნული სრულად არ გამორიცხავს გამომცდელის შეფასების, მათ შორის ტესტის კომპონენტების პრიორიტეტულობის შეფასების დისკრეციას, სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად განახორციელოს ადმინისტრაციული ორგანოებისადმი მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლი არ გულისხმობს სასამართლოს ისეთ იურისდიქციას, რომელიც ყოველთვის მისცემს მას შესაძლებლობას მიხედულების საფუძველზე სპეციალიზებულ სფეროში მიღებულ გადანყვეტილებებზე ჩაანაცვლოს ადმინისტრაციულ ორგანოთა მოსაზრება საკუთარით (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 20.10.15წ. გადანყვეტილება საქმეზე „ფაზია ალი გაერთიან-

ნებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Fazia Ali v. the United Kingdom) § 77; 22.10.1995წ. გადაწყვეტილება საქმეზე „ბრაიანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (Bryan v. the United Kingdom) §47). სამართლებრივი წესრიგი ავალდებულებს გამომცდელებს კეთილსინდისიერად შეაფასონ გამოსაცდელი, თუმცა საგამოცდო სამართალი არ ავალდებულებს მათ მივიდნენ იმავე დასკვნამდე რა დასკვნამდეც მივიდოდა მოგვიანებით სასამართლო გამოცდის შედეგების გაცნობის შემდეგ. კონვენციის მე-6 მუხლი არ გულისხმობს იმ დონის იურისდიქციის ხელმისაწვდომობას, რომელსაც შეუძლია სრულიად უგულვებლყოს ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულება (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 21.07.116. გადაწყვეტილება შპს „სიგმა რადიო ტელევიზია“ კვიპროსის წინააღმდეგ (Sigma Radio Television LTD. v. Cyprus) § 153).

მოსარჩელის მოთხოვნა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ეხება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მმართველობითი ფუნქციის განხორციელების სამართლებრივი ფორმა. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება კონკრეტულ შემთხვევებში მმართველობითი ფუნქციის განხორციელების თაობაზე, სასამართლო ვერ შეითავსებს ამ ფუნქციებს. კანონმდებლობა გამოაკლისის სახით უშვებს სადავოდ ქცეულს მმართველობითი ფუნქციის სასამართლოს მიერ განხორციელების შესაძლებლობას მთელი რიგი წინაპირობების დაცვით. სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და არ საჭიროებს საქმის გარემოებების დამატებით გამოკვლევას, ამასთანავე, საკითხი არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას (სასკ-ის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სწორედ უკანასკნელს განეკუთვნება მოცემულ შემთხვევაში 21-ე დავალების კომპონენტების პრიორიტეტულობა, თითოეული ელემენტის (მაგალითის მოყვანა, უნარების დასახელება, უნარების განვითარების დასაბუთება) მნიშვნელობის განსაზღვრა.

სზაკ-ის 177.1 მუხლის მიხედვით, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. მ-მა ადმინისტრაციული საჩივრით გაასაჩივრა მიღებული შეფასება საპრეტენზიო კომისიაში (სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა არა მხოლოდ პროცედურის დადგენილი წე-

სის, არამედ ტესტის/ტესტების შეფასებასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის შესაძლებლობას, თითოეული სათვის გასაჩივრების და გადაწყვეტის განსხვავებული ვადების განსაზღვრით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 04.12.09წ. №1101 ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულების“ II თავი)). კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.06.2015წ. გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი საპრეტენზიო კომისიის აქტი ნ. მ-ის პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საპრეტენზიო განაცხადის ხელახალი შეფასება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოსაგან განსხვავებით, საჩივრის განხილვისას ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ამონებებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების არა მხოლოდ კანონიერებას, არამედ აგრეთვე მიზანშეწონილობას. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერების შემოწმებისას ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, სასამართლოსაგან განსხვავებით, თავადაც იყენებს დისკრეციულ უფლებამოსილებას. საჩივართან დაკავშირებულ წარმოებაში მონაწილეობა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფორმალური და მატერიალური მოთხოვნები, მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილების მიზანსა და შედეგს შორის თანაფარდობის, დისკრეციის მიზნის, უფლებამოსილების ფარგლების დაცულობა, დგინდება დისკრეციული უფლებამოსილების დროს შეცდომის დაშვება. მხედველობაშია მისაღები, რომ ექსპერტებით დაკომპლექტებული კოლეგიური ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემოწმება სასამართლოში ხდება კანონიერების და არა მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილობის მოსაზრებებს არ აქვთ პრიორიტეტული მნიშვნელობა კანონიერების მოთხოვნებთან. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლი შეზღუდულია ხელისუფლების დანაწილების კონსტიტუციური პრინციპით, სასამართლო ვერ იქცევა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ და თავად ვერ განახორციელებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კომისიის უფლებამოსილებაში ჩარევით სასამართლო მთლიანად შეცვლიდა საგამოცდო კომისიას, გადაიქცეოდა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო შებოჭილი იქნებოდა არა კანონით, არამედ სასამართლოს მიხედულებით.

სასკ-ის 23-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებულებელი სარჩელით პირი სასამართლოს მიმართავს არსებული მდგომარეობის შეცვლის და შესაბამისად, მისთვის ხელსაყრელი მდგომარეო-

ბის მიღწევის მიზნით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობის პირობებს სასკ-ის 23-ე მუხლი, ხოლო სარჩელის საფუძვლიანობის პირობებს 33-ე მუხლი განსაზღვრავს. აქტის არსებობას, აქტის გამოცემაზე უარის თქმას უკავშირდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე სარჩელის დასაშვებობა. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიზანია არა აქტის გამოცემამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა (სასკ-ის 22-ე მუხ.), არამედ არსებული მდგომარეობის შეცვლა (სასკ-ის 23-ე მუხ.) და მისთვის ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევა (სუსგ 25.03.09წ. №ბს-1448-1406(კს-08)). მოცემულ შემთხვევაში მავალდებულებელი სარჩელი, აქტის გამოცემის მოთხოვნა უცილობლად მოიცავს უარის თქმის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნას, რომლის ბათილად ცნობის გარეშე შეუძლებელია აქტის გამოცემის დავალება. შესაბამისად, სამინისტრო და სსიპ გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი მოცემულ დავაში სოლიდარულ მოპასუხეებს წარმოადგენენ, შესაბამისად ერთ-ერთის მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ადასტურებს გადაწყვეტილების სრულად გასაჩივრებას.

საერთო წესის თანახმად, მავალდებულებელი სარჩელის განხილვისას აქტის გამოცემაზე უარის კანონიერების დასადგენად აქცენტი კეთდება არა იმდენად უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლებზე, რამდენადაც აქტის გამოცემაზე, მოთხოვნილი აქტის გამოცემის წინაპირობების არსებობაზე. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა საგამოცდო კომისიის დისკრეციულ სფეროს შეეხება (სზაკ-ის 2.1 მუხ. „ლ“ ქვ.პ., მე-6, მე-7 მუხ.). უკვე აღინიშნა, რომ სასკ-ის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავად გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ საკითხი განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას, შესაბამისად, მოცემულ დავაში, საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების დისკრეციული ხასიათის გამო, ყურადღება უნდა გამახვილდეს უარის თქმის შესახებ საგამოცდო კომისიის სადავო აქტის კანონიერებაზე. ამდენად, უარის შესახებ აქტის არსებობა არსებით შედეგს იწვევს მოთხოვნილი აქტის გამოცემის საკითხის გადაწყვეტისათვის. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების უშეცდომოდ განხორციელების მოთხოვნის უფლება იმით განსხვავდება ჩვეულებრივი გადაწყვეტილების მიმართ წარმოშობილი მოთხოვნის უფლებისაგან, რომ პირველ შემთხვევაში აქცენტი კეთდება

არა კონკრეტული შინაარსის გადანყვეტილების მიღებაზე, არამედ დისკრეციული უფლებამოსილების უშეცდომოდ განხორციელებაზე. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში შეცდომად მიიჩნევა დასაბუთების ვალდებულების უგულვებლყოფა. მხოლოდ შეფასებასთან დაკავშირებით წარდგენილ პრეტენზიაზე უარის დასაბუთების მეშვეობით არის შესაძლებელი საკითხზე გამოტანილი გადანყვეტილების სისწორე. დასაბუთებიდან უნდა ირკვეოდეს, თუ რა გარემოებებმა და შეხედულებებმა მოახდინეს გავლენა გადანყვეტილების მიღებაზე. შესაბამისად, გადანყვეტილების შემომწმებისას სასამართლოსათვის თვალსაჩინო უნდა გახდეს თუ რა ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს ემყარება დისკრეციული გადანყვეტილება და მისი მიღების პროცესი. განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდება სადავო აქტით მოსარჩელის უფლების ხელყოფა, სადავო აქტი მიღებულია უფლებამოსილი, კოლეგიური ორგანოს მიერ, გადანყვეტილება მიღებულია ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების, საკითხის სრულად გამოკვლევის შედეგად, აქტი დასაბუთებულია.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ სარჩელთან (სასკ-ის 23-ე მუხ.) დაკავშირებით სასამართლოს გადანყვეტილება შესაძლოა ორი სახის იყოს: სასამართლოს შეუძლია დაავალოს აქტის გამოცემა ან თავად სასამართლომ მოაწესრიგოს სადავო საკითხი. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოპასუხემ არ შეასრულა კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლოს გადანყვეტილების დანაწესი. დისკრეციული უფლებამოსილების სასამართლო კონტროლის თავისებურებაა ის, რომ სასამართლო არ იღებს საბოლოო გადანყვეტილებას და ამგვარად არ იჭრება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციაში. საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში მყოფი 11.06.15წ. გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილშივეა მითითებული, რომ სადავო აქტები ბათილად იქნა ცნობილი სადავო საკითხის გადაუწყვეტლად. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში მყოფი 11.06.15წ. გადანყვეტილებაში სასამართლო პირდაპირ უთითებს, რომ სასამართლო არ არის უფლებამოსილი გადაამოწმოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადანყვეტილების მიზანშეწონილობა ანუ მისი დისკრეციის განხორციელების მართლზომიერება, სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას გადანყვეტოს სადავო საკითხი, ვინაიდან სასერტიფიკაციო გამოცდაზე მიღებული ქულის მომატება კომისიის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

კანონიერ ძალაში მყოფი თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-

მინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.06.15წ. გადაწყვეტილებით სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ნ. მ-ის ნაშრომის პირველადი შეფასება №21 დავალების შეფასების ნაწილში, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის 26.08.2014წ. №6 ოქმის მე-14 პუნქტი იმ ნაწილში, რომლითაც დამტკიცდა 2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის უნარების შედეგების გასაჩივრებასთან დაკავშირებით შექმნილი საგნობრივი ქვეკომისიის 22.08.2014წ. გადაწყვეტილება №21 დავალებასთან დაკავშირებით ნ. მ-ის პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში, მოპასუხეებს დაევალათ №21 დავალებასთან დაკავშირებით საპრეტენზიო განაცხადის ხელახლა შეფასება, სასარჩელო მოთხოვნის დანარჩენ ნაწილში (ანუ სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის 1 ქულის მომატების ნაწილში) სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი (სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი). ამდენად, საფუძველს მოკლებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დავალებული იყო ქულის მომატება. არ დასტურდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოსათვის ისეთი შეზღუდვის დაწესება, რომლის შედეგად კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოსათვის დავალებული ექნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ერთი, გარკვეული შინაარსის გადაწყვეტილების მიღება და ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილების მიღება გამოირიცხებოდა. სასამართლო გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ საგნობრივი ქვეკომისიისა და საპრეტენზიო კომისიის მიერ არ არის დასაბუთებული, თუ რატომ იქნა მიჩნეული მოსარჩელის მიერ სადავო კითხვაზე გაცემული პასუხი საკითხის ნაწილობრივ და არა გააზრებულ ცოდნად, რატომ იქნა მიჩნეული მხოლოდ ერთი უნარის მითითება პასუხის 3 ქულით შეფასების დაუშვებლობის საფუძველად. სასამართლოს აღნიშნული მითითება ნიშნავს არა კომისიისათვის ნაშრომის 3 ქულით შეფასების დავალებას, არამედ მითითებას გასაჩივრებული აქტების დაუსაბუთებლობაზე, ნაშრომის ხელახალი შეფასების შედეგად გამოცემულ აქტში შეფასების სათანადო დასაბუთების საჭიროებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის ციტირების მოყვანით, მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევის საჭიროება და დაავალა ადმინისტრაციას №21 დავალებასთან დაკავშირებით ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, კერძოდ, იმის შეფასება თუ რამდე-

ნად შეესაბამება ნაშრომი 3 ქულით შეფასების კრიტერიუმს.

შექმნილი კომისიის სადავო აქტის კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებასთან შეუსაბამობას არ ადასტურებს სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითება იმაზე, რომ კითხვაზე შემოთავაზებულ პასუხში ჩანს საკითხის გააზრებული ცოდნა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების აღსრულებისას აღსასრულებლად მიექცევა სარეზოლუციო და არა სამოტივაციო ნაწილი, თუნდაც ეს უკანასკნელი ადგენდეს რაიმე უფლების ან ვალდებულების არსებობას („სააღსრულებო ნარმოებათა შესახებ“ კანონის 21-ე მუხ.). საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია გადაწყვეტილების ფორმალური (სსკ-ის 264-ე მუხ.) და მატერიალური (სსკ-ის 266-ე მუხ.) კანონიერი ძალა, რომელიც პირველ შემთხვევაში გულისხმობს მიმდინარე პროცესში დავის განხილვის დამთავრებას, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მხოლოდ კონკრეტულ პროცესში ჩაბმული პირებისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მითითებული ნორმის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადავო მისი სარეზოლუციო და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტები. ამდენად, გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მის სარეზოლუციო ნაწილზე (სუს 17.06.15წ. გადაწყვეტილება №ას-532-505-2015). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დავა არსებითად არ გადაწყვეტილა, მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტები ბათილად იქნა ცნობილი დავის გადაუწყვეტლად, აღსრულება ხდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის, აღსრულებისათვის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს მნიშვნელობა აქვს არსებითი გადაწყვეტილების მიღების დროს, როდესაც ბუნდოვანია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საქალაქო სასამართლოს 11.06.15წ. გადაწყვეტილება გამოტანილია სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე, რომელიც სასკ-ის 23-ე და 31-ე, 33-ე მუხლებისაგან განსხვავებით ითვალისწინებს მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის არა მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ აქტის გამოცემის დავალებას, არამედ ადმი-

ნისტრაციული წარმოების ჩატარების შედეგად დასაბუთებული აქტის გამოცემის დავალებას, ამასთანავე, სასკ-ის 32.4 მუხლის საფუძველზე სადავო აქტის ბათილად ცნობა არ გამოორიციხავს ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად იმავე შინაარსის გადაწყვეტილების მიღებას(სუსგ 20.04.06წ. №ბს-1291-866(კ-05); 18.10.18წ. №ბს-368-368(კ-18); 04.10.2018წ. №ბს-567-567(კ-18)). ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმავე შინაარსის გადაწყვეტილების განმეორებით მიღების დაუშვებლობის, აღნიშნულით ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპის დარღვევის შესახებ. 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს არ ევალება კონკრეტული შინაარსის ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ასეთ შემთხვევაში გასაჩივრებული აქტი უქმდება დავის გადაუწყვეტლად, გამოსაცემი აქტის შინაარსი დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელახალი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შედეგებზე. სასამართლო გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული ორგანოსათვის კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება ხდება სასამართლო გადაწყვეტილების სასკ-ის 33-ე მუხლის და არა 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში. ამდენად, ის გარემოება, რომ ნ. მ-ის თავდაპირველი სარჩელის განხილვის შედეგად ქულის მომატებაზე უარის თქმის შესახებ აქტები ბათილად იქნა ცნობილი და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა საკითხის ხელახალი განხილვის შედეგად ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, არ ნიშნავს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დაუშვებლობას. გამოსაცემი პირის უფლების დაცვა მოითხოვს იმას, რომ წერიტი გამოცდების მიმართ გამოცდელის შეფასება იყოს სათანადოდ დასაბუთებული. №21 დავალებაზე გაცემული წერილობითი პასუხის თავდაპირველი შეფასება არ იყო დასაბუთებული, აქტი არ შეიცავდა რაიმე მოტივაციას, ასეთ პირობებში სასამართლომ მიიჩნია, რომ ქულის მომატების მოთხოვნის დაკმაყოფილება არ იყო გამოორიციხული, რის გამოც დავის გადაუწყვეტლად სადავო აქტები ბათილად იქნა ცნობილი და მოპასუხეებს დაევალათ წერილობითი ნაშრომის ხელახალი შეფასება. ხელმეორე აქტი შეიცავს დამაჯერებელ დასაბუთებას. დისკრეციულ სფეროში მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კონტროლის მიზანს, დასაბუთების ვალდებულების შეუსრულებლობა ასეთი უფლებამოსილების დარ-

ღვევით განხორციელებად ფასდება და შესაძლოა გახდეს გადან-
ყვეტილების გაუქმების საფუძველი. სასამართლო ამონმებს არა
შერჩეული გადანყვეტილების მიზანშეწონილობას, არამედ მის კა-
ნონიერება-დასაბუთებულობას, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნ-
და დაასაბუთოს, რომ მიღებული გადანყვეტილება ყველაზე მისა-
ღები, ოპტიმალური იყო არსებული შესაძლებლობებიდან და არა
თავად განუსაზღვროს ორგანოს ალტერნატიული ზომებიდან გა-
მოსაყენებელი ზომა, სანინააღმდეგო იქნებოდა დისკრეციული
უფლებამოსილების განხორციელებაში შეჭრა, სასამართლო კონ-
ტროლის ფარგლების გადაცილებას, ხელისუფლების დანაწილების
პრინციპის დარღვევას (სუსგ 25.02.2014წ. №ბს-421-410(კ-13)).

კანონმდებლობა ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქ-
ტის მიმართ ადგენს დასაბუთების მოთხოვნას (სზაკ-ის 53-ე მუხ.
1-ლი ნაწ.), თუმცა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში
აქტის დასაბუთების საერთო იმპერატივი დამატებით მოთხოვნებს
ითვალისწინებს (სზაკ-ის 53-ე მუხ. მე-4 ნაწ.). აქტის დასაბუთების
შინაარსისა და მოცულობისადმი მოთხოვნები დეტერმინირებულია
საკითხის თავისებურებებით. სხვა გადანყვეტილების მსგავსად,
მიხედულების მიხედვით მიღებული გადანყვეტილება უნდა შეი-
ცავდეს მნიშვნელოვან ფაქტოლოგიურ და სამართლებრივ ასპექ-
ტებზე მითითებას. დასაბუთებას განსაკუთრებული მნიშვნელობა
აქვს დისკრეციული აქტებისათვის, დასაბუთების არარსებობა არის
აქტის გაუქმების საფუძველი (სუბსიდიარობის პრინციპიდან გა-
მომდინარე, ზოგ შემთხვევაში შესაძლოა საკმარისად იქნეს მიჩ-
ნეული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული
გადანყვეტილების სათანადო დასაბუთების სასამართლოსათვის
წარდგენა). ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია რაიმე აღმატე-
ბული სტატუსი ან აბსოლუტური ძალაუფლება, რაც ავალდებუ-
ლებს მას დაასაბუთოს თავისი გადანყვეტილება, ხსენებული
ზრდის აქტის ხარისხს. წარდგენილ პრეტენზიასთან დაკავშირე-
ბით დასაბუთების მოთხოვნა სამართლებრივი სახელმწიფოს ჯან-
სალი გამოვლინებაა. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყე-
ნება გულისხმობს გადანყვეტილების შედეგის დასაბუთებას, რომ-
ლის მეშვეობით ირკვევა მიღებულ იქნა თუ არა უშეცდომო გადან-
ყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტი შეიცავს მითი-
თებას იმ მოსაზრებებზე და გარემოებებზე, რომლებსაც ადმინის-
ტრაციული ორგანო დაეყრდნო გადანყვეტილების მიღების დროს,
არ დასტურდება კომისიის მიერ გადანყვეტილების მიღება საქმის
გარემოებების ან კანონის არასწორად განმარტების საფუძველზე.
სადავო 31.10.16წ. აქტის შინაარსით დასტურდება, რომ კომისიამ
სრულად დაადგინა საქმის გარემოებები, გაეცნო №21 დავალების

შინაარსს, ნ. მ-ის წერილობით პასუხს, იხელმძღვანელა ცენტრის დირექტორის 22.07.14წ. №173/14 ბრძანებით დამტკიცებული სქემით, კომისიამ გააანალიზა №21 დავალების ელემენტები, დავალებაზე გაცემული პასუხი. კომისიამ მიიჩნია, რომ დავალების პირობის მიხედვით აპლიკანტი ვალდებული იყო მოეყვანა დიაგრამის ეფექტიანი გამოყენების კონკრეტული მაგალითი, დაესახელებინა რომელი უნარების განვითარებას უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება და დაესაბუთებინა პასუხი. კომისიამ მიიჩნია, რომ მინიმუმ ორი განსხვავებული უნარის ნაცვლად დასახელებულია მხოლოდ ერთი, პასუხი არ არის დასაბუთებული, კომისიამ მიიჩნია, რომ დავალება სანახევროდ იყო შესრულებული. იმის გათვალისწინებით, რომ ღია ტიპის დავალება 4-ქულიანი იყო, ხოლო დავალება სანახევროდ იყო შესრულებული, კომისიამ იხელმძღვანელა 22.07.14წ. №173/14 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სქემით განსაზღვრული კრიტერიუმებით. აქტში გაანალიზებულია სქემით დადგენილი მოთხოვნები 2-ქულიანი და 3-ქულიანი შეფასებისათვის. კომისიამ აღნიშნა, რომ პასუხი არ შეიცავს მინიმუმ ორ განსხვავებულ უნარზე მითითებას, პასუხში არ იკვეთება არავითარი დასაბუთების მცდელობა, არ არის დასაბუთებული (თუნდაც სქემატურად), თუ რატომ უწყობს ხელს ვენის დიაგრამის გამოყენება ამა თუ იმ უნარის განვითარებას, შეკითხვის 3 კომპონენტიდან ფაქტობრივად პასუხი გაცემულია მხოლოდ ერთზე, რაც კომისიის აზრით არ შეესაბამება 3-ქულიანი შეფასების კრიტერიუმს, რომელიც მოითხოვს დავალებაზე გააზრებულ და სწორ მსჯელობას. ამდენად, არსებულ პასუხში 1 ქულის მომატების მოთხოვნაზე უარი დასაბუთებულია. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის დისკრეციული უფლებამოსილების გადაჭარბება, ფარგლების გადაცილება (სზაკ-ის მე-6 მუხ.), კომისიის სადავო გადაწყვეტილება არ სცილდება გონიერების და მიხედულების ფარგლებს, არ დასტურდება მოპასუხის მხრიდან თვითნებობის ჩადენა, დისკრეციული უფლებამოსილების იმ მიზნის სანინააღმდეგოდ განხორციელება, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება ორგანოს (სზაკ-ის 6.2 მუხ.), კომისიის მხრიდან არ დასტურდება არაობიექტურობა, ტენდენციურობა, მოსარჩელის მიმართ თანასწორობის პრინციპის დარღვევა, შეცდომა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაში, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დაფუძნება არასრულ ან საქმისათვის მნიშვნელობის არმქონე ფაქტობრივ ან სამართლებრივ გარემოებებზე. საკასაციო პალატა თვლის, რომ კომისიამ ობიექტურად, ადეკვატურად შეაფასა წერილობითი პასუხი, სადავო გადაწყვეტილება არ დაფუძნებულა ისეთ გარემოებაზე, რომელიც არ იქნა

სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული ადმინისტრაციული წარმოების დროს (სზაკ-ის 53-ე მუხ., 96-ე მუხ.).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება, ახალი გადაწყვეტილებით ნ. მ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით დ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.05.2018წ. განჩინება და საქმეზე მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ნ. მ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ნ. მ-ის (პ/ნ ...) მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად. სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (ს/კ 202198727) მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი 150 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაეკისროს ნ. მ-ს;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ელექტროენერჯის მომხმარებელზე დარიცხული
დავალიანების კორექტირება**

**განჩინება
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-1197(კ-18)

20 ივნისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ვ. როინიშვილი**

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 25 აგვისტოს სს „...ამ“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, სემეკმა 2016 წლის 11 აგვისტოს დააკმაყოფილა მოქალაქე ქ. ქ-ის განცხადება და უსაფუძვლოდ მიიჩნია ენერგოკომპანიის მიერ 2016 წლის მარტის თვეში განხორციელებული დარიცხვა. ასევე, კომპანიას დაევალა უსაფუძვლოდ მიჩნეული დარიცხვის დაკორექტირება და შესაბამისი ცვლილების აბონენტის ბარათზე ასახვა. გასაჩივრებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად იქნა მიჩნეული.

მოსარჩელე არ ეთანხმება სემეკის აღნიშნულ გადაწყვეტილებას, რამდენადაც მიიჩნევს, რომ იგი მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, მოსარჩელის მოსაზრებით, ზემოხსენებული გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა უგულვებელყოფის შედეგად, შესაბამისად, იგი არის დაუსაბუთებელი და უკანონო, რაც მისი გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 11 აგვისტოს №54/14 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 30 აგვისტოს განჩინებით საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა ქ. ქ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სს „...ას“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დასტურდება, რომ ქ. ქ-ე 2016 წლის 27 იანვრიდან წარმოადგენს ქ. სამტრედია, ...ის ქ. №22-ში მდებარე ქონების მე-საკუთრეს.

სს „...ამ“ აბონენტ ქ. ქ-ეს 2016 წლის 30 მარტს დაარიცხა 1 მარტიდან 29 კალენდარული დღის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგია 292 კვტ/სთ-ის ოდენობით. აბონენტის საშუალო დღიური მოხმარება 292 კვტ/სთ ელექტროენერგია გაყო 29 კალენდარულ დღეზე და მიიღო 10.7 კვტ/სთ, ხოლო 10.7 კვტ/სთ-ით გაამრავლა 30 კალენდარულ დღეზე და მიიღო 302,1 კვტ/სთ, რაც დაანგარიშდა მესამე საფეხურის ტარიფით.

2016 წლის 28 ივნისს ქ. ქ-ემ განცხადებით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას და მოითხოვა არსებული დავალიანების კორექტირება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2016 წლის 11 აგვისტოს №54/14 გადაწყვეტილებით ქ. ქ-ეზე (აბ. ...) სს „...ას“ მიერ 2016 წლის მარტის თვეში 292 კვტ/სთ ელექტროენერგიის საფასურის (62.63 ლარის) მესამე საფეხურის ტარიფით დარიცხვა უსაფუძვლოდ მიიჩნია. სს „...ას“ მომხმარებლისათვის მეორე საფეხურის ტარიფით 49.44 ლარის დარიცხვის განხორციელება და აბონენტის (აბ. ...) პირადი აღრიცხვის ბარათზე ცვლილების შეტანა დაევალა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანო არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს ამ კანონითა და შესაბამისი კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. ამავე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილება არის ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შესაბამისი კანონით განსაზღვრული და ამ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოსთვის სპეციალუ-

რად დელეგირებული უფლებები და მოვალეობები. ხოლო ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილება არის ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ კანონის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტი (დადგენილება, გადაწყვეტილება და ა. შ.).

სასამართლომ მიუთითა „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია გადაწყვიტოს მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული დავები ამ მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიების ან/და ნებართვების მფლობელებს შორის ან ლიცენზიების ან/და ნებართვების მფლობელებსა და მომხმარებლებს შორის.

ამასთან, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომ – კომისია) არის „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი, რომელიც არ არის შექმნილი სახელმწიფო ქონების საფუძველზე. კომისიის ძირითადი ფუნქციები განსაზღვრულია ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლიცენზიატებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ამავე კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, ბაზრის ოპერატორი, ლიცენზიატები, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები, იმპორტიორები, ექსპორტიორები, მიმწოდებლები და მომხმარებლები უფლებამოსილი არიან, კომისიაში შეიტანონ განაცხადი ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სფეროებში სადავო საკითხის განხილვაზე, თუ აღნიშნული დავის გადაწყვეტა კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება.

სასამართლომ მიუთითა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ, ინდივიდუალურ, მათ შორის, დადგენილებიდან გამომდინარე, საკითხებზე კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას. ამავე კანონის მე-15 მუხლის თანახმად, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგული-

რეზილი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია ოფიციალურად განმარტოს მის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები (შემდგომში წესები) არეგულირებს ურთიერთობებს, ერთი მხრივ, განაწილების ლიცენზიატს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურსა და, მეორე მხრივ, მომხმარებელს შორის ელექტროენერჯის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გატარების ან/და მოხმარების დროს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ წესებით დადგენილი პირობები სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომელიც ახორციელებს ელექტროენერჯის წარმოებას, განაწილებას, გატარებას ან/და მოხმარებას. ამ წესებთან შეუსაბამო ვალდებულებების დაკისრება აკრძალულია. ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, ნებისმიერ პირს, თუ კი ირღვევა მისი უფლებები, უფლება აქვს, შეიტანოს საჩივარი კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველთან, კომისიაში ან მიმართოს სასამართლოს. მას ასევე უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით მოსთხოვოს დამრღვევს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამონვეულ იქნა ამ წესებით გარანტირებული უფლებების დარღვევით ან/და დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით.

სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა იმპერატიულად კრძალავს ელექტროენერჯის მოხმარებისას მომხმარებლისთვის (აბონენტისთვის) წესებთან შეუსაბამო ვალდებულებების დაკისრებას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, უზრუნველყოს მომხმარებლის შესაბამისი პარამეტრების ელექტროენერჯით უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მომარაგება კანონმდებლობის, ლიცენზიის პირობების, ამ წესებისა და მისი

შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია: გაუწიოს მომსახურება ყველა სახის მომხმარებელს ამ წესების შესაბამისად და მოახდინოს საცალო მომხმარებელზე ელექტროენერჯის რეალიზაცია (ამ წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად). ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, მომხმარებელთან ფულადი ანგარიშსწორება ანარმოოს მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ ანგარიშსწორების ქვითარში გადასახდელი (მოთხოვნილი) თანხის სრულად ასახვისა და გადახდის ბოლო ვადის მითითების შემდეგ.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დადასტურებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს მყიდველს ელექტროენერჯია მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესებითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით, ხოლო მყიდველი კისრულობს ვალდებულებას, გადაიხადოს მიღებული ელექტროენერჯის საფასური და დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესებითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეს წესები და მისი შესაბამისი ხელშეკრულება ელექტროენერჯის მომხმარებელისთვის წარმოადგენს ძირითად იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს განაწილების ლიცენზიატის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისა და მომხმარებლის უფლება-მოვალეობებს ელექტროენერჯის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გატარების ან/და მოხმარების დროს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ წესებში მოცემული პირობები წარმოადგენს ელექტროენერჯის ნასყიდობისა და მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, განაწილების ლიცენზიატსა და მომხმარებელს შორის ელექტროენერჯის ნასყიდობის, ასევე მომსახურების შესახებ ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს წერილობითი ფორმით (ასევე, ქვითრით ან სხვა წერილობითი დოკუმენტით, ამ წესებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად). ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები, ასეთი ხელშეკრულების მომხმარებელთან გაფორმების (შეთანხმების) შემთხვევაში, უნდა შეესაბამებოდეს ამ წესებისა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვ-

ნებს. ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, განაწილების ლიცენზიატს უფლება არ აქვს, მომხარებელთან გააფორმოს ისეთი სახის ხელშეკრულება ან/და დადოს მასთან ისეთი სახის გარიგება, რომლის შინაარსი ან/და პირობა ეწინააღმდეგება ამ წესებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ დადგენილების 11¹ მუხლის თანახმად, სს „...ას“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის შესასყიდი ზღვრული ტარიფები დადგენილია ძაბვების მიხედვით: ა) 220/380 ვოლტი (არასასაფრთხოვრებო მომხმარებელი) – 16,776 თეთრი/კვტსთ; ბ) 3,3-6-10 კილოვოლტი – 12,024 თეთრი/კვტსთ; გ) 35-110 კილოვოლტი – 11,501 თეთრი/კვტსთ. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერჯის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში (სს „...ას“ აბონენტებისათვის) საფრთხილოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერჯის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში): ა) 101 კვტსთ-ის ჩათვლით – 10,978 თეთრი/კვტსთ; ბ) 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით – 14,348 თეთრი/კვტსთ; გ) 301 კვტსთ-დან და მეტი – 18,178 თეთრი/კვტსთ.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ დადგენილების მე-12 მუხლის თანახმად, მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით დადგენილი ტარიფები არაგამჭოლია; ყოველი მომხმარებელი ელექტროენერჯის საფასურს იხდის 30 კალენდარულ დღეში მოხმარებული ელექტროენერჯის სრულ რაოდენობაზე იმ ტარიფით, რომელიც დაწესებულია მოხმარებული ელექტროენერჯის შესაბამის რაოდენობაზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დადასტურებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დარიცხვა ხორციელდება ინდივიდუალური ელექტროენერჯის მრიცხველის ჩვენებაზე დაყრდნობით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოხმარებული ელექტროენერჯის აღრიცხვა და საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ყო-

ველთვიურად (საცალო მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის შესაბამისად).

სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული წესის თანახმად, ინდივიდუალური მრიცხველის არსებობა, რომელიც სრულად აღრიცხავს მიწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობას, გამორიცხავს საშუალო დღიური მოხმარების გამოანგარიშებით აბონენტზე გადასახადის დარიცხვის შესაძლებლობას და უშვებს მომხმარებელზე გადასახადის დარიცხვას მხოლოდ ინდივიდუალურ მრიცხველის ჩვენებაზე დაყრდნობით.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, სს „...ა“ სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ ქ. ქ-ემ 1 მარტიდან 29 კალენდარული დღის განმავლობაში მოიხმარა 292 კვტ/სთ ელექტროენერჯია, თუმცა 30 დღეზე ელექტროენერჯის მოხმარება შეაფასა 302,1 კვტ/სთ-ად (საშუალო დღიური მოხმარება 292 კვტ/სთ: 29 დღეზე = 10,07 კვტ/სთ-ს, ხოლო 10,07 კვტ/სთ X 30 დღეზე = 302,1 კვტ/სთ-ს) და მასზე გააფრცელა მესამე საფეხურის ტარიფი (301 კვტსთ-დან და მეტი – 18,178 თეთრი/კვტსთ).

სასამართლო არ დაეთანხმა სს „...ას“ მიერ განხორციელებულ დაანგარიშების წესს, რომლითაც კომპანიამ აბონენტ ქ. ქ-ეს 30 მარტს დაარიცხა 1 მარტიდან 29 კალენდარული დღის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერჯია 292 კვტ/სთ-ის ოდენობით, მესამე საფეხურის ტარიფით. სასამართლოს განმარტებით, ვარაუდი, რომ ქ. ქ-ე ყოველდღიურად მოიხმარდა ერთი და იმავე ოდენობით ელექტროენერჯიას (10.07 კვტ/სთ), საფუძველს მოკლებული იყო. ელექტროენერჯის საფასურის გადახდა უნდა განხორციელებულიყო 30 კალენდარულ დღეში მოხმარებული ელექტროენერჯის სრულ რაოდენობაზე (მხოლოდ ინდივიდუალური ელექტროენერჯის მრიცხველის ჩვენებაზე დაყრდნობით) იმ ტარიფით, რომელიც დაწესებული იყო მოხმარებული ელექტროენერჯის შესაბამის რაოდენობაზე. ამრიგად, სასამართლო დაეთანხმა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახულ მსჯელობას და მიიჩნია, რომ მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლო იყო, ადგილი არ ჰქონდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გასაჩივრებული საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 11 აგვისტოს №54/14 გადაწყვე-

ტილება გამოცემული იყო კანონის მოთხოვნათა დაცვით და არ არსებობდა მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „...ამ“, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 აპრილის განჩინებით სს „...ას“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატა სრულად დაეთანხმა და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ, პალატამ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სრულად და ყოველმხრივ გამოიკვლია დავასთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. ასევე, სამართლებრივი თვალსაზრისით სწორად შეაფასა საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება. პალატამ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო სრულად დასაბუთებული და იგი იძლეოდა მკაფიო შესაძლებლობას, მონაწილე მხარეებს გაეგოთ, თუ რატომ დაუჭირა მხარი სასამართლომ მოპასუხის პოზიციას.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ სს „...ა“ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ეტაპზე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ წელიწადი შედგება 365 დღისაგან და ზუსტად 30 დღიანი პერიოდით ჩვენების აღების შემთხვევაში, ყოველწლიურად დარჩებოდა 5 (ნაკიანი წელიწადის შემთხვევაში – 6) დღე წლის ჭრილში, რომლის განმავლობაში აბონენტის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დარიცხვა ვერ განხორციელდება, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, კომპანიას მოუწევდა თვეში ორი ქვითრის მიტანა მომხმარებლისთვის, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ პრინციპს, რომლის მიხედვით, მოხმარებული ელექტროენერჯის აღრიცხვა და საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წლის 11 აგვისტოს №54/14 გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაზე, რომელმაც ქ. ქ-ის საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა, რომ ქ. ქ-ის ბრუნვის ისტორიით დადგენილ იქნა, რომ ელექტროენერჯის მრიცხველიდან ჩვენების აღება წარმოებდა თვის სხვადასხვა რიცხვებში. კერძოდ, სადავო შემთხვევაში, 2016 წლის მარტის თვეში მრიცხველის ჩვენება აღებული იქნა 1 რიცხვში, ხოლო მომდევნო ჩვენება 29 დღის შემდეგ. ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ კომპანიამ დაარღვია ჩვენების აღების ერთთვიანი ვადა, რის გამოც აღნიშნულ თვეში მომხმარებელს ელექტროენერჯის საფასური დაარიცხა მე-2 საფეხურის ტარიფით. ამგვარად, სააპელაციო პალატის დასკვნით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესის საწინააღმდეგოდ, ქ. ქ-ის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის აღრიცხვა 2016 წლის მარტის თვეში განახორციელა ორჯერ, 1 მარტსა და 30 მარტს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „...ამ“, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არასწორად განმარტა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების მე-12 მუხლი. კერძოდ, კასატორისათვის ცალსახაა, რომ სემეკს ტარიფი 30 კალენდარულ დღეზე აქვს ნორმატიულად დადგენილი, რომლის იგნორირებაც თავად მოახდინა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. 30 კალენდარულ დღეში დარიცხვის განხორციელება იმავდროულად არ ნიშნავს ზუსტად 30-ე დღეს მრიცხველიდან ჩვენების აღებას.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილება ტარიფებს სწორედ 30 კალენდარული დღით ანგარიშობს, რაც, განსახილველ შემთხვევაში, განახორციელა კიდევ ენერგოკომპანიამ. კასატორის მითითებით, უდავოა, რომ ყოველი 30 დღე ავტომატურად არ წარმოადგენს

თვეს, იგივე თებერვლის მაგალითზე, რომელსაც 30-ე დღე არ გააჩნია. ამასთან, მოსარჩელეს არგუმენტირებული პასუხი არ მიუღია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იმოქმედოს ენერგოკომპანიამ 31-დღიანი თვეების შემთხვევაში.

კასატორის მითითებით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების მე-9 მუხლის 5¹ პუნქტი იმპერატიულად განსაზღვრავს ქვითრის აბონენტებისათვის მიწოდების წესს. კერძოდ, ქვითარი საცალო მომხმარებელს უნდა მიენოდოს ყოველთვიურად, შეძლებისდაგვარად ერთსა და იმავე დროს. სემეკის №54/14 გადაწყვეტილების აღსრულებით და მისი პრეცედენტად დამკვიდრებით კი ცალსახაა, რომ „მცოცავი“ გრაფიკის გამო (30-ე დღე პერიოდულად მუდმივად გადაინევს და ერთსა და იმავე თარიღს არასდროს არ დაემთხვევა) ნორმატიული აქტის აღნიშნული მოთხოვნა ვერ იქნება დაკმაყოფილებული და ქვითრების ერთსა და იმავე დროს ჩაბარება ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

კასატორის განმარტებით, გარდა უკანონობისა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოინვევს უკვე დალაგებული ელექტრონული, კომპიუტერული სისტემების არევის და აბონენტთა გაურკვევლობასა და დისკომფორტს, რომელთაც გადახდისთვის ერთი კონკრეტული თარიღი არასდროს არ ექნებათ. ამდენად, კასატორის მითითებით, სადავო არა ტარიფის გამოთვლის სისწორე, არამედ ჩვენების ზუსტად 30-ე დღეს აულებლობა, თუმცა არ ხდება მითითება კონკრეტულ ნორმაზე, რაც კასატორისათვის ამგვარი ვალდებულების განმსაზღვრელი იქნებოდა. კასატორისათვის, აგრეთვე, გაურკვეველია, არა თვის 29-ე დღეს, არამედ 31-ე დღეს რომ მომხდარიყო ჩვენების აღება, ამ შემთხვევაში როგორ უნდა განხორციელებულიყო ანგარიშსწორება.

კასატორის მოსაზრებით, ობიექტურად შეუძლებელია შესაბამისი ნორმების იმგვარად განმარტება, რომ გამანაწილებელ კომპანიასა და მომხმარებელს შორის განგრძობად პერიოდულ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში საანგარიშსწორებო პერიოდი აცდეს კალენდარულ თვეს. ნებისმიერ შემთხვევაში, არსებული სამომხმარებლო ტარიფი, რომელსაც ისევე სემეკი ადგენს, ამ ეტაპზე მხოლოდ ერთიანი მიდგომით კალენდარულ თვეში ერთხელ მრიცხველის ჩვენების აღების ხარჯებს ითვალისწინებს და არ აფინანსებს ყველა საყოფაცხოვრებო მომხმარებლის მრიცხველის ცალ-ცალკე ინდივიდუალური გრაფიკით წაკითხვას.

ამასთან, კასატორის მითითებით, სადავო ვერ იქნება, რომ იმ მოცემულობაში, სადაც საანგარიშსწორებო პერიოდი კალენდარულ-

ლი თვეა, ხოლო საანგარიშსწორებო ტარიფი ანგარიშდება 30 კალენდარული დღის მოხმარების მიხედვით, საუკეთესო და გონივრული გამოსავალი არის სწორედ ის წესი, რომელიც კომპანიამ გამოიყენა ქ. ქ-ის ტარიფის შესარჩევად. კასატორის განმარტებით, გასათვალისწინებელია, რომ საანგარიშსწორებო პერიოდი ნებისმიერ შემთხვევაში აცდება ტარიფის განსაზღვრის პერიოდს და სადავო შეიძლება გახდეს, რომელ საანგარიშსწორებო პერიოდს რომელი პერიოდის ტარიფი უნდა მიესადაგოს. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ საშუალო მოხმარება არ არის ენერგოკომპანიის მიერ მოგონილი კატეგორია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული წესები, სწორედ საშუალო მოხმარების განსაზღვრის წესს იყენებს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა დროის პერიოდში მოხმარებული ელექტროენერჯის ოდენობის განსაზღვრა, საშუალო დღიური მოხმარების განსაზღვრა. საგულისხმოა ისიც, რომ ტარიფის საფეხურის შესარჩევად ზემოაღნიშნული მეთოდის გამოყენება ენერგოკომპანიას თავად სემექმა 2014 წლის 12 თებერვლის №1/08-7/35-389 წერილითაც ურჩია. ამასთან, კასატორი განმარტავს, რომ ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ სფეროში ობიექტურად აუცილებელია რაიმე დაშვების გამოყენება და ასეთ დაშვებად დარგის მარეგულირებელი ყოველთვის საშუალო მოხმარების განსაზღვრას მიიჩნევს. კასატორი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია აღნიშნული მიდგომა ყოველთვის სწორი იყოს და მხოლოდ ტარიფის საფეხურის შერჩევისას იყოს უსაფუძვლო.

კასატორი უსაფუძვლოდ მიიჩნევს სემექის მიერ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 121-ე და 126-ე მუხლების გამოყენებას, კერძოდ, განმარტავს, რომ ერთი მხრივ, არსებობს სპეციალური ნორმა – სემექის №33 დადგენილება და მეორე მხრივ, სამოქალაქო ნორმებზე მითითების აუცილებლობა მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება. იმავე სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ზოგად წესთან მიმართებაში, უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმას.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო არც ენერგოკომპანიის მიერ სადავოდ გამხდარ გარემოებაზე – დაუყოვნებლივ აღსრულებაზე მსჯელობს. კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ მართალია, აქტის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, თუმცა ხსენებული არ ნიშნავს, რომ სემექს მის მიერ გამოცემული ნებისმიერი აქტის დასაბუთების ვალდებულება არ გააჩნია. კასატორისათვის გაუგებარია, ვის ან რას ექმნებოდა საფ-

როზე ქ. ქ-ისათვის დარიცხული თანხის დაუყოვნებლივ ჩამოუნერლობის შემთხვევაში, მით უფრო მაშინ, როდესაც ქ. ქ-ის მხრიდან გადახდა უკვე შესრულებული იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სს „...ას“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 დეკემბრის განჩინებით სს „...ას“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაიწმინა მხარეთა დასწრებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ სს „...ას“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 აპრილის განჩინება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საჯარო რეესტრიდან ამონაწერით დასტურდება, რომ ქ. ქ-ე 2016 წლის 27 იანვრიდან წარმოადგენს ქ. სამტრედია, ...ის ქ. №22-ში მდებარე ქონების მესაკუთრეს.

სს „...ამ“ აბონენტ ქ. ქ-ეს 2016 წლის 30 მარტს დაარიცხა 1 მარტიდან 29 კალენდარული დღის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგია 292 კვტ/სთ-ის ოდენობით. აბონენტის საშუალო დღიური მოხმარება 292 კვტ/სთ ელექტროენერგია გაყოფილი 29 კალენდარულ დღეზე და მიიღო 10.7 კვტ/სთ, ხოლო 10.7 კვტ/სათი გაამრავლა 30 კალენდარულ დღეზე და მიიღო 321,1 კვტ/სთ, რაც დაანგარიშდა მესამე საფეხურის ტარიფით. 2016 წლის 28 ივნისს ქ. ქ-ემ განცხადებით მიმართა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას და მოითხოვა არსებული დავალიანების კორექტირება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2016 წლის 11 აგვისტოს №54/14 გადაწყვეტილებით ქ. ქ-ეზე (აბ. ...) სს „...ას“ მიერ 2016 წლის მარტის თვეში 292 კვტ/სთ ელექტროენერგიის საფასურის (62.63 ლარის) მესამე საფეხურის ტარიფით დარიცხვა უსაფუძვლოდ მიიჩნეა.

ნია. სს „...ას“ მომხმარებლისათვის მეორე საფეხურის ტარიფით 49.44 ლარის დარიცხვის განხორციელება და აბონენტის (აბ. ...) პირადი აღრიცხვის ბარათზე ცვლილების შეტანა დაევალა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანო არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც არ ჰყავს სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო, დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს ამ კანონითა და შესაბამისი კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. ამავე მუხლის „თ“ ქვეპუნქტის დანაწესიდან გამომდინარე, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს უფლებამოსილება არის ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შესაბამისი კანონით განსაზღვრული და ამ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოსთვის სპეციალურად დელეგირებული უფლებები და მოვალეობები. ხოლო ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს გადანაცვეტილება არის ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ კანონის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტი (დადგენილება, გადანაცვეტილება და ა. შ.).

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ეროვნული მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია გადანაცვითოს მისი კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული დავები ამ მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიების ან/და ნებართვების მფლობელებს შორის ან ლიცენზიების ან/და ნებართვების მფლობელებსა და მომხმარებლებს შორის.

ამასთან, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკისა და ნყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (შემდგომ – კომისია) არის „ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პირი, რომელიც არ არის შექმნილი სახელმწიფო ქონების საფუძველზე. კომისიის ძირითადი ფუნქციები განსაზღვრულია ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიის ერთ-ერთი ფუნქციაა ლიცენზიატებს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებს, მომხმარებლებსა და ბაზრის ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადანაცვ-

ტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ამავე კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, ბაზრის ოპერატორი, ლიცენზიატები, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურები, იმპორტიორები, ექსპორტიორები, მიმწოდებლები და მომხმარებლები უფლებამოსილი არიან, კომისიაში შეიტანონ განაცხადი ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სფეროებში სადავო საკითხის განხილვაზე, თუ აღნიშნული დავის გადაწყვეტა კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, კანონით გათვალისწინებულ ცალკეულ, ინდივიდუალურ, მათ შორის, დადგენილებიდან გამომდინარე, საკითხებზე კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას. ამავე კანონის მე-15 მუხლის თანახმად, კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის №6 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, კომისია უფლებამოსილია ოფიციალურად განმარტოს მის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ პირველი მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები (შემდგომში წესები) არეგულირებს ურთიერთობებს, ერთი მხრივ, განაწილების ლიცენზიატს, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურსა და, მეორე მხრივ, მომხმარებელს შორის ელექტროენერჯის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გატარების ან/და მოხმარების დროს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამ წესებით დადგენილი პირობები სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, რომელიც ახორციელებს ელექტროენერჯის წარმოებას, განაწილებას, გატარებას ან/და მოხმარებას. ამ წესებთან შეუსაბამო ვალდებულებების დაკისრება აკრძალულია. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, ნებისმიერ პირს, თუ კი ირღვევა მისი უფლებები, უფლება აქვს, შეიტანოს საჩივარი კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველთან, კომისიაში ან მიმართოს

სასამართლოს. მას ასევე უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით მოსთხოვოს დამრღვევს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამონვეულ იქნა ამ წესებით გარანტირებული უფლებების დარღვევით ან/და დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა იმპერატიულად კრძალავს ელექტროენერჯის მოხმარებისას მომხმარებლისთვის (აბონენტისთვის) წესებთან შეუსაბამო ვალდებულებების დაკისრებას.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, უზრუნველყოს მომხმარებლის შესაბამისი პარამეტრების ელექტროენერჯით უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მომარაგება კანონმდებლობის, ლიცენზიის პირობების, ამ წესებისა და მისი შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია: გაუწიოს მომსახურება ყველა სახის მომხმარებელს ამ წესების შესაბამისად და მოახდინოს საცალო მომხმარებელზე ელექტროენერჯის რეალიზაცია (ამ წესებით დადგენილი პირობების შესაბამისად). ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, მომხმარებელთან ფულადი ანგარიშსწორება აწარმოოს მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ ანგარიშსწორების ქვითარში გადასახდელი (მოთხოვნილი) თანხის სრულად ასახვისა და გადახდის ბოლო ვადის მითითების შემდეგ.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დადასტურებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-3 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს მყიდველს ელექტროენერჯია მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესებითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით, ხოლო მყიდველი კისრულობს ვალდებულებას, გადაიხადოს მიღებული ელექტროენერჯის საფასური და დაიცვას მოქმედი კანონმდებლობით, ამ წესებითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეს წესები და მისი შესაბამისი ხელშეკრულება ელექტროენერჯის მომხმარებლისთვის წარმოადგენს ძირითად

იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც არეგულირებს განაწილების ლიცენზიატის, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურისა და მომხმარებლის უფლება-მოვალეობებს ელექტროენერჯის ყიდვის, გაყიდვის, განაწილების, გატარების ან/და მოხმარების დროს. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ წესებში მოცემული პირობები წარმოადგენს ელექტროენერჯის ნასყიდობისა და მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, განაწილების ლიცენზიატსა და მომხმარებელს შორის ელექტროენერჯის ნასყიდობის, ასევე მომსახურების შესახებ ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს წერილობითი ფორმით (ასევე, ქვეთრით ან სხვა წერილობითი დოკუმენტით, ამ წესებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად). ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ელექტროენერჯის ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები, ასეთი ხელშეკრულების მომხმარებელთან გაფორმების (შეთანხმების) შემთხვევაში, უნდა შეესაბამებოდეს ამ წესებისა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კი, განაწილების ლიცენზიატს უფლება არ აქვს, მომხმარებელთან გააფორმოს ისეთი სახის ხელშეკრულება ან/და დადოს მასთან ისეთი სახის გარიგება, რომლის შინაარსი ან/და პირობა ეწინააღმდეგება ამ წესებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბერის №33 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ დადგენილების 11¹ მუხლის თანახმად, სს „...ას“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერჯის შესასყიდი ზღვრული ტარიფები დადგენილია ძაბვების მიხედვით: ა) 220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი) – 16,776 თეთრი/კვტსთ; ბ) 3,3-6-10 კილოვოლტი – 12,024 თეთრი/კვტსთ; გ) 35-110 კილოვოლტი – 11,501 თეთრი/კვტსთ. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერჯის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში (სს „...ას“ აბონენტებისათვის) საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერჯის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში): ა) 101 კვტსთ-ის ჩათვლით – 10,978 თეთრი/კვტსთ; ბ) 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით – 14,348 თეთრი/კვტსთ; გ) 301 კვტსთ-დან და მეტი – 18,178 თეთრი/კვტსთ.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგე-

ნილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ დადგენილების მე-12 მუხლის თანახმად, მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის მიხედვით დადგენილი ტარიფები არა-გამჭოლია; ყოველი მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურს იხდის 30 კალენდარულ დღეში მოხმარებული ელექტროენერჯის სრულ რაოდენობაზე იმ ტარიფით, რომელიც დაწესებულია მოხმარებული ელექტროენერჯის შესაბამის რაოდენობაზე.

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დადასტურებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დარიცხვა ხორციელდება ინდივიდუალური ელექტროენერჯის მრიცხველის ჩვენებაზე დაყრდნობით. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოხმარებული ელექტროენერჯის აღრიცხვა და საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ყოველთვიურად (საცალო მოხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის შესაბამისად).

საკასაციო პალატა ქვედა ინსტანციის სასამართლოთა მსგავსად განმარტავს, რომ აღნიშნული წესის თანახმად, ინდივიდუალური მრიცხველის არსებობა, რომელიც სრულად აღრიცხავს მიწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობას, გამორიცხავს საშუალო დღიური მოხმარების გამოანგარიშებით აბონენტზე გადასახადის დარიცხვის შესაძლებლობას და უშვებს მოხმარებელზე გადასახადის დარიცხვას მხოლოდ ინდივიდუალური მრიცხველის ჩვენებაზე დაყრდნობით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, სს „...ა“ სადავოდ არ ხდიდა იმ გარემოებას, რომ ქ. ქ-ემ 1 მარტიდან 29 კალენდარული დღის განმავლობაში მოიხმარა 292 კვტ/სთ ელექტროენერჯია, თუმცა 30 დღეზე ელექტროენერჯის მოხმარება შეაფასა 302,1 კვტ/სთ-ად (საშუალო დღიური მოხმარება 292 კვტ/სთ: 29 დღეზე = 10,07 კვტ/სთ-ს, ხოლო 10,07 კვტ/სთ X 30 დღეზე = 302,1 კვტ/სთ-ს) და მასზე გაავრცელა მესამე საფეხურის ტარიფი (301 კვტსთ-დან და მეტი – 18,178 თეთრი/კვტსთ).

საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მსგავსად არ იზიარებს სს „...ას“ მიერ გამოყენებულ დაანგარიშების წესს, რომლითაც კომპანიამ აბონენტ ქ. ქ-ეს 30 მარტს დაარიცხა 1 მარტიდან 29 კალენდარული დღის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერჯია 292 კვტ/სთ-ის ოდენობით, მესამე საფეხურის ტარიფით. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ვარაუდი იმისა, რომ

ქ. ქ-ე ყოველდღიურად ერთსა და იმავე ოდენობით (10.07კვტ/სთ) ელექტროენერგიას მოიხმარდა, საფუძველს არის მოკლებული. ელექტროენერგიის საფასურის გადახდა უნდა განხორციელებულიყო 30 კალენდარულ დღეში მოხმარებული ელექტროენერგიის სრულ რაოდენობაზე (მხოლოდ ინდივიდუალური ელექტროენერგიის მრიცხველის ჩვენებაზე დაყრდნობით) იმ ტარიფით, რომელიც დაწესებული იყო მოხმარებული ელექტროენერგიის შესაბამის რაოდენობაზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ასახულ მსჯელობას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ზემოთ მითითებული არც ერთი საკანონმდებლო რეგულაცია არ შეიცავს რაიმე მითითებას ინდივიდუალური მრიცხველით აღრიცხული, აბონენტის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საშუალო შენონილის პრინციპის გამოყენებით გამოთვლის თაობაზე. აღნიშნული პრინციპით ელექტროენერგიის გაანგარიშება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც შეუძლებელია ზუსტად იქნეს განსაზღვრული აბონენტის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობა. საეულისხმოა ისიც, რომ მრიცხველიდან ინფორმაციის დროული მიღება ენერგოკომპანიის ინტერესებში შედის, რის გამოც მის დროულ შემონეშებაზე პასუხისმგებელია სწორედ სს „...ა“. შესაბამისად, საშუალო შენონილის პრინციპის გამოყენება დასაშვებია, აგრეთვე, ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც ენერგოკომპანიის უფლებამოსილი თანამშრომელი საპატიო თუ არასაპატიო მიზეზებით ვერ შეძლებს ინდივიდუალური მრიცხველიდან 30 დღის ვადაში დახარჯული ელექტროენერგიის შესახებ ინფორმაციის მოპოვებას. სხვა შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია ინდივიდუალური მრიცხველიდან აბონენტის მიერ დახარჯული ელექტროენერგიის ზუსტი წაკითხვა, კერძოდ, მაშინ, როდესაც მრიცხველიდან ინფორმაციის მოპოვება ხერხდება 30-დღიან მონაკვეთში, საშუალო შენონილის პრინციპის გამოყენება და ამ გზით აბონენტის საზიანოდ მის მიერ რეალურად მოხმარებული ელექტროენერგიის მონაცემთა შეცვლა მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველებს. ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოხმარებული ელექტროენერგიისათვის გადასახდელი საბოლოო თანხის განსაზღვრა უნდა ხდებოდეს არა ჰიპოთეტურად, საშუალოდ ყოველდღიურად მოხმარებული ენერგიის 30-ზე გამრავლების შედეგად იმის დაშვებით, რომ აბონენტი ყოველდღიურად ერთსა და იმავე ოდენობის ელექტროენერგიას მოიხმარს, არამედ ინდივიდუალური მრიცხველიდან აღებულ, რეალურად დახარჯულ ელექტრო-

ენერჯის მონაცემებზე დაყრდნობით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „...ას“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 აპრილის განჩინება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. სს „...ას“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 აპრილის განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 72 23
www.supremecourt.ge

